ეროვნული ბიბლიოთეკა

K 222906/3

ირაკლი ანთაძე

ეპიზოდები 1812 წლის სამამულო ომი

მეცნიერება

355 (С 41)
68 . 49 (2 Г)
355 . 48 (47) „1812“ (47 . 922)
ა 657

ეროვნული
ბიბლიოთეკა

170 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტე ექვსასათასიანი არმიით თავს დაესხა რუსეთს. 1812 წლის სამამულო ომში მტრის წინააღმდეგ მთელი ქვეყანა აღსდგა. რუსების მხარდამხარ მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილებიც.

ქართველების მონაწილეობა 1812 წლის სამამულო ომში ერთ-ერთი ნათელი ფურცელია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. ავტორი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობს ომში მონაწილე ქართველთა საბრძოლო საქმეებზე, მათს მამაცობასა და თავდადებაზე, შეძლებისდაგვარად გვაწვდის ბიოგრაფიულ ცნობებს.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

2
ГОСУДАРСТВЕННАЯ
БИБЛИОТЕКА
СССР
им. В. И. Ленина
1984 г.

მეორე გამოცემა

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ანთელავა

ა $\frac{0505010000}{М\ 607\ (06) — 84}$ 196—84 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984 წ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1812 წლის რუსეთის სამამულო ომის მონაწილე ქართველები

1812 წლის რუსეთის სამამულო ომში მონაწილეობდა არაერთი ქართველი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი სრული სიის შედგენა არა მარტო ძნელია, არამედ თითქმის შეუძლებელიც. ეს ეხება განსაკუთრებით რიგით მებრძოლებს, რომელთა შესახებ ცნობები საერთოდ არაა შემონახული. მდგომარეობას რამდენადმე ასწორებს საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII შვილი ბაგრატი, რომელმაც შეადგინა ომის მონაწილე ქართველების მიახლოებითი სია, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში. ბაგრატს, როგორც ჩანს, ხელში ჩავარდნია უცხოელი ავტორის (ლუსიენ ბონაპარტეს) მიერ დაწერილი და 1815 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „ლაშქრობა ნაპოლეონისა რუსეთსა შინა და ლტოლვაი მისი“, რომელშიაც სამამულო ომის ამბები შედარებით დაწვრილებით იყო აღწერილი. ბატონიშვილი გასცნობია წიგნს და გაკვირვებულა, რომ მასში, გარდა პეტრე ბაგრატიონისა, არც ერთი ქართველი არ იყო დასახელებული. ამავე დროს, ბაგრატს, როგორც წიგნში გადმოცემული მოვლენების თანამედროვესა და 1812 წელს მოსკოვში მცხოვრებს, კარგად სცოდნია, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში მრავალი ქართველი მონაწილეობდა და ბევრი მათგანი დაღუპულა ბრძოლის ველზე.

ბატონიშვილს გადაუწყვეტია ქართულად ეთარგმნა ზემოხსენებული წიგნი, შეედგინა ომში მონაწილე ქართველთა სია და დაერთო მისთვის. ამ წიგნის ქართული თარგმანის ყდაზე (ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში) აღნიშნულია, რომ თარგმანი შესრულებულია ბაგრატ ბატონიშვილის თხოვნით 1823 წელს „ინოსტრანის კოლეღიის პერეოდჩიკის იოანე რომანიჩის ბაზლაძის მიერ“.

ბაგრატის მიერ შედგენილი სია ასეა დასათაურებული: „რომელ-

სპეგ-2000
შემოწმებულია

ნიცა ქართველნი დაესწრნენ ბრძოლასა ამასა შინა და იმსახურებოდნენ მხედრობათა შინა რუსეთისათა რუსთა და ფრანცუცთა (ომის დროს) და აღებისა დიდისა ქალაქისა მოსკოვისასა წელსა 1812-სა და თვესა სექტემბერსა 2-სა, დღესა ორშაბათსა ამათი სახელი ამას ქვემოთ აღიწერების". ომის მონაწილეთა დასახელებისას, ავტორი ზოგ შემთხვევაში უთითებს სამხედრო წოდებებს და გვაწვდის ლაკონურ ცნობებს მათ შესახებ. ქვემოთ მოგვყავს ეს სია ბაგრატის მიერ მიღებული თანამიმდევრობით.

1. ბატონიშვილი ილია, გიორგი XII ძე. „ესე დაესწრა დიდსა ბრძოლაში ბოროდინოს და აღმოჩნდა სახელოვნად". ლეიბ-ეგერთა პოლკის ოფიცერი. 2. ბატონიშვილი კონსტანტინე, დავით იმერთა მეფის ძე „ყაზახის პოლკის კაპიტანი" და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტი. „ესეც დაესწრა (ბოროდინოს) ბრძოლაში და აღმოჩნდა სახელოვნად". 3. ბაგრატიონი პეტრე იოანეს ძე, თავადი, მრავალი ბრძოლის მონაწილე. მოიკლა ფრანგების მიერ ბოროდინოს ბრძოლაში, გენერალ-მაიორი[1]. 4. ბიბილური პავლე სერგოს ძე, „ძუელად ბიბილური და ახლად წოდებული „ლაშქარიოვად". ბოროდინოს ბრძოლაში მიღებული ჭრილობით დაბრმავდა. 5. შახნავაზიანი პეტრე იაკობის ძე, თავადი, გვარდიის კაპიტანი. მოიკლა ბოროდინოს ბრძოლაში (სომეხი). 6. შახნავაზიანი (უსახელო), ძმა პეტრესი. 7. ბაგრატიონი რევაზ (რომან) იოანეს ძე, თავადი, პოლკოვნიკი. 8. ესტატე თეიმურაზის ძე ჯავახიშვილი, თავადი, პავლოგრადის გუსართა პოლკის ოფიცერი. 9. აბუმელიქოვი დავითი, თავადი. ლეიბ-გვარდიის გუსართა პოლკის პოლკოვნიკი (სომეხი). 10. აბუმელიქოვი პეტრე, ძმა დავითის (სომეხი). 11. აბუმელიქოვი ალექსანდრე, დავითისა და პეტრეს ძმა, იმავე პოლკში (სომეხი). 12. ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე, თავადი. 13. იაშვილი ლევანი, თავადი, არტილერიის გენერალი. 14. ჯავახიშვილი სპირიდონი, გენერალი, თავადი, „მოკვდა ამ დროსა ქ. ვეგერს[2] 15. ჩოლოყაშვილი ფლორე დურმიშხანის ძე, თა-

---

[1] ბატონიშვილი ბაგრატის ცნობა, რომ პეტრე ბაგრატიონი 1812 წელს გენერალ-მაიორი იყო, სწორი არ არის. სინამდვილეში მას ინფანტერიის ან სრული გენერლის სამხედრო წოდება ჰქონდა. არც ისაა სწორი, რომ ბაგრატიონი თითქოს ბოროდინოს ბრძოლაში დაიღუპა. ამ ბრძოლაში იგი მართლაც დაიჭრა, მაგრამ გარდაიცვალა მხოლოდ 17 დღის შემდეგ.

[2] ბაგრატის ცნობა ჯავახიშვილის გარდაცვალების ადგილის შესახებ არ ემთხვევა იმას, რაც ამ საკითხზე წერია წიგნში „Родословная роспись рода князей Жеваховых" (კიევი, 1914 წ.), სადაც ნათქვამია (გვ. 11), რომ სპირიდონი

ვადი[3]. 16. თარხნიშვილი იორამი, თავადი. 17. თარხნიშვილი ნიკოლოზი, თავადი, ძმა იორამისა. 18. ამირაჯიბი ასპან ქაიხოსროს ძე, „ფრიად მამაცი ყმაწვილი, მოიკლა (იმავე) ბრძოლასა შინა“. 19. მაჩაბელი თეიმურაზ ბაგრატის ძე, 20. იოსელიანი ზაქარია ონისიმეს ძე, „საქართველოს სამეფო კარის დეკანოზის შვილი, ფრიად მამაცი და სახელოვნად გამოჩენილი“. 21. ქართველიშვილი ზაქარია იოსების ძე, 22. ლალიხანაშვილი, „თელავის კარის შიოს მღვდლის შვილი დოროთე, მოკუდა სნეულებით“. 23. გაბაშვილი იოსები, 24. ბებუთოვი დავითი იოსების ძე, თავადი (სომეხი), 25. ტუსიშვილი ალექსი ივანეს ძე, 26. ქსნისხეველი სიდამონი, ჭურთელი ოსი. 27. ფეტვიაშვილი ეგნატე ივანეს ძე, 28. არღუთაშვილი მოსე მოშეს ძე, 29. თაყინაშვილი ივანე — გორელი, მოიკლა. 30. ალაპაპაშვილი ზაალ, გორელი, მოკლეს. 31. ლეკყოფილი მოსე მირანის ძე. 32. ღაღანიძე რომანოზ. 33. გამყრელიძე ბეჟანი. 34. სვიმონიკა რაჭუელი, 35. გამსახურდია, 36. კაპანაძე გრიგოლ, 37. ჩიქორიძე იოსებ, 38. აღამფაროვი, ძმა სოლომონისა (სომეხი), 39. კვანჭახაძე პირველი, ბერუას ძე, 40. კვანჭახაძე მეორე, ბერუას ძე, 41. ფანიაშვილი, 42. მაღლაკელაშვილი თომა, 43. ხმალაძე, ყიზლარელი, 44. თულაშვილი, 45. ბაზლიძე ალექსი, მოიკლა, 46. მადათოვი, გენერალი, ყარაბახელი, 47. იოსაშვილი, პეტრუსა, ყარაბახელი, 48. ვარჟაპეტაშვილი, ერევნელი, 49. ბეჟანოვი (ბეჟანიშვილი).

ბაგრატის სიით 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში 37 ქართველს, 10 სომეხს, ერთ ლეკს და ერთ ოსს მიუღია მონაწილეობა.

სხვა მასალების შესწავლით ირკვევა, რომ ზემოთ მოტანილი სია სრული არ არის და რომ მასში არ არის შეტანილი ომის ბევრი მონაწილე. ჩანს, ბატონიშვილს არ ჰქონია ცნობები მათ შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ომის თანამედროვე იყო და მრავალ მის მონაწილეს პირადად იცნობდა.

ბაგრატის სიაში არ არიან შეტანილნი, პირველ ყოვლისა, ძმები

გარდაიცვალა 1815 წლის 25 ივლისს ქ. ვაიმარში (პრუსია). ბაგრატი კი როგორც ვხედავთ, გარდაცვალების ადგილად ქ. ვეგერს ასახელებს. არც ჯავახიშვილის სამხედრო წოდებაა სწორად მითითებული. 1812 წელს იგი პოლკოვნიკი იყო, ხოლო გენერლობა მას 1813 წელს მიენიჭა.

[3] ფლორე ჩოლოყაშვილის მამა, დურმიშხანი, საქართველოს ისტორიაში ცნობილი პირია. იგი გიორგი XII მეფობის წლებში (1798—1800) საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოურავი ყოფილა. მისი ქალიშვილი ცოლად ჰყავდა ბატონიშვილ ბაგრატს.

ფანჩულიძეები, რომელთა მონაწილეობა 1812 წლის ომში საგულებელ დადასტურებულია. ერთი მათგანია გენერალ-ლეიტენანტი ივანე დავითის ძე (1759—1815 წწ.), ხოლო მეორე — გენერალ-მაიორი სიმონ დავითის ძე (1764—1818 წწ). მათ შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი, აქ კი მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის იმპერიის ყველა ომში, მოყოლებული XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან. ძმებ ფანჩულიძეებს არაერთხელ უომიათ სუვოროვისა და კუტუზოვის უშუალო ხელმძღვანელობით. საერთოდ, იმდროინდელ რუსეთში ეს გვარი საკმაოდ პოპულარული ჩანს. თანამედროვენი კარგად იცნობდნენ არა მარტო დასახელებულ გენერლებს, არამედ მათ ძმასაც, ალექსი დავითის ძეს, რომელსაც 1812 წელს სარატოვის სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობა ეკავა. სწორედ ამიტომაა გასაკვირი, რატომ არ შეიტანა ბაგრატმა თავის სიაში ეს გენერლები.

ბატონიშვილს უყურადღებოდ დაუტოვებია ჯავახიშვილთა გვარის ოთხი წარმომადგენელი. ერთი მათგანი ივანე სიმონის ძე ჯავახიშვილია. წიგნში, რომელიც გვარების გენეალოგიას ეხება, ნათქვამია, რომ იგი გენერალ-მაიორის ჩინით მსახურობდა რუსეთის ჯარებში და მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში. ივანე ჯავახიშვილი შეტანილია XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთში მყოფ ქართველ სამხედრო მოღვაწეთა სიაში. ამ გვარის მეორე წარმომადგენელია სიმონ სიმონის ძე ჯავახიშვილი (1750—1812 წწ.), სასიკვდილოდ დაჭრილი 1812 წლის ომში. მესამე — ფილიპე სიმონის ძე ჯავახიშვილი, რომელიც 1812 წელს გენერალ-მაიორის წოდებით უკრაინის სახალხო რაზმს მეთაურობდა. დასასრულ, მეოთხე ჯავახიშვილი — ნიკოლოზ გიორგის ძე (1795—1813 წწ.), ლეიბ-გვარდიის ლიტვის პოლკის პრაპორშჩიკი. 1810 წელს მას პეტერბურგის კადეტთა მეორე კორპუსი დაუმთავრებია, 1811 წელს კი მისთვის პრაპორშჩიკობა მიუნიჭებიათ. ამ ჩინით იგი მონაწილეობდა ომში. ბოროდინოს ბრძოლაში დაჭრილა. მეორე ჭრილობა მან ლაიფციგთან ბრძოლაში მიიღო 1813 წლის 4 ოქტომბერს, რის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

ბაგრატის სიაში ვერ ვხედავთ კაპიტან პეტრე იაკობის ძეს, მეფე ბაქარის შვილიშვილს, დაღუპულს ბოროდინოს ველზე, დასახელებულს ერთ წყაროში, კერძოდ, „მასალებში საქართველოს ისტორიისათვის“, რომელიც შედგენილია ბაგრატ და დავით ბატონიშვილების მიერ.

ზაქარია ჭიჭინაძის რწმუნებით, სამამულო ომში დიმიტრი ბაგრატიონი და დიმიტრი ციციშვილიც მონაწილეობდნენ. შეუძლებელი ამაში, რა თქმა უნდა, არაფერია, რადგანაც ერთიც და მეორეც იმ დროს რუსეთში ცხოვრობდა, ხოლო დიმიტრი ციციშვილი, გარდა ამისა, შეტანილია 1796 წელს შედგენილ რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველთა სიაში.

პეტრე ბაგრატიონის 1811 წლის ოქტომბრის თვის წერილში სამხედრო მინისტრისადმი ლაპარაკია ვინმე ციციშვილზე, რომელიც იმ დროს პორუჩიკი ყოფილა. რადგანაც წერილი ნაპოლეონის რუსეთში შემოჭრამდეა დაწერილი, ცხადია, იგი ციციშვილის სამამულო ომში მონაწილეობას ვერ დაადასტურებს, მაგრამ მას უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში როგორც არაპირდაპირ საბუთს, რომელიც ასეთი მონაწილეობის სასარგებლოდ მეტყველებს. „მაქვს პატივი, — ნათქვამია წერილში, — წარვუდგინო თქვენს მაღალმატებულებას სამხედრო კოლეგიის ბრძანება ლეიბ-გვარდიის იზმაილოვის პოლკის ყოფილი პორუჩიკის თავად ციციანოვის სამსახურიდან გადაყენების თაობაზე. ამჟამად მან, ავადმყოფობისაგან სრულებით განკურნებულმა, გამოთქვა მტკიცე სურვილი თავი შესწიროს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურს. ვუთანაგრძნობ რა მის ეგზომ სანაქებო ზრახვებს, უმორჩილესად გთხოვთ, იშუამდგომლოთ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ციციანოვის პავლოგრადის გუსართა პოლკში განწესების თაობაზე“. ბაგრატიონის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, რასაც ადასტურებს სამხედრო მინისტრის 1811 წლის 7 ნოემბრის წერილი პეტრე ბაგრატიონისადმი, რომელშიაც ვკითხულობთ: „ჩემს უქვეშემრდომილეს მოხსენებაზე პორუჩიკ ციციანოვის პავლოგრადის გუსართა პოლკში განწესების თაობაზე, მიღებულია უმაღლესი თანხმობა, გაცნობებთ რა ყოველივე ამას, პატივი მაქვს ამასთანავე გაახლოთ თქვენ მიერ წარმოდგენილი ბრძანება თავად ციციანოვის სამსახურიდან გადადგომის შესახებ, მისთვის გადასაცემად“. ციციშვილის სამხედრო სამსახურში ხელმეორედ განწესების დღიდან 7 თვე იყო გასული, როდესაც დაიწყო სამამულო ომი. ამ ომში, როგორც ვნახავთ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პავლოგრადის გუსართა პოლკმა, რომელსაც მეთაურობდა გენერალი (მაშინ პოლკოვნიკი) სპირიდონ ჯავახიშვილი. ყოველივე ამაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პორუჩიკ ციციშვილის მონაწილეობა ომში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ბაგრატის სიაში გამოტოვებულია ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკის პორუჩიკი თავადი ერისთავი, რომლის გვარი არც სხვა წყაროებშია მითითებული. მის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება საკმაოდ ძუნწი ცნობები, რომლებიც მას ახასიათებს როგორც უშიშარ ოფიცერს. სამამულო ომში მას არაერთხელ დაუმსახურებია სარდლობის მაღალი შეფასება. იმ პირთა შორის, რომელთაც თავი გამოიჩინეს 1812 წლის 22 სექტემბერს სოფელ ჩერნიშკისთან ბრძოლაში, მოხსენიებულია თავადი ერისთავიც. ამ ბრძოლისათვის იგი დაუჯილდოებიათ ანას III ხარისხის ორდენით. ქალაქ კრასნისთან 3—6 ნოემბერს გამართულ ბრძოლებში თავდადებული მოქმედებისათვის თავადი ერისთავი დაჯილდოვდა ანას II ხარისხის ორდენითა და ოქროს იარაღით, მას რუსი ჯარების საზღვარგარეთულ ლაშქრობაშიც მიუღია მონაწილეობა და, გენერალ ნ. მურავიოვის მოწმობით, დაღუპულა ერთ-ერთ ბრძოლაში 1813 წელს.

ბაგრატ ბატონიშვილის სიაში მხოლოდ ერთი იოსელიანია შეტანილი, სინამდვილეში კი ომში ამ გვარის ორი ოფიცერი მონაწილეობდა. პირველი მათგანი—ზაქარია იოსელიანი იყო ბიძა ისტორიკოს პლატონ იოსელიანისა, რომელმაც დაწერა წიგნი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII ცხოვრების შესახებ. ზაქარია 1812 წელს პორუჩიკი ყოფილა. შემდეგში მას გენერალ-მაიორობისათვის მიუღწევია. იგი გარდაიცვალა 1865 წელს. მისი გმირობა სამაგალითო და მისაბაძი ყოფილა. განსაკუთრებით მას თავი გამოუჩენია ნაპოლეონთან ომში. ნ. მურავიოვი აღნიშნავს, რომ „ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკის ოფიცერთა საზოგადოებაში პირველი პირები იყვნენ მარკოვი, ქაკე, კრეშჩენსკი, ჩერკასოვი, იოსელიანი, კოლჩევსკი და სხვ., რომელნიც გახსაკუთრებული ვაჟკაცობით გამოირჩეოდნენ“, „იოსელიანი, — წერს ნ. მურავიოვი, — წარმოშობით იმერელი, არაჩვეულებრივი სიმაღლის, ძლიერი, უშიშარი, ღარიბი, უბრალო, თვინიერი; აქვს ხუთი თუ ექვსი ჭრილობა. პოლკში ყვებოდნენ, რომ 1812 წლის კამპანიის დროს მას შეუმჩნევია, თუ როგორ შესულა 12 ფრანგი ერთ ბოსელში. იოსელიანს აუღია შუბი, წაუყვანია თან ერთი ულანი, მოლდაველი, გვარად კარპოვი, შევარდნილა იმ ბოსელში და ერთიანად გაუჟლეტია ყველა.

იოსელიანის გვარის მეორე ოფიცერიც ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკის პორუჩიკი ყოფილა. მასაც კრასნისთან ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა და დაჭრილა.

ბაგრატის ყურადღების გარეშე დარჩენილა როტმისტრი ლაშქარიოვიც (ბიბილური), რომელსაც ბოროდინოს ველზე გამოუჩენია თავი: „ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, — წერდა გენერალი კორფი ბარკლაი დე ტოლის, — დაგისახელოთ ამ შემთხვევაში ჩემი ადიუტანტები და კაპიტანი შუბერტი, რომელთაც ხელი შემიწყვეს კავალერიის აშლილი პოლკების შეჩერებაში და კვლავ წესრიგში მოყვანაში. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩემმა ადიუტანტმა იაკოვლევმა და იზიუმის გუსართა პოლკის როტმისტრმა ლაშქარიოვმა, რომელმაც შეაგროვა ხსენებული პოლკის ესკადრონი დამარჯვედ დაარტყა მოწინააღმდეგეს“. ამისთვის კორფმა იგი მთავრობის ჯილდოზე წარადგინა. მოკლე დახასიათებაში, რომელიც ამასთან დაკავშირებით დაიწერა ლაშქარიოვსა და კიდევ ორ სხვა პირზე, ნათქვამია, „როდესაც პოლკი აირია, აღნიშნული ოფიცრები მის წესრიგში მოყვანას ცდილობდნენ, რასაც მიაღწიეს კიდევაც. განსაკუთრებით თავი ისახელა როტმისტრმა ლაშქარიოვმა, რომელმაც შეაგროვა ესკადრონი და შეუტია მტერს“.

ბატონიშვილს სიაში არც ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკის პოდპორუჩიკი, ბოროდინოს ბრძოლაში გმირულად დაღუპული პეტრე გრუზინსკი შეუტანია. ომის მონაწილე ნ. მურავიოვი მაღალ შეფასებას აძლევს ამ პიროვნებას. იგი წერს: „რამდენიმე საათის სროლის შემდეგ ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკში მოკლულ იქნა 700 რიგითი მებრძოლი და 27 ოფიცერი. ეს პოლკი არაჩვეულებრივი გამბედაობით იბრძოდა. აქ მოკლეს ჩემი ნაცნობი პოდპორუჩიკი გრუზინსკი. იგი ძლიერ უყვარდათ პოლკში; მას იცნობდნენ, როგორც კარგ ოფიცერს და კეთილ ამხანაგს“. გრუზინსკისა და მისი თანაპოლკელების შეუპოვარმა და გაბედულმა მოქმედებამ აიძულა მოწინააღმდეგე დაეთმო ხიდი მდინარე კოლოჩაზე.

ბაგრატს, ჩანს, არ სცოდნია, რომ ბოროდინოს ბრძოლაში მონაწილეობდა მოსკოვის დრაგუნთა პოლკის მაიორი მაჭავარიანიც, რომელიც ზედიზედ ორჯერ დაჭრილა, პირველად — 26 აგვისტოს, ბოროდინოს ველზე, ხოლო მეორედ — 28 აგვისტოს.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროები სამამულო ომის მონაწილედ ასახელებენ იმერელი ბატონიშვილის გიორგის ძეს — ალექსანდრე ბაგრატიონს. 1811 წელს იგი დედას გაჰყოლია პეტერბურგში და ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკში ჩარიცხულა კორნეტის წოდებით.

1812 წლის ომში თავი გამოუჩენია, რისთვისაც ბრინჯაოს მედლით დაუჯილდოებიათ. იგი გარდაიცვალა 1862 წელს. სიკვდილის წინ დაუტოვებია ანდერძი, რომლითაც დასტურდება მისი გულწრფელი და თბილი დამოკიდებულება რუსეთისადმი. „ჩემს ძმისწულებს ვუბარებ, — სწერია ანდერძში, — სულითა და გულით უყვარდეთ რუსეთი, მუდამ ერთგულნი იყვნენ ხელმწიფისა და ქვეყნის“.

ბაგრატის სია, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგ შემთხვევაში უფრო მაღალი რანგის პირებსაც არ იხსენიებს. ამ სიაში არ არიან გენერალ-მაიორები: სიმონ გიორგის ძე განგებლიშვილი, ანტონ სტეფანეს ძე შალიკაშვილი და ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილი, რომელთა მონაწილეობა სამამულო ომში სავსებით დადასტურებულია.

ბაგრატის ყურადღების გარეშე დარჩენილა შტაბს-კაპიტანი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი. იგი 1784 წლის 25 იანვარს დაბადებულა სიმბირსკის გუბერნატორის თავად პეტრე მელქისედეკის ძე ბარათაშვილის ოჯახში. მიხეილის პაპა მელქისედეკი — 1724 წელს ქართლის მეფე ვახტანგ VI გაჰყოლია რუსეთში. აქ იგი სამხედრო სამსახურში შესულა. ეს ასპარეზი მიხეილსაც აურჩევია. ომის დაწყებისთანავე იგი მოქმედ არმიაში იყო და არაერთხელ უსახელებია თავი. ბოროდინოს ბრძოლისათვის იგი ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ. საზღვარგარეთული ლაშქრობის (1813—1815 წწ.) დამთავრების შემდეგ მას სამხედრო სამსახურისათვის თავი დაუნებებია და სიმბირსკის (ამჟამად ულიანოვსკი) მახლობლად სოფელ ბარატოვკაში დასახლებულა. 1826 წლის მარტში მიხეილ ბარათაშვილი დაუპატიმრებიათ დეკაბრისტების საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო მალე გაუთავისუფლებიათ. 1839 წლიდან იგი ოთხი წლის მანძილზე საქართველოში საბაჟო საქმეს განაგებდა. საქართველოში ყოფნისას მას ძველი მონეტების მდიდარი კოლექცია შეუგროვებია და დაუწერია წიგნი „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები“. 1856 წელს მიხეილ ბარათაშვილი გარდაიცვალა.

ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, ომში მურადაშვილის ვვარის ოთხ პირს მიუღია მონაწილეობა. ერთი მათგანი, კერძოდ, ივანე გრიგოლის ძე, შედარებით კარგად არის ცნობილი თავისი ლექსების წყალობით, რომელთა შორის ერთ ლექსში 1812 წელს რუსეთში დამარცხებული ფრანგებია გამასხარავებული. სამი დანარჩენის სახელი და ვინაობა უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ ორი მათგანი მსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა მოსკოვის ქვეითთა პოლკში პოდპორუჩიკის წოდებით, ხოლო მესამე, შტაბს-კაპიტანი, ნარვის ქვეითთა პოლკში ირიცხებოდა.

ბაგრატს გამორჩენია აგრეთვე ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი ოთხი ძმა გედევანიშვილი: ერთი კაპიტანი, ორი პორუჩიკი და ერთი პრაპორშჩიკი.

ვიდრე ომში მონაწილე ქართველების ჩამოთვლას დავამთავრებდეთ, საჭიროა დავასახელოთ პოდპოლკოვნიკი მაქაცარიძე, სმოლენსკის ქვეითი პოლკის მაიორი შენგელია, ლიტვის ულანთა პოლკის ოფიცერი გრუზინცევი I (ირაკლი ნიკოლოზის ძე), გრუზინცევი II, დადიანი-მინგრელსკი და ვინმე გოგოლაშვილი (იმერელი). არც ერთი მათგანი ბაგრატის სიაში დასახელებული არ არის.

აქამდე ჩვენ მხოლოდ 1812 წლის საომარ მოქმედებაში მონაწილე ქართველებზე გვქონდა საუბარი. ბევრი მათგანი ნაპოლეონის წინააღმდეგ 1813 — 1815 წლებშიც იბრძოდა და ამრიგად გახდა რუსეთის ჯარების საზღვარგარეთული ლაშქრობის მონაწილე. მაგრამ წყაროები ისეთ ქართველებსაც იცნობენ, რომლებიც 1812 წლის კამპანიაში არ მონაწილეობდნენ და უფრო გვიან ჩაებნენ ბონაპარტეს წინააღმდეგ ომში.

ასეთია, მაგალითად, ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე[4], მის თხზულებაში „ბატონიშვილი გრიგოლის მოგზაურობა ლიტვაში" პირდაპირაა ნათქვამი, რომ ავტორი, როგორც სამხედრო პირი, 1815 წელს მონაწილეობდა რუსეთის ჯარების საზღვარგარეთულ ლაშქრობაში.

იმ ოფიცერთა რიცხვს, რომლებიც მხოლოდ 1813—1815 წწ. ლაშქრობებში მონაწილეობდნენ, მიეკუთვნება თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე[5]. ლაიფციგთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის იგი ანას II ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ. ეს დასტურდება საკმაოდ გავლენიანი პირის 1813 წლის 9 დეკემბრის წერილით მარკიზ პაულუჩისადმი, რომელშიც ნათქამია: „...ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ თავად ჭავჭავაძის ჩემთან გამოგზავნის გამო. მასში მე ვპოვე მარჯვე და საქმისადმი ერთგული ოფიცერი. მას შემდეგ რაც ლაიფციგის ბრძოლისათვის იგი ანას II ხარისხის ორდენით დავაჯილდოვე, ვთხოვე სამხედრო სამინისტროს მმართველს შემატყობინოს, თუ რა განკარგულებაა გაცემული

4 ერეკლე II-ის შვილიშვილი.

5 ბაგრატის სიაში იგი მოხსენიებულია როგორც 1812 წლის ომის მონაწილე, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

თქვენი შუამდგომლობის პასუხად საქართველოს საქმეებისათვის[6] ჭავ-ჭავაძის ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოების თაობაზე.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, გამოდის, რომ 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში 70 ქართველს მიუღია მონაწილეობა (აქედან ორს მხოლოდ საზღვარგარეთულ ლაშქრობაში), მათ შორის 12 გენერალი ყოფილა (ორი ბაგრატიონი, ორი იაშვილი, ორი ფანჩულიძე, სამი ჯავახიშვილი, სიმონ განგებლიშვილი, ანტონ შალიკაშვილი და პავლე ბიბილური). სინამდვილეში ომის მონაწილეთა რიცხვი, რა თქმა უნდა, უფრო დიდი იყო. კერძოდ, უფრო დიდი იქნებოდა რიგითი მებრძოლების რაოდენობა, მაგრამ მათი საქმიანობით მაშინ არავინ დაინტერესებულა და ბუნებრივია, რომ წყაროებსაც არაფერი შემოუნახავთ მათ შესახებ.

ომის მონაწილეთა შორის ჩვენ ვხვდებით როგორც ფეოდალური კლასის, ისე საზოგადოების დაბალი წრის — გლეხობის წარმომადგენლებსაც. იბადება კითხვა: როდის და რა ვითარებაში მოხვდნენ ისინი რუსეთში? ჩანს, მათი ერთი ნაწილი რუსეთში დაბადებულა. სამამულო ომის ისეთ თვალსაჩინო მონაწილეთა წინაპრები, როგორიც იყვნენ განგებლიშვილი, ბიბილური, შალიკაშვილი, ბარათაშვილი, ერისთავი, ფანჩულიძეები, ჯავახიშვილები და სხვ., რუსეთს ჯერ კიდევ 1724 წელს მოევლინნენ, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსესთან ერთად.

ქართველ სამხედრო მოღვაწეთა მეორე ჯგუფი რუსეთში 1801 წლის შემდეგ გამოჩნდა. ამ წლიდან მოყოლებული ვიდრე 1812 წლამდე ალექსანდრე პირველის მთავრობამ საქართველოს სამეფო ოჯახის თითქმის ყველა წევრი გადაასახლა სამშობლოდან. მათ შორის (თანმხლები ამალის ჩათვლით) მომავალი სამამულო ომის ზოგი მონაწილეც ყოფილა. მაგალითად, დედოფალ მარიამს თან ახლდა ვაჟიშვილი, ილია გიორგის ძე, რომელიც პირველადაა მოხსენიებული ბატონიშვილი ბაგრატის სიაში. ომის მეორე მონაწილე იოსებ გაბაშვილი რუსეთში 1803 წელს მოხვდა, როგორც ბატონიშვილის ამალის წევრი. საფიქრებელია, რომ ომის ბევრი სხვა მონაწილეც სწორედ ამ გზითაა ჩასული რუსეთში.

სხვა დროში და სხვა ვითარებაში გადასულან რუსეთში პეტრე და რომან ბაგრატიონთა მშობლები. ჩვენ საგანგებოდ არ ვეხებით და-

---

6 წერილის ავტორს მხედველობაში აქვს ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობა 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩახშობაში.

წვრილებით ამასთან დაკავშირებულ რიგ საინტერესო საკითხს. მხოლოდ ვიტყვით რომ მათ სამშობლო დატოვეს XVIII საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში და ყიზლარში დასახლდნენ. აქ 1765 წელს დაიბადა პეტრე, უფრო მოგვიანებით კი — რომანი.

რაც შეეხება ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ალექსანდრე ბაგრატიონსა და ბატონიშვილ კონსტანტინეს, აღვნიშნავთ, რომ პირველი მათგანი რუსეთში ჩავიდა 1813 წელს მარკიზ პაულუჩისთან ერთად, როგორც მისი ადიუტანტი, მეორე — 1811 წელს, ხოლო მესამე — 1804 წელს იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან მტრული ურთიერთობის გამო.

ასეთია ქართველ მოღვაწეთა რუსეთის სამხედრო ასპარეზზე გამოჩენის ძირითადი გზა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენერალი პეტრე ბაგრატიონი

სახელგანთქმული მხედართმთავარი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, საქართველოს სამეფო გვარეულობის შთამომავალი, დაიბადა 1765 წელს ყიზლარში. 17 წლის ასაკში ის სამხედრო სამსახურში შევიდა და მთელი სიცოცხლე მას შესწირა. ჩვენ არ ვეხებით ბაგრატიონის მოღვაწეობის ყველა პერიოდს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი, მოყოლებული XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან მონაწილეობდა რუსეთის ყველა ომში და უბადლო გმირობით უკვდავყო თავისი სახელი და დიდება დაიმსახურა. პეტრე ბაგრატიონის განსაკუთრებული მხედართმთავრული ნიჭი ერთხელ კიდევ გამოვლინდა 1812 წელს, რუსეთის სამამულო ომში.

ომის მოახლოებამ რუსეთის სამხედრო წრეები შედარებით ადრე აამოქმედა. ომისათვის მზადების პროცესში იმპერატორმა და უმაღლესმა სარდლობამ განიხილეს საომარი მოქმედების წარმართვის სხვადასხვა გეგმა. გეგმა წარმოადგინა ბაგრატიონმაც. მან თავისი მოსაზრებები მომავალი ომის ხასიათსა და მსვლელობაზე ჩამოაყალიბა სპეციალურ გეგმა-წერილში იმპერატორ ალექსანდრე I სახელზე. გეგმის ძირითადი იდეა შეტევითი ომის წარმოება იყო. ბაგრატიონის აზრით, რუსეთი არ უნდა დალოდებოდა მტრის თავდასხმას, არამედ თვითონ დაეწყო ომი, ვიდრე მოწინააღმდეგე მის საზღვრებთან ძალებს შეაგროვებდა, და გაეშალა აქტიური საომარი მოქმედება საფრანგეთის მოკავშირე ქვეყნების (პოლონეთი, პრუსია, ავსტრია) ტერიტორიაზე. „ამრიგად, — წერდა ბაგრატიონი, — მიმაჩნია რა ომი არა მარტო გარდუვალად, არამედ აუცილებლადაც რუსეთის უსაფრთხოებისა და მისი წმიდათაწმიდა უფლებების დასაცავად, მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში უმთავრესია, ერთი მხრივ, თავი დავიზღვიოთ მოულოდნელი თავდასხმისაგან, ხოლო მეორე მხრივ, — მოვიგოთ დრო, სულ ცოტა ექვსი კვირა მაინც, რათა მივაყენოთ პირველი დარტყმები და ვაწარმოოთ შეტევითი და არა თავდაცვითი ომი“.

მოულოდნელად დაწყებული ომი, ჯარების სწრაფი გადაადგილება და ამით მიღწეული წარმატებები, ბაგრატიონის აზრით, დააჩქარებდა მოწინააღმდეგეს, შეიტანდა მის რიგებში არევ-დარევას და, რაც მთავარია, ჩამოაცილებდა მას მოკავშირეებს — ავსტრიასა და პრუსიას, გაანეიტრალებდა პოლონეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატიონის გეგმას ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა, რომელთა განხორციელებას დიდი სარგებლობის მო-

გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი

ტანა შეეძლო, ალექსანდრე პირველმა უარყო იგი და უპირატესობა გენერალ ფულის გეგმას მიანიჭა.

გენერალი კარლ-ლუდვიგ-ავგუსტ ფონ-ფული იმპერატორის ახლომყოფთაგან ყველაზე უნიჭო და კურიოზული ფიგურა იყო. ეს თავის თავში ჩაკეტილი, გარე სამყაროს მთლიანად მოწყვეტილი ადამიანი მხოლოდ თეორიას სცნობდა და წარმოუდგენლად სძულდა პრაქტიკა. მისთვის მთავარი იყო ომის ძირითადი ეტაპების ქაღალდზე გადატანა. იგი სრულიად არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა წინააღმდეგობები შეიძლებოდა აღმართულიყო კაბინეტში შემუშავებული გეგმის წინ, შეიძლებოდა თუ არა ამ გეგმის განხორციელება. ეს საკითხი მას სრულიად არ აწუხებდა. ცნობილია, რომ ფულმა თავისი სამშობლო — პრუსია ნაპოლეონთან ომში სრულ კატასტროფამდე მიიყვანა, რის შემდეგ იძულებული გახდა გადახვეწილიყო რუსეთში, სადაც 1806 წელს იგი დიდი პატივით მიიღო თვით იმპერატორმა. ალექსანდრე I-ს ოდნავ რომ ჰქონოდა ადამიანების გამოცნობის უნარი, ცხადია, ახლოსაც არ გაიკარებდა სამშობლოს მოღალატესა და უნიჭო პრუსიელ გენერალს. მან კი არა მარტო მიიღო იგი, არამედ უსაზღვრო ნდობაც გამოუცხადა, როდესაც მის მიერ შედგენილი საომარი მოქმედების გეგმა მიიღო.

ამ გეგმის ყველაზე სუსტ მხარეს რუსეთის ჯარების სამ ნაწილად დაყოფა წარმოადგენდა, რაც მაქსიმალურად გამოიყენა ნაპოლეონმა. მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რათა არ დაეშვა დაქუცმაცებული ძალების შეერთება. არანაკლებ დამღუპველი იყო გენერალ ფულის წინადადებით საზღვრიდან 150 კილომეტრის დაშორებით დრისას გამაგრებული ბანაკის მოწყობა. არც ადგილმდებარეობით, არც შესრულებული სამუშაობის ხარისხით და არც რაიმე სხვა თვალსაზრისით ეს ბანაკი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჯარების თავმოყრისა და მტრისთვის პირველი სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის საიმედო სიმაგრე. მისი აღების შემდეგ, რაც აღნიშნული მიზეზების გამო არც ისე ძნელი იყო, ნაპოლეონს გზა ეხსნებოდა იმპერიის ორივე დედაქალაქისაკენ — მოსკოვისა და პეტერბურგისაკენ. სწორედ ამაში ხედავდნენ სამხედრო სპეციალისტები დრისას გამაგრებული ბანაკის უვარგისობას. ისინი პირდაპირ ეუბნებოდნენ იმპერატორს, რომ დრისაზე პოზიციის მოწყობის იდეა შეეძლო თავში მოსვლოდა ან გიჟს, ან სამშობლოს მოღალატეს და რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მასზე უარის თქმა. რუსეთისათვის, რომელსაც მტრის 600-ათასიანი არმიის წინააღმდეგ შეეძლო მხოლოდ 200 ათასზე ოდნავ მეტი ჯარისკაცის გამოყვანა, სრულებით არ იყო ხელსაყრელი საზღვარზე, დრისას ბანაკთან

გენერალურ ბრძოლაში ჩაბმა, როგორც ეს ფულის გეგმით იყო გათვალისწინებული. მაგრამ ალექსანდრე I გაჯიუტდა, ყურად არ იღო ეს გაფრთხილება, დაამტკიცა პრუსიელი გენერლის დამღუპველი გეგმა და შეუდგა მის მიხედვით მზადებას საომარი მოქმედებისათვის.

ამ „ბრძნული“ გეგმის შესაბამისად, როგორც უკვე ვთქვით, რუსეთის შეიარაღებული ძალები სამ არმიად დაიყო. პირველი არმია, რომელიც თავის შემადგენლობაში 120 ათას კაცს ითვლიდა, მდინარე ნემანზე იყო განლაგებული და მთავარი შტაბი ვილნოში ჰქონდა. მისი სარდალი გენერალი ბარკლაი დე ტოლი იყო. მეორე არმია, რომლის სარდალი პეტრე ბაგრატიონი იყო, 40 ათასამდე კაცს ითვლიდა, იდგა სამხრეთ ლიტვაში, ხოლო მთავარი შტაბი ვოლკოვისკში ჰქონდა. მესამე, ეგრეთწოდებული სარეზერვო არმია, დაახლოებით 46 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა, მისი სარდალი იყო გენერალი ტორმასოვი. ეს არმია დაბანაკებული იყო ვოლინის მხარეში მთავარი შტაბით — ქ. ლუცკში. პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში ბარკლაის არმიას დრისას ბანაკისაკენ უნდა დაეხია და იქ ჩაბმულიყო გენერალურ ბრძოლაში, რომელიც მისთვის არსებითად დამღუპველი იქნებოდა. რაც შეეხება მეორე არმიას, მას ამ დროს უნდა ემოქმედა მოწინააღმდეგის ფლანგებსა და ზურგში.

1812 წლის 12 ივნისს ფრანგებმა ომის გამოუცხადებლად გადალახეს რუსეთის საზღვრები. პირველ არმიას, რომელიც მტერს პირისპირ შეხვდა, ფაქტიურად მისთვის რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევია. მან მიატოვა ვილნო და ფულის გეგმის თანახმად დრისას ბანაკისაკენ დაიხია. ფრანგები შევიდნენ მიტოვებულ ქალაქში, ხოლო ნაპოლეონი 220-ათასიანი არმიით ბარკლაის დაედევნა და განიზრახა მისი განადგურება დრისას მახეში.

ამავე დროს ფრანგების 136-ათასიანი არმია მისდევდა ბაგრატიონს, რომელიც ვოლკოვისკიდან მინსკ-ბორისოვის მიმართულებით მიდიოდა. ფრანგების მრავალრიცხოვანი ძალების მეთაურებს დავუს, პონიატოვსკის, ნაპოლეონის ძმას ჟეროომ ბონაპარტეს, ლატურ-მობურსა და სხვებს ნაბრძანები ჰქონდათ მეორე არმიის სრული იზოლაცია და განადგურება.

კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მეორე არმიას მთელი ძალები უნდა დაეძაბა, გამოეჩინა უდიდესი გამძლეობა. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში წარმოუდგენელი დაბრკოლებების გადალახვით არმია მინსკ-ბორისოვოს გზით მიემართებოდა პირველ არმიასთან შესაერ-

თებლად. მაგრამ მინსკთან მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან ძალებს მოეყარა თავი, რამაც აიძულა ბაგრატიონი აექცია მხარი ქალაქისათვის და ლუცკ-ბობრუისკზე გავლით მოგილიოვისკენ წასულიყო. ეს 300-ვერსიანი გზა მას ძალზე მოკლე დროში უნდა დაეფარა. რა თქმა უნდა, ეს იყო მეტად რთული და სახიფათო საქმე, რადგანაც მეორე არმიას ფეხდაფეხ მოსდევდა ფრანგების დიდი ლაშქარი.

ბაგრატიონი დინჯად და ვაჟკაცურად ხვდებოდა ყველა სიძნელეს, მაგრამ იგი უკიდურესად აღშფოთებული იყო ბარკლაის უმოქმედობით, რის გამოც მოწინააღმდეგე ქვეყნის შიგნით ფაქტიურად უბრძოლველად შემოვიდა. „ვიდრე მოწინააღმდეგე შემოიჭრებოდა გასროლის გარეშე, — წერდა იგი 26 ივნისს გრაფ არაკჩეევს, — ჩვენ, კაცმა არ იცის, რატომ უკანდახევა დავიწყეთ. ვერავის ვერ დაარწმუნებ ვერც ჯარში და ვერც მთელ რუსეთში, რომ გაყიდულები არა ვართ. მე მარტო მთელ რუსეთს ვერ დავიცავ. პირველმა არმიამ მყისვე უნდა დაიწყოს შეტევა ვილნოს მიმართულებით. ნეტავ რისი ეშინია? მე ყოველი მხრიდან მტერი მახვევია, წინასწარ ვერ ვიტყვი საით გავაღწევ. ღვთის წყალობით, ძილს არ მივეცემი, ოღონდ ჯანმრთელად ვიყო, რაღაც ამ ბოლო დროს მაწუხებს. გთხოვთ, შეუტიეთ, თორემ ცუდი რამ გველის. რუსები არ უნდა გარბოდნენ... ეგრე პრუსიელებზე უარესნი გავხდით. მე ვიპოვი ადგილს და ბრძოლით გავიკვლევ გზას... თქვენ კი უნდა გრცხვენოდეთ... ზურგში გამაგრებული ბანაკი გაქვთ, ფლანგები თავისუფალი, წინ მოწინააღმდეგის სუსტი კორპუსებია... უნდა შეუტიოთ. ჩემი კუდი ყოველდღე ბრძოლაშია... სიხარულით გავაკეთებ ყველაფერს, მაგრამ სინდისიც და სამართლიანობაც ხომ უნდა არსებობდეს. თქვენ უკან ივლით, მე კი სულ გზას უნდა ვიკაფავდე. თუკი ვინმე ჩემ ფიგურას ვერ იტანს, უმჯობესია გამათავისუფლოთ უღელისაგან, კისერზე რომ მადევს, სარდლად სხვა გამოგზავნეთ, ჯარს კი უმიზნოდ ნუ აწვალებთ, გირჩევთ დაუყოვნებლივ შეუტიოთ, ნურავის ნუ უსმენთ“.

ეს გულისწყრომა არსებითად ალექსანდრე I მიმართაა გამოთქმული, რადგანაც სწორედ მისი ბრძანებით იყო მიღებული ფულის მავნე გეგმა, რომლის მძიმე შედეგების გადატანა უმთავრესად ბაგრატიონს და მის არმიას უხდებოდა. აღშფოთებას, გულისტკივილს ბევრი სხვაც გამოთქვამდა. სუვოროვის სკოლის გენერლები დაბეჯითებით ცდილობდნენ დაერწმუნებიათ იმპერატორი საომარი მოქმედების გეგ-

მის უვარგისობაში ისინი დრისას ბანაკის დატოვებას და პირველი და მეორე არმიის დაუყოვნებლივ შეერთებას მოითხოვდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს და ბოლოს ჯიუტი იმპერატორი გონს მოვიდა. მან რადიკალურად შეიცვალა აზრი პრუსიელ გენერალზე და აღარც ელაპარაკებოდა. სამხედრო საბჭოზე გადაწყდა დრისას ბანაკის უბრძოლველად დატოვება და აღმოსავლეთის, ქვეყნის სიღრმეში უკანდახევა. ბანაკში ექვსდღიანი დგომის შემდეგ, 2 ივლისს პირველმა არმიამ დასტოვა დრისა და ვიტებსკისაკენ გაემართა, რომელსაც 11 ივლისს მიაღწია. ბარკლაი ბრძოლის გამართვას ფიქრობდა ქალაქის კედლებთან და ამიტომაც უცდიდა ბაგრატიონს, რომელიც, მისი ვარაუდით, მალე უნდა გამოჩენილიყო ვიტებსკთან. მაგრამ ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ბრძოლა არ შედგა. საქმე იმაში იყო, რომ დავუმ რამდენიმე საათით დაასწრო ბაგრატიონს და დაიკავა მოგილიოვი. ეს ამბავი ბაგრატიონმა 9 ივლისს შეიტყო, როდესაც მეორე არმია დაბანაკდა მოგილიოვიდან 40 ვერსის დაშორებით მდებარე ქალაქ სტარი ბიხოვში.

გენერალი ვაჟკაცურად შეხვდა ამ ამბავს და გადაწყვიტა ოკუპირებული ქალაქის გათავისუფლება. თავისი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მან დააკისრა გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკის. რაევსკი დაუყოვნებლივ მოეკიდა საქმეს. ბრძანების მიღების დღესვე მისი კორპუსი მოგილიოვს 20 ვერსით მიუახლოვდა და დაბანაკდა სოფელ დაშკოვკაში, ხოლო მისი ავანგარდი ქალაქიდან 8 ვერსის მანძილზე განლაგდა. რაევსკის კორპუსის წინააღმდეგ მტერმა მრავალრიცხოვანი ძალები დასძრა მარშალ დავუსა და გენერალ მორტიეს მეთაურობით. 11 ივლისს მოწინააღმდეგენი პირისპირ შეხვდნენ ჯერ დაშკოვკასთან, ხოლო მოგვიანებით სალტანოვკასა და ნოვოსიოლკასთან. ბაგრატიონელები თავგანწირვით იბრძოდნენ, ორჯერ დაჭრილნიც კი არ ტოვებდნენ ბრძოლის ველს.

მართალია, ამ ოპერაციებმა მოგილიოვი ვერ გაათავისუფლეს, მაგრამ მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. დაშკოვკა-სალტანოვკასთან ბრძოლებმა დავუ დაარწმუნა ბაგრატიონის მტკიცე გადაწყვეტილებაში — დაეხსნა მოგილიოვი. როგორც უკვე ითქვა, რუსებს, მართლაც, ჰქონდათ ასეთი განზრახვა, მაგრამ დავუ ვერ მიუხვდა ბაგრატიონის უფრო გვიანდელ გადაწყვეტილებას და სასტიკად მოტყუებული დარჩა. ბაგრატიონი დარწმუნდა თუ არა, რომ მოგილიოვს ვერ აიღებდა, დავუს რწმენის განსამტკიცებლად ჯარის საკმაოდ ძლიერი შენაერთები დატოვა ნოვოსიოლკასთან, თვითონ კი შეეცადა გა-

დაელახა დნეპრი ნოვი ბიხოვთან. 17 ივლისს გენერლის გადაწყვეტილება ბრწყინვალედ განხორციელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მსხვერპლის ფასად მიღწეული ამ წარმატებით ბაგრატიონმა თავი დააღწია მრავალრიცხოვან მდევარს, უზრუნველყო პირველ არმიასთან შეერთება, რითაც ფაქტიურად გადაწყვიტა 1812 წლის კამპანიის ბედი.

ბარკლაის არმია, როგორც უკვე ითქვა, ბაგრატიონს ვიტებსკში ელოდა. 5 დღის განმავლობაში რუსები ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მოძალებულ მტერს, რომლის შესაჩერებლად 13 და 14 ივლისს ოსტროვნოსა და კაკზვაჩინოსთან გაიმართა სისხლისმღვრელი შეტაკებები. ბარკლაი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა. მან გადაწყვიტა არ დალოდებოდა ბაგრატიონს და დაეწყო გენერალური ბრძოლა. გენერალი ალექსი ერმოლოვი, რომელიც შტაბის უფროსის თანამდებობაზე იყო, აგრეთვე სხვა გენერლებიც წინ აღუდგნენ სარდლის გადაწყვეტილებას და დიდი კამათის შემდეგ დაარწმუნეს იგი უარი ეთქვა მასზე. 15 ივლისს ბარკლაი დე ტოლიმ უბრძანა ჯარს დაეხია სმოლენსკისაკენ. იმავე დღეს მასთან გამოცხადდა ბაგრატიონის ადიუტანტი თავადი მენშიკოვი და აუწყა, რომ მეორე არმიაც სმოლენსკისაკენ მიემართება.

22 ივლისს სმოლენსკთან მოხდა ორი არმიის შეერთება, რასაც, ვიმეორებთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ომის შემდგომი მსვლელობისათვის. გაერთიანებული არმიის სარდლობა ბარკლაი დე ტოლიმ ითავა.

ბაგრატიონმა აცნობა იმპერატორს, რომ იგი ბარკლაის თავისი ნებით დაემორჩილა.

ამ მნიშვნელოვანმა მოვლენამ საყოველთაო აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია. ხალხი იმედოვნებდა, რომ უკანდახევა შეწყდებოდა და სმოლენსკთან გაიმართებოდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომლის შედეგად მტერი განადგურდებოდა. ასე ფიქრობდა ბაგრატიონიც. მისი არმია მოუთმენლად ელოდა შესაბამის ბრძანებას და მიუხედავად გადატანილი სიმძიმეებისა, მისი საბრძოლო პოტენციალი მაინც მაღალი იყო.

ნაპოლეონს თავზარი დასცა ბარკლაის ვიტებსკიდან წასვლის ამბავმა. მან იგრძნო, რომ ორი არმიის შეერთებას უკვე ვერაფერი აღუდგებოდა წინ. ჩაიფუშა მისი არცთუ უსაფუძვლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პირველი და მეორე არმიის ცალ-ცალკე განად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურებას. უფრო მეტიც, ჩანს, მას საერთოდ შეეცვალა აზრი რუსეთთან ომის ხასიათსა და ხანგრძლივობაზე. მან თავდაპირველი ვარაუდის საწინააღმდეგოდ რუსეთთან ომი სამწლიან კამპანიად გამოაცხადა. „მიურატ, — ეუბნებოდა იგი მარშალს, — პირველი რუსული კამპანია დასრულდა... 1813 წელს ჩვენ მოსკოვში ვიქნებით, 1814 წელს — პეტერბურგში. რუსეთთან ომი — სამწლიანი ომია“.

მიურატი არ დაეთანხმა იმპერატორს. იგი დაჟინებით ურჩევდა მას დაუყოვნებლივ წასულიყო სმოლენსკისაკენ, შებრძოლებოდა ბარკლაი-ბაგრატიონის გაერთიანებულ ძალებს, დაემარცხებინა ისინი და იმავე წელს წერტილი დაესვა დაწყებული ომისათვის.

დიდი ყოყმანის შემდეგ ნაპოლეონმა ყურად იღო მიურატის რჩევა. მიატოვა ვიტებსკი, სმოლენსკისაკენ გაემართა და მთელი ძალებით შეუტია მის მისადგომებთან მდებარე ქალაქ კრასნის. აქ მას დახვდა გენერალ ნეველოვსკის დივიზია, რომელმაც ნეის და მიურატის კორპუსებს არნახული წინააღმდეგობა გაუწია. თანამედროვეების მოწმობით დივიზიამ მტერს არ დაუთმო არც ერთი ქვემეხი, ტყვედ არ ჩაბარდა არც ერთი კაცი. ნეველოვსკი მედგრად იბრძოდა და მხოლოდ მაშინ დაიხია სმოლენსკისაკენ, როდესაც დივიზია განახევრდა. ფრანგმა თანამედროვემ სეგიურმა ნეველოვსკის დახევას „ლომების უკან დახევა“ უწოდა.

3 აგვისტოს ფრანგებმა კრასნი დაიკავეს და სმოლენსკისკენ განაგრძეს სვლა. ქალაქში მყოფი ნეველოვსკი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქალაქსა და მის დამცველებს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდათ. გენერალი ნეველოვსკი კარგად გრძნობდა ამას და მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ბაგრატიონს სთხოვა დახმარება. ბაგრატიონმა, რომელიც ქალაქს სხვა მხრიდან იცავდა, უბრძანა გენერალ ნიკოლოზ რაევსკის სასწრაფოდ მიშველებოდა სისხლისაგან დაცლილ ნეველოვსკის რაზმს. რამდენიმე საათის შემდეგ რაევსკი ქალაქის დამცველთა ნაწილებს შეუერთდა. მალე ორივე არმია გაემართა ქალაქისაკენ, მაგრამ მათ საკმაო მანძილი ჰქონდათ გასავლელი. ამრიგად რაევსკის წინაშე თითქმის გადაუჭრელი ამოცანა იდგა, ბარკლაის და ბაგრატიონის მოსვლამდე თავისი ერთი კორპუსით და 27-ე დივიზიის ნაშთებით დაეცვა სმოლენსკი მრავალრიცხოვანი მტრის იერიშებისაგან. ნაპოლეონის გეგმით, დავუს, ნეის და პონიატოვსკის კორპუსებს იერიშით უნდა აეღოთ სმოლენსკი, რაც, იმპერატორის აზრით, არ იყო რთული, რადგანაც რუსების ძირითად ძალებს

ქალაქისაგან დიდი მანძილი აშორებდა. ჟიუნოს კორპუსს ევალებოდა სმოლენსკის შემოვლით მოსკოვის დიდ გზაზე გასვლა, მისი ბლოკირება და ამით ბარკლაისათვის უკანდასახევი გზის მოჭრა, თუკი იგი ამჯერადაც აარიდებდა თავს გენერალურ ბრძოლას.

ნაპოლეონის გეგმების განხორციელებას წინ აღუდგა ქალაქის დამცველთა შეუპოვრობა. მათ სიკვდილის ფასად მტრის შეჩერება გადაწყვიტეს. 4 აგვისტოს, განთიადისას მტერმა სმოლენსკს არტილერიის ცეცხლი დაუშინა. ბრძოლა ქალაქისათვის მთელ დღეს გრძელდებოდა. „მეგობარო, განა მოვდივარ, მოვრბივარ; მინდა ფრთები მქონდეს, რომ ჩქარა შეგიერთდე. გაუძელ, ღმერთი გიშველის“, — სწერდა ბაგრატიონი დასაღუპად განწირულ რაევსკის. გენერალმა რაევსკიმ ჩინებულად გაართვა თავი დაკისრებულ მისიას და თავისი შედარებით მცირე რაზმებით (სულ 15 ათას კაცამდე) მტრის 182-ათასიან არმიას არ მისცა სმოლენსკის აღების საშუალება. რუსების შეუპოვრობა ყველას აცვიფრებდა, მათ შორის ნაპოლეონსაც, რომელიც არაერთხელ იგონებდა რაევსკის კორპუსის თავგანწირვას და სიმამაცეს წმ. ელენეს კუნძულზე.

4 აგვისტოს დილის 10 საათზე სმოლენსკში ბაგრატიონის არმიის გრენადერთა დივიზია შევიდა, რამაც საგრძნობლად გააძლიერა ქალაქის გარნიზონი. იმავე დღეს ქალაქს პირველი არმიის ნაწილები მიუახლოვდნენ, ხოლო ღამით რაევსკის კორპუსის გადარჩენილი ნაწილები ინფანტერიის გენერლის დოხტუროვის კორპუსმა შესცვალა.

მეორე დღეს მოსალოდნელი იყო სისხლისმღვრელი ბრძოლა და ორივე მხარე სერიოზულად ემზადებოდა მისთვის. ბონაპარტე გახარებული იყო იმით, რომ ბოლოს და ბოლოს აიძულა რუსები მიეღოთ გენერალური ბრძოლა.

ამასობაში ბარკლაი დე ტოლიმ შეიტყო, რომ ნაპოლეონი აპირებდა სმოლენსკის შემოვლით მოსკოვის დიდ გზაზე გასვლას და რუსებისათვის უკანდასახევი გზის მოჭრას. აუცილებელი გახდა ამ საფრთხის თავიდან აცილება. ეს ამოცანა დაევალა მეორე არმიას, ხოლო სმოლენსკის დაცვა ბარკლაიმ ითავა. ბაგრატიონმა ქალაქი დატოვა დარწმუნებულმა, რომ პირველი არმია უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას. „...როგორც კი გაირკვა მტრის განზრახვა, — სწერდა იგი იმპერატორს, — სმოლენსკის იერიშების პარალელურად თავისი ძალების ნაწილი მოსკოვის გზაზე გადაესროლა, მე, სამხედრო მინისტრთან

შეთანხმებით, სმოლენსკი დასაცავად დავუტოვე პირველ არმიას, თავად კი 12 ვერსით დავიხიე დოროგობუჟის გზით, რომელიც მოსკოვისკენ მიდის, რათა ეს უკანასკნელი დამეცვა... ვიმედოვნებ, რომ სამხედრო მინისტრი, რომლის განკარგულებაშია სრულ მზადყოფნაში მყოფი პირველი არმია, სმოლენსკს არ დათმობს".

5 აგვისტოს, მთელი დღის განმავლობაში, ქალაქის კედლებთან არ დამცხრალა სისხლისმღვრელი ომი. ფრანგებმა რამდენჯერმე შეუტიეს რუსებს, მაგრამ წარუმატებლად. ჯარისკაცები, ოფიცრები, გენერლები, მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, მზად იყვნენ განეგრძოთ ქალაქის დაცვა. მაგრამ მათი სურვილი განუხორციელებელი დარჩა. ბარკლაი დე ტოლიმ, რომელსაც სმოლენსკის დაცვა დამღუპველად მიაჩნდა, 6 აგვისტოს ბრძანება გასცა აეფეთქებინათ დენთის საწყობები და დაეტოვებინათ ქალაქი, ცეცხლმოდებულ ქალაქს მტერი დაეპატრონა.

მთავარსარდლის ამ გადაწყვეტილებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. „ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები საჯაროდ უწოდებდნენ ბარკლაის მოღალატეს", — წერს ამ ამბების მონაწილე ნ. მურავიოვი. რაც შეეხება ბაგრატიონს, იგი ამ უკანდახევას დანაშაულად თვლიდა. „არ დავიკვეხნი, — სწერდა იგი გრაფ როსტოპჩინს, — ვიბრძოდი სახელოვნად და ყოჩაღად, ბატონი ნაპოლეონი არათუ შემოვუშვი, არამედ კარგადაც ვაგორავე. დიდად დავალებული ვარ გენერალ რაევსკისაგან. იგი კორპუსს მეთაურობდა, იბრძოდა ვაჟკაცურად და ყველაფერი ჩინებულად მოაგვარა. ნევეროვსკის ახალი, 27-ე დივიზია შეუდრეკლად იდგა, მაგრამ... ბარკლაიმ ტყუილად ჩააბარა სახელგანთქმული პოზიცია. პირადად ვთხოვე და სერიოზულად ვწერდი კიდევაც უკან არ დაეხია, მაგრამ როგორც კი დოროგობუჟისაკენ გავემართე, ისიც წამოეთრა... გეფიცებით, ნაპოლეონი ხაფანგში იყო, მაგრამ იგი (ბარკლაი — ი. ა.) არ ეთანხმება ჩემს წინადადებებს და აკეთებს იმას, რაც მტრისთვის ხელსაყრელია... ბარკლაის არ ვენდობი. იგი ფრანგებს მოგითრევთ". აღშფოთებითაა აღსავსე მისი 7 აგვისტოს წერილი არაკჩეევისადმი: „ღვთის გულისათვის მითხარით, რას იტყვის დედა-რუსეთი თავს რომ ასე ვირცხვენთ. რაღად ვაძლევთ ეგზომ კეთილ ქვეყანას არამზადებს, რად ვუნერგავთ ქვეშევრდომებს სიძულვილსა და ზიზღს? რად შეგვიპყრო შიშმა, ვისი გვეშინია? განა ჩემი ბრალია, რომ მინისტრი მერყევი, მშიშარა, უნიჭო, ზანტი და სხვა ცუდი თვისების მატარებელია...

მთელი ჯარი ტირის და წყევლის მას... ღმერთმანი უბედურებაა ჩვენს თავს...“.

ბაგრატიონი დარწმუნებული იყო, რომ დაღლილობის გამო ნაპოლეონი არ დააჩქარებდა მოსკოვისკენ სვლას, და მაინც იგი ურჩევდა დედაქალაქის თავკაცებს დაუყოვნებლივ „მოემზადებინათ ასი ათასი კაცი მაინც, რათა მტრის მოახლოების შემთხვევაში, ან გაეწყვიტათ იგი, ან მამულის კედლებთან დაცემულიყვნენ“. ბაგრატიონი მოითხოვდა ბრძოლას ფრანგების სრულ განადგურებამდე. არაკჩეევის მეშვეობით იგი აფრთხილებდა ალექსანდრე I მთავრობას, რომ მოწინააღმდეგესთან დაზავების ყოველგვარმა ცდამ შეიძლება გამოიწვიოს რუსი ხალხის საყოველთაო აღშფოთება და აჯანყება. „რადგან ასე მოხდა,— ნათქვამია იმავე წერილში, — უნდა ვიბრძოლოთ, ვიდრე რუსეთს შეუძლია და ხალხი ფეხზე დგას. ეს ომი ჩვეულებრივი როდია, იგი ეროვნულია და ჩვენ ჩვენი ღირსება უნდა დავიცვათ“. პეტრე ბაგრატიონი ამ წერილშიც აღნიშნავდა, რომ ბარკლაი, როგორც გენერალი, არათუ ცუდია, არამედ უვარგისი.

ამავე სულისკვეთებითაა დაწერილი 15 აგვისტოს წერილი ადმირალ ჩიჩაგოვისადმი. „ჩვენი უკანდახევები არაფრად ვარგა. ვერ გამიგია, ვინ არის ამის მიზეზი... მე ვიძახი წინ, ის კი (ბარკლაი —ი. ა.) — უკანო. აგრე რიგად სულ მალე მოსკოვსაც მივუახლოვდებით“.

სმოლენსკის დატოვების შემდეგ რუსები უკან იხევდნენ. მტერს თითქოს გამარჯვება უნდა ეზეიმა, მაგრამ სინამდვილე სხვაგვარი გამოდგა. უკლებლივ ყველა წყარო, როგორც რუსული, ისე ფრანგული, აღნიშნავს, რომ ნაპოლეონის არმია სმოლენსკში შესვლისას და მას შემდეგ კატასტროფულ მდგომარეობაში იყო. მან ქალაქის კედლებამდე რის ვაი-ვაგლახით მიაღწია.

დატანჯულ, საგრძნობლად შეთხელებულ და გადაქანცულ მტრის ლაშქარს სმოლენსკში შესვლამდე ერთი იმედი ასულდგმულებდა, რომ ქალაქის აღების შემდეგ მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვლებოდა. „მთელი არმია ფიქრობდა, — ამბობდა ნაპოლეონი, — რომ აქ (სმოლენსკში — ი. ა.) მძიმე ლაშქრობა დამთავრდებოდა და იგი აღმოჩნდებოდა ბარაქიან ქვეყანაში, ცოტათი მაინც ისიამოვნებდა დასვენებით... ჩემი ჯარები, აღშფოთებულნი იმით, რომ უმძიმესი ბრძოლებისა და ხანგრძლივი გადასვლების შემდეგ, მათი იმედები თანდათან უფრო შორს იწევდა, ერთგვარი მოუსვენრობით აკვირდებოდნენ მანძილს, რომელიც მათ საფრანგეთს აშორებდა“.

გვამებითა და მომაკვდავებით გავსებულ, ცეცხლმოდებულ სმოლენსკში შესვლამ მოწინააღმდეგეს შვება ვერ მოუტანა. ქალაქში არათუ დანაყრება არ შეიძლებოდა, არამედ გამოსაძინებელ ადგილსაც ვერ ნახავდა კაცი. ფრანგები მორალურად განადგურდნენ, ჯარის ფიზიკური მდგომარეობა უვარგისი იყო. ნაპოლეონმა კარგად იცოდა ყოველივე ეს. იცოდნენ მარშლებმაც და გენერლებმაც, ხოლო ჯარისკაცები უშუალოდ განიცდიდნენ ამ ოპერაციის დამღუპველ შედეგებს. ამას ერთოდა ახალი შეტაკებები, ხანგრძლივი და მომქანცველი გადასვლები და, რაც მთავარია, გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც სმოლენსკთან არ შედგა.

ფრანგების წარმატებანი ძალიან საეჭვო იყო და იმედის ნაპერწკალი თანდათან ქრებოდა.

„ზავი უნდა დაიდოს, უნდა დაჩქარდეს ომის დამთავრება, მისი გაგრძელება დაგვღუპავს“, — პირდაპირ ეუბნებოდნენ ნაპოლეონს მისი მარშალები და გენერლები. — ეს ყველაზე კარგად იცოდა თავად იმპერატორმა, მაგრამ რუსები არავითარ ზავზე არ ფიქრობდნენ.

სმოლენსკის დატოვების შემდეგ რუსეთის ორივე არმია მოსკოვისაკენ იხევდა. მიუხედავად ამისა, გენერალური ბრძოლის აუცილებლობას ყველა გრძნობდა, მათ შორის ბარკლაის მომხრეებიც. ბარკლაიმ მიიღო გადაწყვეტილება გაემართა პირველსავე ხელსაყრელ პოზიციაზე „ნორმალური თავდაცვითი ბრძოლა“. ბრძოლის ადგილის შერჩევა დაევალა რუსეთის არმიის გენერალ-კვარტირმეისტერს პოლკოვნიკ ტოლს. მან შეარჩია პოზიცია დოროგობუჟის წინ, სოფელ უსვიატისთან, მდინარე ოშის გადაღმა. 12 აგვისტოს პოზიცია დაათვალიერეს ბარკლაი დე ტოლიმ, ბაგრატიონმა და იმპერატორ ალექსანდრეს ძმამ კონსტატინე პავლეს ძემ. ბარკლაის ადგილი არ მოეწონა და მან მისი ხარვეზები აღნიშნა. არ მოეწონა იგი ბაგრატიონსაც. მაგრამ ჯიუტმა, ზედმეტად თავდაჯერებულმა ტოლმა, რომელიც ამავე დროს არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ზრდილობით, დაიწყო პოზიციის დაცვა საკმაოდ „თავშეუკავებელი გამოთქმების“ მეშვეობით. იგი აბეზღებდა, რომ მის მიერ შერჩეული პოზიცია უნაკლოა, ხოლო ოპონენტების პრეტენზიები უსაფუძვლო და არგუმენტაციას მოკლებული; მან, ტოლმა, იცის პოზიციების შერჩევა და არავის რჩევა-დარიგებანი არ სჭირდება. ბარკლაი ჩვეული სიმშვიდითა და გულგრილობით შეხვდა პოლკოვნიკის ასეთ ქცევას. ბაგრატიონი კი ისე გაფიცხდა, რომ უყვირა: „როგორ ბედავ შენ ასეთ ლაპარაკს, თანაც ვის

წინაშე, შეხედე, ხელმწიფის ძმისა და მთავარსარდლის წინაშე, ლაწირაკო! იცი რისი სუნი სდის ამას — თეთრი ხალათის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბოლოოდ პოზიცია დაწუნებულ იქნა და ისევ გაგრძელდა უკანდახევა მოსკოვისაკენ, რომელშიაც ბრალი ისევ ბარკლაის დაედო. საერთოდ ბარკლაის პიროვნება მაინცდამაინც პოპულარული არ ყოფილა, ამ დროისათვის კი იგი ყველას შესძულდა. არმიაშიც და ხალხშიც ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი მოღალატეა, რომელსაც არა აქვს არც უფლება და არც უნარი იყოს ჯარების სარდალი. არმია სულ უფრო და უფრო ბაგრატიონისაკენ იხრებოდა. ამას კარგად გრძნობდა ბაგრატიონიც. 26 ივლისს იგი სწერდა გრაფ არაკჩეევს: „მთელი არმია საჯაროდ მთხოვდა, რომ ყველაფერის უფროსი მე ვყოფილიყავი“.

რუსი ჯარების გაუთავებელმა უკანდახევამ დიდი შეშფოთება გამოიწვია მოსკოვში. შიშმა განსაკუთრებით მაღალი წრეები მოიცვა, რომლებიც ცდილობდნენ სხვებზე ადრე გასულიყვნენ ქალაქიდან, რომ გადაერჩინათ თავიანთი სიცოცხლე და ქონება. „მე მოვითხოვე,—წერდა როსტოპჩინი, — წარმოედგინათ ჩემთვის ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ეკიპაჟი გადიოდა ყოველდღიურად იაროსლავლის, პეტერბურგის, ვლადიმირის და რიაზანის კარებიდან. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვაგვარი ეტლების რაოდენობა ყოველდღიურად 1320 აღწევდა, უბრალო სამცხენიანი ეტლების ჩაუთვლელად“. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში მკვეთრად გაძვირდა ტრანსპორტი. 3 ცხენის დაქირავება 50 ვერსის მანძილზე 300 მანეთი ღირდა, რაც დაახლოებით 10-ჯერ აღემატებოდა ომამდე არსებულ ფასებს.

შექმნილი ვითარება სერიოზულ ყურადღებას ითხოვდა. იმპერატორთან დაახლოებული პირები არწმუნებდნენ მას, რომ წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი სარდლებს შორის უთანხმოება და ბარკლაისადმი უნდობლობა იყო. დაუყოვნებლივ საჭირო იყო ახალი მთავარსარდლის დანიშვნა, რომელსაც საერთო ნდობა და პატივისცემა ექნებოდა.

სწორედ ამ დროს ალექსანდრე I მიიღო გრაფი შუვალოვის შემდეგი შინაარსის წერილი: „თუ თქვენი უდიდებულესობა ორივე არმიას ერთ მეთაურს არ დაუნიშნავს, **გარწმუნებთ ჩემი სინდისითა და** პატიოსნებით, შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ. არმია იმდენად უკმაყოფილოა, რომ ჯარისკაციც კი ბუზღუნებს. ჯარი უნდობლად უყურებს სარდალს. გენერალი ბარკლაი და თავადი ბაგრატიონი ერთმა-

ნეთს ვერ შეეწყვნენ. ამ უკანასკნელის უკმაყოფილება ჭეშმარიტად სამართლიანია... საჭიროა სხვა მხედართმთავარი, რომელიც ოთხეულ-მიას უსარდლებს და თქვენმა უდიდებულესობამ დაუყოვნებლივ უნდა დანიშნოს იგი, სხვაგვარად რუსეთი დაიღუპება“.

ერთი სიტყვით, ჯარიც და ხალხიც ერთსულოვნად ითხოვდნენ სრულუფლებიანი მთავარსარდლის დანიშვნას, ასეთად კი მათ მხოლოდ მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი ესახებოდათ. ალექსანდრე I იძულებული გახდა გაეწია ანგარიში საზოგადოებრივი აზრისათვის და, თავისი სურვილის წინააღმდეგ, 8 აგვისტოს კუტუზოვი მთავარსარდლად დანიშნა.

17 აგვისტოს რუსის ჯარებმა უკან დაიხიეს და ცარიოვო-ზაიმიშჩეში შევიდნენ, სადაც ბარკლაიმ ბრძოლისათვის პოზიცია შეარჩია. უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატიონს არც ეს პოზიცია მოსწონდა, რაც მან ბარკლაის წერილობით აცნობა. ბრძოლისათვის ხელსაყრელ ადგილად მას გჟატსკი მიაჩნდა, საითაც ურჩევდა ჯარის წაყვანას. მაგრამ იგი ამას დაჟინებით არ ითხოვდა, რადგანაც გაფრთხილებული იყო ალექსანდრე I სპეციალური წერილით კუტუზოვის მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ. და მართლაც, 17 აგვისტოს ცარიოვო-ზაიმიშჩეში კუტუზოვიც ჩავიდა. ეს ამბავი სასწრაფოდ გავრცელდა და მეორე დღეს მთელმა არმიამ შეიტყო ახალი სარდლის ჩამოსვლის ამბავი.

არმიაში მიხეილ კუტუზოვის გამოჩენამ, თანამედროვეთა მოწმობით, საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ეს იყო გენერალი, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვებებით არაერთხელ ასახელა რუსეთი და რომელიც ხალხისა და ჯარის უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა. „ჩამოვიდა კუტუზოვი, რომ გაჟლიტოს ფრანცუზები“, — ამბობდნენ ჯარისკაცები. ამ სიტყვებს ისინი სიხარულით იმეორებდნენ, რადგანაც ერთი წამითაც არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ კუტუზოვი ბოლოს მოუღებდა დაუსრულებელ და „სამარცხვინო“ უკანდახევას.

„თვალის დახამხამებაში ჯარში გავრცელდა ხმა თავად კუტუზოვის ჩამოსვლის შესახებ, — წერს ერთ-ერთი თანამედროვე. — სიხარულის წუთს ვერავინ ვერ გადმოსცემს. ამ მხედართმთავრის სახელმა მოახდინა საბრძოლო სულის საყოველთაო აღორძინება. ყველა, ვისაც კი შეეძლო, გაქანდა მის შესახვედრად... ოფიცრები ერთმანეთს გულწრფელად ულოცავდნენ ბედნიერ ცვლილებას. ჯარისკაცებიც, რომლებიც ქვაბებით ხელში წყლის მოსატანად ზანტად მიდიოდნენ, შეი-

ტყვეს თუ არა საყვარელი სარდლის ჩამოსვლის ამბავი, „ვაშას“ ძახილით ისე გაქანდნენ მდინარისაკენ გეგონებოდათ მტერს მისდევნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არც ახალი სარდალი იყო განწყობილი გენერალური ბრძოლისათვის. მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: უმცირესი მსხვერპლის გაღებით რუსეთის მთლიანი გათავისუფლება. ნაპოლეონის არმიის განადგურება რუსების უმცირესი დანაკარგით — ასეთი იყო მისი გეგმა.

ახალი მთავარსარდალი მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგა. მან არმია ჩაიბარა უკანდახევის დროს. მოახლოებული იყო ომის კრიზისი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სამშობლოს სიცოცხლის, მისი დამოუკიდებლობის ბედი. კუტუზოვის წინ ნაპოლეონის უზარმაზარი ჯარი იდგა. ფრანგი იმპერატორი მოსკოვისკენ ისწრაფოდა. რუსი სარდალი ხედავდა, რომ ძალთა შეფარდება ჯერ კიდევ ფრანგების სასარგებლოდ იყო და ამიტომ თავის უპირველეს ამოცანად არმიის გაძლიერებას თვლიდა. სწორედ ამიტომ იგი არიდებდა თავს გენერალურ ბრძოლას, რადგანაც იცოდა, რომ ჯერჯერობით მოწინააღმდეგის შანსები უკეთესი იყო. ამასთანავე, მთავარსარდალს კარგად ესმოდა, რომ გენერალური ბრძოლის მომენტიც მოახლოებული იყო. ეს მომენტი ბოროდინოსთან დადგა.

პოზიცია, რომელიც რუსებმა დაიკავეს, მდინარე კოლოჩას (მდ. მოსკოვის შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე იყო. არმიის მარჯვენა ფლანგი კოლოჩას ბორცვიან ნაპირს ებჯინებოდა სოფელ გორკთან. მარცხენა ფლანგი განლაგდა სოფელ სემიონოვსკაიასთან. რადგანაც ეს ადგილი ღია ვაკეს წარმოადგენდა, მასზე სახელდახელოდ აგებულ იქნა მიწის სიმაგრეები, რომელთაც „ბაგრატიონის ფლეშები“ ეწოდა. მარცხენა ფლანგის შუა ნაწილი, რომელიც განლაგდა გორაკზე, წინ იყო გამოწეული. ამ გორაკს შემდგომში „რაევსკის ბატარეა“ დაერქვა. რუსი ჯარების წინა ხაზზე, სოფელ შევარდინოსთან აღმართულ იქნა „ავანგარდული სიმაგრე“, რომელიც ისტორიაში შევიდა „შევარდინოს რედუტის“ სახელწოდებით. „შევარდინოს რედუტი“ ფაქტიურად რუსების მარცხენა ფრთის საბოლოო წერტილი იყო.

მარჯვენა ფრთას სარდლობდა გენერალი მ. ლორადოვიჩი. ცენტრში იდგა ინფანტერიის გენერალი დოხტუროვი. მათი მოქმედების კოორდინაციას ბარკლაი დე ტოლი ახორციელებდა. მარცხენა ფრთას მეთაურობდა პეტრე ბაგრატიონი. ბრძოლის საერთო ხელმძღვანელი რუსეთის ჯარების მთავარსარდალი მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი

იყო. ძალების შეფარდება ასეთი იყო: რუსების — 120 000 კაცი და 640 ქვემეხი; ფრანგების შესაბამისად — 135 000 და 587. ბაგრატიონის განკარგულებაში რეზერვის ჩათვლით 34 100 კაცი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროდინოს ეპოპეას წინ უძღოდა ბრძოლა, რომელიც დაიწყო 24 აგვისტოს შევარდინოს მძაფრი იერიშებით. რედუტს იცავდა გენერალი ანდრია ივანეს ძე გორჩაკოვი II, რომელსაც 11-ათასკაციანი შენაერთი ჰყავდა. შევარდინოს ფრანგების ორი ცხენოსანი კორპუსი და ფეხოსანთა სამი დივიზია უტევდა. მოწინააღმდეგეთა რიცხვი 35 ათას კაცს აღემატებოდა. მიუხედავად ძალების ასეთი უთანასწოროობისა, რუსები ლეგენდარული სიმტკიცით იცავდნენ სიმაგრეს. რედუტისათვის ბრძოლა სულ უფრო მძაფრდებოდა. იგი გაგრძელდა მთელ დღეს და რუსი მეომრების არაჩვეულებრივი სიმტკიცე და მამაცობა გამოამჟღავნა.

ფრანგები თავგანწირვით უტევდნენ რედუტს. „ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღმდეგის იქიდან განდევნას, — ამბობდა ნაპოლეონი, — ეს უფრო მოხერხებულს გახდიდა რუსების მთავარი პოზიციების დაზვერვას და მათზე იერიშის მიტანას“.

მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ფრანგების რამდენიმე იერიში უშედეგო გამოდგა — დიდი მსხვერპლის ფასად რუსებმა მტერი უკუაგდეს. მთელი დღის განმავლობაში ფრანგები განუწყვეტლივ ცდილობდნენ რედუტის აღებას, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ საღამოს, როდესაც რუსთა რიგები საგრძნობლად შეთხელდა, ისინი დაეუფლნენ სიმაგრეს. მამაცმა დამცველებმა არც ამის შემდეგ დაყარეს იარაღი. ისინი შეუპოვრად განაგრძობდნენ ბრძოლას, რათა უკუეგდოთ მტერი და დაებრუნებინათ დათმობილი პოზიცია. ბაგრატიონმა, როგორც კი მიიღო ცნობა გენერალ ნეველოვსკის კორპუსის უზარმაზარი დანაკლისის შესახებ, მას მაშველი ძალა გაუგზავნა. ბრძოლა განახლდა, მაგრამ შუაღამისათვის მიიღეს კუტუზოვის ბრძანება რედუტის დატოვებისა და მთავარი პოზიციისაკენ უკანდახევის შესახებ. ბრძანება შესრულებულ იქნა.

მეორე დღემ, 25-მა აგვისტომ, მზადებაში განვლო. ამინდი უხეირო იყო, ზოგჯერ წვიმა წამოცრიდა ხოლმე. ორივე მხარე კარგად გრძნობდა, რომ ხვალ არნახული ძალისა და შეუპოვრობის ბრძოლა გაჩაღდებოდა. ამას კარგად ხედავდნენ კუტუზოვიცა და ნაპოლეონიც. საფრანგეთის იმპერატორი ომის მიმდინარეობის ანალიზის საფუძველზე ასკვნიდა, რომ რუსები ხვალ მას ჯერ არნახულ წინააღმდეგობას გაუ-

წევდნენ. მან შესანიშნავად იცოდა რომ რუსები, ჯარისკაცი იქნებოდა ის თუ ოფიცერი, ცოცხლად არ ნებდებოდნენ მოწინააღმდეგეს ხელში. ამაში დარწმუნდა დაშკოვკასთან, სალტანოვკასთან, კრასნისთან, სმოლენსკთან გამართული ბრძოლების დროს. ბოროდინოს ბრძოლამ კიდევ უფრო განუმტკიცა მას ეს რწმენა. „ვერც ერთი ტყვე ვერ ჩავიგდეთ", — ეუბნებოდნენ იმპერატორს შევარდინოს რედუტისთვის მებრძოლნი და დასძენდნენ, რომ რუსები ცოცხლად საერთოდ არ ნებდებიანო. ამიტომაც ნაპოლეონმა მათი სრული ამოწყვეტა დაისახა მიზნად.

25 აგვისტოს, საღამოს ფრანგებს წაუკითხეს ნაპოლეონის შემდეგი ბრძანება: „მებრძოლნო! აი ბრძოლა, რომელსაც თქვენ ამდენ ხანს ელოდით, გამარჯვება თქვენზეა დამოკიდებული. იგი აუცილებელია ჩვენთვის. იგი მოგვიტანს ყველაფერს, რაც გვჭირდება: კეთილმოწყობილ ბინებს და სამშობლოში დაბრუნებას. იმოქმედეთ ისე, როგორც მოქმედებდით აუსტერლიცთან, ფრიდლანდთან, ვიტებსკთან, სმოლენსკთან. დე, შთამომავლობამ სიამაყით გაიხსენოს თქვენი დღევანდელი გმირობა. დე, თქვან ყოველ თქვენგანზე: იგი მოსკოვთან დიდ ბრძოლაში მონაწილეობდა".

ბრძანებებს კითხულობდნენ რუსეთის ჯარშიც. ძაგალითად, არტილერისტებს წაუკითხეს მათი უფროსის გრაფ კუტაისოვის ბრძანება: „გადაეცით ჩემი სახელით ყოველ ასეულს, რომ პოზიცია არ დატოვონ, ვიდრე მოწინააღმდეგე მათ ზარბაზნებზე არ ამხედრდება... არტილერიამ თავი უნდა გაწიროს. დე, თქვენს ქვემეხებთან ერთად თქვენც დაგატყვევონ, მაგრამ უკანასკნელი გასროლა მტერს შუბლში უნდა მოახვედროთ".

დადგა 26 აგვისტო — ბოროდინოს ბრძოლის დღე. „მზე დიდებულად ამოდიოდა, ქრებოდა გრძელი ჩრდილები. ნამი ჯერ კიდევ ბრწყინავდა მინდორ-ველებზე, რომლებიც რამდენიმე საათის შემდეგ სისხლად შეიღება. დიდი ხანია, რაც ჩვენს ბანაკში განთიადის საყვირი გაისმა. ჯარები სიჩუმეში ელოდნენ საშინელ ხოცვა-ჯლეტას. ყველას ბრძოლა სწყუროდა, მტერს გაბოროტებით შესცქეროდნენ და არავინ არ ფიქრობდა მოსალოდნელ საფრთხეზე, სიკვდილზე. ამინდი მშვენიერი იდგა, რაც უფრო აძლიერებდა მტერთან შებმის წყურვილს", — ასე აღწერს ბოროდინოს დილასა და რუს მებრძოლთა საბრძოლო განწყობას ომის მონაწილე ნ. მურავიოვი.

ბრძოლა, რომელსაც ბადალი არა აქვს ომების ისტორიაში, დაი-

წყო 26 აგვისტოს დილის 5 საათზე გენერალ დელზონის დივიზიის იერიშებით სოფელ ბოროდინოზე. თითქმის ერთდროულად გაჩაღდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა რუსების მარცხენა ფლანგზე, რომელიც შედარებით სუსტად იყო გამაგრებული და მეომართა რაოდენობაც ნაკლები ჰყავდა. სწორედ ამიტომ მისი დაცვა გენერალ ბაგრატიონს მიენდო.

თანამედროვეთა და ომის მონაწილეთა ერთსულოვანი მოწმობით, ფრანგების ძირითადი დარტყმა ბაგრატიონისაკენ იყო მიმართული. ამას არც ნაპოლეონი უარყოფდა. თავდაპირველად ფლეშებს დავუს და ნეის კორპუსები უტევდნენ. მათ მხარს უჭერდა 130 ქვემეხისაგან შემდგარი საარტილერიო ნაწილები. მაგრამ ფლეშებიდან ბაგრატიონის განდევნის ყველა ცდა ამაო გამოდგა. მოწინააღმდეგის დანაკარგი საგრძნობლად იზრდებოდა. მარშალმა დავუმ კონტუზია მიიღო. მიუხედავად ამისა, ფრანგები უფრო მეტი გააფთრებით უტევდნენ, თუმცა ნიშანიც კი არ ჩანდა იმისა, რომ რუსები წინააღმდეგობას შეწყვეტდნენ.

დილის 7 საათისათვის სამმა კორპუსმა საუკეთესო ფრანგი მარშლების — დავუს, ნეის და მიურატის მეთაურობით დაიწყო ბაგრატიონის ფლეშების ახალი იერიში. ქვემეხების რიცხვი 130-დან 150-მდე გაიზარდა. ბაგრატიონის წინაშე იდგა ურთულესი ამოცანა, მტრის უკუგდება და პოზიციის შენარჩუნება. განსაცდელის ჟამს პეტრე ბაგრატიონი არასდროს არ ჰკარგავდა სულიერ სიმშვიდეს და წონასწორობას. იგი ახლაც აუღელვებლად ელოდა ბრძოლას. მისი ჯარისკაცები და ოფიცრები, გამხნევებულნი მეთაურის ვაჟკაცური სიმშვიდით, ასევე აუღელვებლად ელოდნენ მოახლოებულ განსაცდელს და მზად იყვნენ დაეცვათ სამშობლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ბაგრატიონი სულ მალე დარწმუნდა მტრის რიცხობრივ უპირატესობაში და ბრძოლაში ჩააბა სათადარიგო ნაწილები. „ერთ პუნქტში ამხელა ძალების თავმოყრა სასტიკ სისხლისღვრას მოასწავებდა", — წერს ამ ოპერაციის მონაწილე პოლკოვნიკი ტოლი. მართლაც, შეტაკებამ საშინელი ხასიათი მიიღო. რუსების არტილერიამ ძლიერი ცეცხლი დაუშინა მოწინააღმდეგეს, რომელიც მედგრად მიიწევდა წინ. ერთხანს ბედმა თითქოს ფრანგებს გაუღიმა—მარშალი ნეი ორი პოლკით ფლეშში შეიჭრა, ხოლო სხვა ნაწილებმა მარჯვენა ფლეში დაიკავეს. სასტიკ ხელჩართულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა გენერალი ვორონცოვი, ხოლო მისი დივიზიისაგან თითქმის აღარაფერი დარჩა. ამის

გამო შუა ფლეშიც დაეცა. „ჩემი წინააღმდეგობა არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო, მაგრამ ის მხოლოდ დივიზიის განადგურების შემდეგ შეწყდა“, — წერდა მოგვიანებით გენერალი ვორონცოვი.

9 საათზე ბაგრატიონმა ბრძანება გასცა დაებრუნებინათ ფლეშები. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა გენერალ ნეველროვსკის დივიზიას დაეკისრა. რადგანაც დივიზიისაგან თითქმის არაფერი დარჩა, იგი სხვა ნაწილებით გააძლიერეს. დივიზიამ მედგრად შეუტია მტერს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ნეისა და დავუს დასახმარებლად მიურატმა თავისი კავალერია დაძრა, რომელმაც მალე პირი იბრუნა, ხოლო თვით მარშალი კინაღამ ტყვედ ჩავარდა. ფლეშები ფრანგებისაგან გაიწმინდა.

ფრანგები, რომლებიც ასეთ შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, იძულებულნი გახდნენ მიემართათ ნაპოლეონისათვის და დახმარება ეთხოვათ. ბონაპარტე საშინლად უკმაყოფილო იყო თავისი საუკეთესო სარდლების წარუმატებელი მოქმედებით, მაგრამ მაინც მიაშველა მათ ერთი დივიზია. ახლა უკვე სიმაგრეების დამცველთა წინააღმდეგ მტრის 400 ქვემეხი ამოქმედდა. ამ კრიტიკულ მომენტში ბაგრატიონმა გადაწყვიტა თავად გადასულიყო შეტევაზე „რუსები გასაოცარი სიმამაცით იწევდნენ წინ, — წერდა ფრანგი გენერალი პალე, — გაშლილ ველზე არტილერია და კავალერისტები მათ საგრძნობ ზიანს აყენებდნენ, მაგრამ... ისინი უკანასკნელ ძალებს იკრებდნენ და ისევ მედგრად გვიტევდნენ“.

ნაპოლეონი, რა თქმა უნდა, მზად იყო ბაგრატიონის შეუპოვარი წინააღმდეგობისათვის, მაგრამ მას წამითაც ვერ წარმოედგინა, რომ ამ წინააღმდეგობას შეეძლო ლეგენდარული ხასიათი მიეღო. ფრანგების შეუპოვრობით არანაკლებ გაკვირვებული იყო ბაგრატიონიც. იგი ნათლად ხედავდა მათ გმირობას, ხედავდა, რომ მათ ვერც ხიშტი და ვერც ცეცხლი ვერ აჩერებდა. სწორედ ამ დროს წამოიძახა მან „ბრავო“ ფრანგების 57-ე სახაზო პოლკის პატივსაცემად, რომელსაც თითქოს დაევიწყებინა სიკვდილის შიში და შეუჩერებლივ მიიწევდა წინ.

ამ ბრძოლაში ბაგრატიონი დაიჭრა. ჭრილობა, როგორც ცნობილია, საბედისწერო გამოდგა. იგი არ ამხელდა ამ ამბავს, რადგანაც იცოდა, რომ მას შეეძლო არევ-დარევა გამოეწვია მებრძოლთა რიგებში. საუბედუროდ, ასეც მოხდა. „ხაზს მოედო საშინელი ამბავი მეორე მთავარსარდლის დაღუპვის შესახებ და ჯარისკაცებმა ხელები დაუშვეს“ — იგონებს თედორე გლინკა. საშინელი ტკივილებისაგან შეწუხებული, ძალაგამოლეული, გაფითრებული ბაგრატიონი უნაგირიდან

ვარდებოდა, მაგრამ ბრძოლის ველს არ ტოვებდა და ჩურჩულით იძ-
ლეოდა ბრძანებებს. მას უნდოდა გარკვეულიყო ბრძოლის ბედი, ითა-
მელიც უფრო და უფრო სათუო ხდებოდა.

ბოლოს და ბოლოს დაჭრილი სარდალი მაინც გაიყვანეს ბრძო-
ლის ველიდან, რომელსაც იგი არასდროს აღარ დაბრუნებია. იგი გარ-
დაიცვალა 47 წლის ასაკში 1812 წლის 24 სექტემბერს ვლადიმირის
გუბერნიის სოფელ სიმიში.

„ავადმყოფობის განმავლობაში, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამ-
დე, დღისით და ღამით მომაკვდავის საწოლთან ვიმყოფებოდი. ჭრი-
ლობისაგან საშინელ ტკივილებს გრძნობდა, აწუხებდა მძიმე შეტევე-
ბი, მიუხედავად ამისა, ერთხელაც არ დაუჩივლია თავის ხვედრსა და
ტანჯვაზე, რომელსაც იგი გმირულად იტანდა, სიკვდილს ისეთივე სიმ-
შვიდით ხვდებოდა, როგორც ხვდებოდა მას ყოველთვის ბრძოლის
ველზე“—იგონებს ბაგრატიონის სიცოცხლის უკანასკნელ საათებს
მეორე არმიის ექიმი განგარტი.

* * *

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი — პეტრე ივანეს ძე ბაგ-
რატიონი სუვოროვისა და კუტუზოვის გვერდით სამართლიანად ით-
ვლებოდა თვალსაჩინო ფიგურად სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.
მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსი ხალხის სამხედ-
რო დიდებასთან. 30 წლის განმავლობაში პეტრე ბაგრატიონი თავდა-
დებით იცავდა რუსეთის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას, მი-
წა-წყალს. უმაღლესი სარდლობა ბაგრატიონს აგზავნიდა ბრძოლების
ყველაზე საშიშ უბნებზე, იქ სადაც გამარჯვების მოპოვება ძალიან სა-
ეჭვო, თითქმის შეუძლებელი იყო. ბაგრატიონი ყოველთვის ამართლებ-
და მასთან დაკავშირებულ იმედებს. მისი ხელმძღვანელობით ჩატა-
რებულა არაერთი ოპერაცია, რომელთა განხორციელება შეუძლებლად
ითვლებოდა.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია განვიხილოთ ბაგრატიონის მხედართ-
მთავრული თვისებები, რომელთა წყალობით იგი გახდა შესანიშნავი
სარდალი.

მშობლების მოკრძალებულმა მატერიალურმა მდგომარეობამ არ
მისცა საშუალება მომავალ გენერალს მიეღო საჭირო სამხედრო-თეო-
რიული განათლება. ამას, სხვათაშორის, ხშირად ხაზს უსვამდნენ მი-
სი მტრებიც და მეგობრებიც. დენის დავიდოვი, ბაგრატიონის ადიუ-

ტანტი 5 წლის მანძილზე, მისი დიდი თაყვანისმცემელი, იძულებული იყო აღენიშნა, რომ პეტრე ივანეს ძე „ნაკლებად გათვითცნობიერებული იყო სამხედრო მეცნიერების წესებში“. ამასვე აღნიშნავდა ბაგრატიონის თანამებრძოლი და მეგობარი გენერალი ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი.

მაგრამ ბაგრატიონს გავლილი ჰქონდა დიდი რუსი მხედართმთავრის სუვოროვის მდიდარი პრაქტიკული სკოლა. მან შესანიშნავად შეითვისა მისი „გამარჯვების მეცნიერება“, რამაც ძალიან შეუწყო ხელი გამხდარიყო გამოჩენილი სარდალი. ბაგრატიონი წლების მანძილზე მსახურობდა სუვოროვის უშუალო ხელმძღვანელობით, შეისწავლა და შეისისხლხორცა თავისი მასწავლებლის საუკეთესო მხედართმთავრული თვისებები, რომლებიც მისი ლეგენდარული მამაცობის მასაზრდოებელი წყარო იყო.

სუვოროვმა „გამარჯვების მეცნიერების“ არსი შემდეგ სამ სიტყვაში გამოხატა: „თვალზომა, სისწრაფე, შეტევა“, რაც ნიშნავდა: „როგორ დაბანაკდე, როგორ იარო მწყობრში, როგორ სდიო და ურტყა მოწინააღმდეგეს“. სუვოროვი აღნიშნავდა, რომ თვალზომა აუცილებელია იმისთვის, რომ „შეარჩიო ადგილი, განსაზღვრო მოწინააღმდეგის ძალა და გამოიცნო მისი ჩანაფიქრი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სარდალს უნდა შესწევდეს უნარი ერთი შეხედვით შეარჩიოს ხელსაყრელი პოზიცია, მიახლოებით მაინც დაადგინოს მოწინააღმდეგის რიცხვი და ძალა, დაადგინოს ბრძოლის დრო და ადგილი, გაერკვეს შექმნილ ვითარებაში და მიიღოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

ერთ-ერთ წერილში შვილისადმი სუვოროვი თვალზომის შეფასებისას აღნიშნავდა, რომ „მხოლოდ ამ ერთს ძალუძს გაგხადოს გამოჩენილი მხედართმთავარი“.

ყველა ომი, რომელშიაც ბაგრატიონს მიუღია მონაწილეობა, ადასტურებს, რომ მას შესანიშნავად შეუთვისებია „გამარჯვების მეცნიერების“ ეს ელემენტი. ამის ნათელი მაგალითია ბრწყინვალედ ჩატარებული ბრძოლები შენგრაბენთან (1805 წ.) და პრეისიშ-ეილაუსთან (1807 წ.), რომელთაც ბაგრატიონს უჭკნობი დიდება მოუხვეჭეს. ძნელია წარმოიდგინო უფრო რთული ვითარება ვიდრე შენგრაბენთან, მაგრამ უფრო ძნელია უკეთესი გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ის, რომელიც ბაგრატიონმა მიიღო თავისი მცირერიცხოვანი რაზმით მტრის 30-ათასიანი ჯარის ალყის გარღვევისას.

სუვოროვის მოძღვრების მეორე უმნიშვნელოვანესი ელემენტი —

სისწრაფე და თავდასხმის მოულოდნელობაა. „მტერს ჰგონია, რომ შენ 200—300 ვერსის იქითა ხარ, შენ კი ნაბიჯს უჩქარე ორჯერ, სამჯერ, მოულოდნელად, სწრაფად ეცი. მოწინააღმდეგე მღერის, ერთობა, გელოდება მინდვრებიდან, შენ კი ციცაბო მთებიდან, ულრანი ტყეებიდან დაესხი თავს, განგმირე, შეავიწროვე, დაანარცხე, ურტყი, სდიე, გონს მოსვლის საშუალება არ მისცე“, — წერდა სუვოროვი. იგი ხშირად იმეორებდა: „ერთი წუთი გამარჯვების მომტანია“. ბაგრატიონს კარგად ახსოვდა ოსტატის ეს დარიგება და ხშირად მიმართავდა მას. ამას ნათლად ადასტურებს მისი მოქმედება 1812 წლის კამპანიაში. როგორც ცნობილია, ბაგრატიონისა და ბარკლაი დე ტოლის არმიების გაერთიანებისათვის ხელის შესაშლელად და მათი ცალ-ცალკე განადგურების მიზნით, ნაპოლეონმა მეორე (ბაგრატიონის) არმიას დაადევნა 136-ათასკაციანი ჯარი, რომელიც სამჯერ სჭარბობდა ბაგრატიონის ძალებს. მეორე არმიის ალყის შემორტყმა და მისი განადგურება ფრანგმა იმპერატორმა მიანდო თავის საუკეთესო მარშალებს დავუსა და მიურატს. უაღრესად მძიმე პირობებში, წარმოუდგენელი სიძნელეების გადალახვით, ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, ბაგრატიონის არმია ხშირად დღეში 50 ვერსს გადიოდა. გენერალი მოხერხებულად იყენებდა ბუნებრივ პირობებს, ხშირად იცვლიდა მიმართულებას, აბნევდა მტერს და აიძულებდა მას შეეცვალა წინასწარ დასახული გეგმა. დავუცა და მიურატიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ალყას შემოარტყამდნენ და გაანადგურებდნენ ბაგრატიონს. ვიდრე იგი დნეპრს გადალახავდა და მის მარცხენა ნაპირზე ბარკლაის არმიას შეუერთდებოდა. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ბაგრატიონმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, შეცვალა არმიის მოძრაობის მიმართულება და გადალახა დნეპრი ნოვი ბიხოვთან და არა მოგილიოვთან, სადაც მას მტერი ელოდებოდა. ამ მოულოდნელი მანევრით ბაგრატიონმა მტერი დააბნია, გადალახა დნეპრი, არმია იხსნა განადგურებისაგან და უზრუნველყო მისი შეერთება ბარკლაისთან.

როდესაც ბაგრატიონი ანალიზს უკეთებდა არმიის მიერ განვლილ გზას ვოლკოვისკიდან დნეპრის მარცხენა ნაპირამდე, იგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ჯარისკაცთა და ოფიცერთა სიმამაცე, გადასვლის სისწრაფე, თავის დაღწევა სამჯერ ჭარბი მოწინააღმდეგისაგან — თვით სუვოროვის აღტაცებას და გაკვირვებას გამოიწვევდა.

დაბოლოს, „გამარჯვების მეცნიერების“ მესამე ელემენტი — შეტევა. თავად სუვოროვი შეტევითი ომის დიდი ოსტატი იყო და უკან-

დახევას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, არ სცნობდა. „ნაბიჯი უკან სიკვდილია, წინ ნება გაქვს ორი, სამი და ათი ნაბიჯი გადადგა“, —ამბობდა დიდი სარდალი. მისი აზრით, წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზია შიში. „ვინც შეშინდა, იგი ნახევრად დამარცხდა. შიშს დიდი თვალები აქვს, ერთი ათასად მოგეჩვენება, — წერდა სუვოროვი. ამიტომ თავის მოძღვრებაში იგი ამბობს, რომ „ჯარისკაცი უნდა იყოს ჯანმრთელი, მამაცი, მტკიცე, შეუპოვარი...“ ეს თვისებები ბაგრატიონს თან სდევდა მთელი ცხოვრების მანძილზე. მის ამ თვისებებზე უთითებდა ყველა, ვინც კი მას იცნობდა, ვისაც მასთან უომია. „უშიშარია ბრძოლაში, საფრთხისადმი გულგრილი... ერთგულია დაწყებული საქმის, მტკიცეა მის შესრულებაში“ — წერს ბაგრატიონზე გენერალი ერმოლოვი. მისი სიმამაცე ლეგენდარული იყო. არავითარი საფრთხე არ აშინებდა. ყველაზე მძიმე წუთებში სულის სიმშვიდეს არ ჰკარგავდა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ იმდროინდელი ანეკდოტი. ერთხელ მისი ადიუტანტი დენის დავიდოვი (შემდგომში ცნობილი პარტიზანი და პოეტი) გამოცხადდა მასთან და უპატაკა, რომ „მოწინააღმდეგე ცხვირწინაა“. იგი ფიქრობდა, რომ ასეთი გამოთქმა იმოქმედებდა გენერალზე. ბაგრატიონი, რომელიც შესანიშნავად გრძნობდა ვითარების სირთულეს, ჯარში პანიკის ასაცილებლად, მოუბრუნდა და მშვიდად უპასუხა ადიუტანტს. „ახლა კი დასადგენია ვისი ცხვირის წინაა: თუ შენი ცხვირისა, მაშინ დაყოვნება არ შეიძლება, უნდა ავჩქარდეთ, ხოლო თუ ჩემი ცხვირის წინაა, მაშინ ჯერ კიდევ დიდი დრო გვქონია“ (ცნობილია, რომ ბაგრატიონს დიდი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა). დავიდოვს გაუკვირდა ასეთი პასუხი, მაგრამ იფიქრა, რომ მდგომარეობა არც ისე სერიოზულია და დამშვიდდა.

ჯარისკაცები, რომელთაც ოდესმე ბაგრატიონის ხელქვეით უმსახურიათ, აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი უშიშროებითა და ვაჟკაცობით. იგი იყო მათთვის გამბედაობისა და შეუპოვრობის მაგალითი. ისინი მზად იყვნენ მისთვის თავი გაეწირათ. ამ მხრივ ძალზე მრავლისმეტყველია ეკატერინოსლავლის კირასირთა პოლკის უნტერ-ოფიცრის ანდრიანოვის შემთხვევა. ბოროდინოს ბრძოლაში ანდრიანოვი ბაგრატიონთან იყო და ატარებდა მის დურბინდს, რუკებს და სხვა საჭირო ნივთებს. იგი ყველა კრიტიკული სიტუაციის მოწმე იყო, ბრძოლაში ჩაბმა სწყუროდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც მან დაინახა სასიკვდილოდ დაჭრილი სარდალი, მოწიწებით მიუახლოვდა და მიმართა: „თქვენო ბრწყინვალებავ! ჩვენი

პოლკი ორჯერ შეება მტერს, თქვენ სამკურნალოდ მიჰყავხართ. დამო-
თეთ ნება შევუერთდე ჩემს ამხანაგებს, იმედი მაქვს რამდენიმე
ფრანგს ავკუწავ“.

სარდალმა დააკმაყოფილა უნტერ-ოფიცრის თხოვნა, რომელიც „ათასობით კაცის წინ, ისარივით შეიჭრა მტრის რიგებში, გამოასალმა სიცოცხლეს ბევრი მათგანი და განგმირული დაეცა დიდების ველზე“.

კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ასევე უნტერ-ოფიცერს ეხება, რომლის გვარი, სამწუხაროდ, ისტორიამ ვერ შემოგვინახა. სალტანოვკასთან ბრძოლაში მტრის ჭურვმა მას ხელი მოჰგლიჯა. ბრძოლიდან გამოსულს, მას საღ ხელში მოგლეჯილი ხელი ეჭირა. იგი გაუსწორდა ბაგრატიონს, დადგა „სმენაზე“ და ხმამაღლა წარმოსთქვა: „სალამი თქვენო ბრწყინვალებავ“. ეს იყო თავისებური პატაკი გმირობის შესახებ, რომლითაც უნტერ-ოფიცერმა მიმართა იმ დროის ყველაზე უშიშარ გენერალს პეტრე ბაგრატიონს.

ვიმეორებთ, ამგვარ წარმოუდგენელ შემთხვევებშიც კი ჯარისკაცებს ყოველთვის ახსოვდათ, რომ ისინი იბრძოდნენ ლეგენდარული გმირის გვერდით, რომლის პირადი ვაჟკაცობა მათი გმირობის მასაზრდოებელი იყო. ეს გმირი გახლდათ პეტრე ბაგრატიონი. შემთხვევით არ წერს გენერალი გრაბე, რომ „ბაგრატიონის საგმირო საქმენი ამშტედტენთან (ფრანგებთან ბრძოლა დუნაიზე 1805 წელს — ი. ა.), ჩვენი საუბრის თემა დასვენებისას, იმ დროს მიღებული განათლების საუკეთესო შთაბეჭდილებაა“.

სუვოროვის მსგავსად ბაგრატიონის ლექსიკონიდან ამოღებული იყო გამოთქმები „არ ვიცი“, „არ შემიძლია“ და სხვა მისთანანი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას უარი ეთქვას რომელიმე ოპერაციაზე, რაოდენ რთული და სახიფათო არ უნდა ყოფილიყო იგი. თუ ამას სამშობლოს ინტერესები ითხოვდა, იგი უყოყმანოდ თანხმდებოდა, ერთი შეხედვით, განწირული ოპერაციის განხორციელებაზეც. ამის საუცხოო მაგალითია ისევ და ისევ ბრძოლა შენგრაბენთან. კუტუზოვმა ბაგრატიონს დაუსახა მეტად რთული ამოცანა. მას ჯარის მცირე შენაერთით (6 ათას კაცამდე) უნდა შეეჩერებინა ფრანგების 30-ათასიანი არმია ნაპოლეონის საუკეთესო მარშალების მეთაურობით. ამ არმიის მიზანი იყო ხელი შეეშალა კუტუზოვისათვის გაერთიანებულიყო რუსეთიდან მომავალ ჯართან. ნაპოლეონი ცდილობდა, რომ ბრძოლა ჩაეტარებინა რუსთა ძალების შეერთებამდე. კუტუზოვი, რომელიც ანგარიშს უწევდა მტრის დიდ რიცხობრივ უპირატესობას, თავს არიდებდა ამ ბრძო-

ლას მაშველი ძალების მოსვლამდე, ამიტომ მას უკან უნდა [illegible] უკანდახევის დროს მთავარი ძალების დაცვა ბაგრატიონის რაზმს დაეკისრა. ამ ამოცანის შესრულება რაზმის უეჭველ დაღუპვას ნიშნავდა. ამის შესახებ კუტუზოვი სწერდა იმპერატორ ალექსანდრეს, რომ იგი „სწირავს ნაწილს მთელის გადასარჩენად“.

იცოდა თუ არა ბაგრატიონმა, სად აგზავნიდნენ მას? ესმოდა თუ არა მის მებრძოლებს, რომ ისინი განწირულები იყვნენ? ამ კითხვებს პასუხობს კამპანიის მონაწილე ნოროვი, რომელიც წერს: „გენერლიდან ჯარისკაცამდე ყველამ იცოდა ამის შესახებ, ხოლო ბაგრატიონი ბრძოლისწინა თათბირზე თავიანთ ოფიცრებთან ერთად სიკვდილს პირდაპირ თვალებში უყურებდა, როგორც სპარტის მეფე“. ეს დავალება მან ბრწყინვალედ შეასრულა. კუტუზოვს უსაზღვროდ გაეხარდა ბაგრატიონის დაბრუნება, ამავე დროს ძალიან გაკვირვებულიც დარჩა. არც უკითხავს არაფერი. ერთი კი თქვა: „შენი დაბრუნება სავსებით საკმარისი პასუხია ჩემთვის“. ნოროვის თქმით, ბარგატიონმა ამ გამარჯვებით „აიგო მონუმენტი, რომელსაც სამხედრო ისტორია მარადის შეინახავს“.

შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, რომ, სუვოროვის მსგავსად, ბაგრატიონიც თავის ლექსიკონში ვერ იტანდა გამოთქმას „არ შემიძლია“. რუსეთ-შვეციის ომის დროს (1808—1809 წწ.), რომელსაც ხშირად რუსეთ-ფინეთის ომს უწოდებენ, ვინაიდან საომარი მოქმედება უმთავრესად ფინეთის ტერიტორიაზე და ფინეთისათვის მიმდინარეობდა, ოპერატიული გეგმით გათვალისწინებული იყო გაყინული ბოტნის ყურეს გადალახვა და ალდანის კუნძულების დაპყრობა. ისეთი ცნობილი სამხედრო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ კნორინგი, ბარკლაი დე ტოლი, გრაფი შუვალოვი იმპერატორს დაბეჯითებით უმტკიცებდნენ გადასვლის შეუძლებლობას. მდგომარეობის შესასწავლად ადგილზე გაგზავნილი იქნა გრაფი არაკჩეევი, როდესაც ყველა გენერლისგან უარყოფითი პასუხი მიიღო, მან ბაგრატიონის აზრი იკითხა. პასუხი ორსიტყვიანი იყო: „გვიბრძანეთ—წავალთ“. ცნობილია, რომ ეს ოპერაციაც ბაგრატიონმა ბრწყინვალედ განახორციელა.

ბაგრატიონმა იმდენად შეისისხლხორცა სუვოროვის დარიგებები უკანდახევის მავნებლობის შესახებ, რომ 1812 წლის სამამულო ომის პირველ პერიოდში, როდესაც უკანდახევის ტაქტიკა ერთადერთი სწორი იყო, იგი ვერაფრით ვერ ეგუებოდა მას, განუწყვეტლივ თავს

ესხმოდა ბარკლაის და ითხოვდა მხოლოდ შეტევითი ომის წარმართვას. „გაყიდულები ვართ, — სწერდა იგი ერმოლოვს, — ეროვნული ბიბლიოთეკა
დაღუპვისაკენ მივყავართ; არ შემიძლია გულგრილად ვუყურო ამას. ბოლმა მახრჩობს... მრცხვენია მუნდირის ტარების. ღმერთმანი ავადა ვარ... ხოლო თუ პირველი არმიით შეუტევთ, მაშინ ჯანმრთელი ვარ... ყველაფრისგან დამოუკიდებლად, ღვთის გულისათვის, წადით და შეუტიეთ, ღმერთმანი ჯარებს გამოვაფხიზლებთ“. ბაგრატიონი დარწმუნებული იყო უკანდახევის ტაქტიკის მავნებლობაში და ამიტომ შეიძლება მისი სულიერი ტანჯვის გაგება, მაგრამ თუკი ვილაპარაკებთ ობიექტურად, რასაკვირველია, იგი მართალი არ იყო. ლიტერატურაში, სამწუხაროდ, დამკვიდრდა აზრი, თითქოს ბაგრატიონი, როგორც კარგი „დამრტყმელი“, მხოლოდ შეტევის მომხრე იყო. ჩვენამდე მოაღწია ბაგრატიონის ზოგიერთმა წერილმა, რომლებიც გარკვეულად უარყოფენ ამ მტკიცებას. იგი წინააღმდეგი იყო უკანდახევისა, რომელიც გამოწვეული იყო არა აუცილებლობით, არამედ სიმხდალითა და ლაჩრობით. მისი ერთ-ერთი დიდი მხედართმთავრული თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი შესანიშნავად უხამებდა თავის მოქმედებებს შექმნილ ვითარებას და საჭიროების შემთხვევაში შეტევას უკანდახევით შეცვლიდა კიდევაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მისი წერილი არაკჩეევისადმი, დათარიღებული 1809 წლის 22 ნოემბრით, რომელშიაც იგი, თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი რუსეთის არმიის მთავარსარდალი, ხსნიდა დროებითი უკანდახევის მიზეზებს. „უკანასკნელ დროს,—წერს ბაგრატიონი,—არა მარტო ნაწილების უფროსები იტყობინებოდნენ. არამედ თავადაც დავრწმუნდით, განსაკუთრებით ტატარიცასთან ბრძოლაში, რომ კავალერიის და არტილერიის ცხენები საკვების სიმცირის გამო ისე დაუძლურდნენ, რომ მათ არაფრით არ შეეძლოთ წარმატებით მოქმედება. აი, ძირითადი მიზეზი ჩემი უკანდახევისა. მთელი ჩემი ადრინდელი სამსახური, ვფიქრობ, გამოდგება იმის მტკიცებად, რომ მე მხდალი არა ვარ, მაგრამ უაზრო გამბედაობამ იმაჩნია მხედართმთავრის დიდ ცოდვად“.

სუვოროვი „გამარჯვების მეცნიერებაში“ ამბობს, რომ ოფიცერი და სარდალი განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ ჯარისკაცის ჯანმრთელობაზე, ფიქრობდნენ მის ჭირ-ვარამზე. ოფიცერი ჯარისკაცის მბრძანებელიც უნდა იყოს და გულწრფელი მეგობარიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სუვოროვისა და კუტუზოვის შემდეგ რუსეთის არმიაში

არასდროს არ ყოფილა სხვა გენერალი, რომელსაც ისეთი სიყვარული დაემსახურებინოს, როგორიც დაიმსახურა ბაგრატიონმა. იგი „ყველა-დათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ შესანიშნავი სარდალი იყო ... ბრძოლაში ყოფნა გამარჯვებას ნიშნავდა, არამედ იმისთვისაც, რომ იგი ჯარისკაცის ნამდვილი მეგობარი იყო. არც ისე დიდი ხანია, რაც ნაპოვნი იქნა ბაგრატიონის ერთ-ერთი ბრძანება, რომელიც მან გასცა დუნაის (თურქეთის) ფრონტზე, 1809 წელს. ამ ბრძანებით იგი ავალდებულებს ნაწილების მეთაურებს გამუდმებით იზრუნონ „დაბალი ჩინების ჯანმრთელობაზე, რომელნიც ეგზომ საჭირონი არიან ქვეყნისათვის და იმსახურებენ მამობრივ მზრუნველობას“. იმავე ბრძანებაში ნათქვამია, რომ ყოველი უფროსი უნდა ცდილობდეს დაიმსახუროს თავისი ხელქვეითების სიყვარული და პატივისცემა, არ თაკილობდეს მათ, როგორც თანამშრომლებს, რომლებთან იყოფს დიდებას. ერთი სიტყვით, უფროსი უნდა იყოს ხელქვეითისთვის როგორც ღვიძლი მამა“.

რუსეთის არმიის და საზღვაო ფლოტის ისტორიამ შემოინახა არა ერთი სარდლის და მეთაურის სახელი, რომლებიც სრულიად არ ზრუნავდნენ ჯარისკაცზე. აქ შეიძლება მოვიხსენიოთ ბენიგსენი, რომელიც ჯარისკაცის მდგომარეობას აფასებდა მორთმეული სადილის მიხედვით. 1807 წლის კომპანიის პროცესში ზოგიერთი ნაწილის უფროსებმა მოახსენეს მას არმიაში გავრცელებული შიმშილის შესახებ, რაზედაც მან ცინიკურად უპასუხა: „საჭიროა მოთმინება. წარმოიდგინეთ, რომ ჩემთვისაც მხოლოდ სამი თავი სადილი მოაქვთ“.

იშვიათად რომელიმე მხედართმთავარი ბაგრატიონზე უფრო აჩვევდა ხელქვეითებს მოთმინებას, სიძნელეების გადალახვას. მაგრამ არც არავინ ზრუნავდა არმიაში ჯარისკაცზე ისე, როგორც ბაგრატიონი. ამას შესანიშნავად ადასტურებს მისი წერილი გრაფ არაკჩეევისადმი, დათარიღებული 1809 წლის 25 სექტემბრით, რომელშიაც ვკითხულობთ: „არაფერს არ ვიშურებ მათთვის (ჯარისკაცებისათვის — ი. ა.). უკანასკნელი კაპიკით ჩემს ერთგულებს ვასმევ, ვაჭმევ, ვახალისებ ჩინებული სამსახურისთვის... უმჯობესია მოვკვდე, კიდრე ექსტრაორდინარული თანხა შევჭამო. მოვკვდე პატიოსნად, მაგრამ შიშველი“.

ამავე დროს ბაგრატიონი ძალზე მკაცრი იყო და ყველასგან სამხედრო დისციპლინის დაცვას მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია მისი ორი ბრძანება, რომელიც მან გასცა 1809 წელს, დუნაის არმიის მთავარსარდლად ყოფნისას. პირველ მათგანში საუბარია ჯარში

საშიში სენის — ლოთობის გავრცელების შესახებ. გარდა ამისა, ხაზგასმულია ზოგიერთი ნაწილის მეთაურის უყურადღებობა ისეთი დაუშვებელი ქმედობისადმი, როგორიც უმიზეზო სროლა იყო. „დაჭრილთა შეხვევისას, — ვკითხულობთ ბრძანებაში, — შემჩნეულია, რომ ზოგი ჯარისკაცი მთვრალია, რაც უნდა მიეწეროს ყველას დაუდევრობას, დაწყებული უფროსით და ფელდფებელით დამთავრებული... მთვრალი და უგონო ერთია, უაზროდ მამაციცაა და მშიშარაც. არანაკლებ საკვირველია, რომ რეგულარულ ჯარში თოფების განმუხტვის ნაცვლად ჯარისკაცები უბრალოდ ისვრიან და ბევრი გენერალი ამას გულგრილად უყურებს. წესიერ ჯარში ყოველთვის ბანაკში შესვლისას თოფი უნდა განიმუხტოს. გაფრთხილებთ, ასეთი უმსგავსობა მომავალში უნდა მოიკვეთოს“.

მეორე ბრძანებაც დისციპლინის დარღვევის ფაქტებს ეხება, კერძოდ, დეზერტირობასა და სამსახურისათვის თავის არიდების შემთხვევებს. იგი ნათლად გვიჩვენებს სარდლის შეურიგებლობას სამხედრო დისციპლინის ნებისმიერი დარღვევისადმი და გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ იმ მეთოდებსა და ხერხებზე, რომელსაც იყენებდა ბაგრატიონი ხელქვეითთა აღსაზრდელად. იგი იყო არა მარტო ბრწყინვალე მხედართმთავარი, არამედ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდებული აღმზრდელიც. ბაგრატიონი არ ეთანხმებოდა იმათ, ვისაც დისციპლინის ამაღლების ერთადერთ და საუკეთესო საშუალებად როზგები და მკაცრი სასჯელი მიაჩნდა. მისი აზრით, მკაცრი, ზოგჯერ სასტიკი ზომების მიღება საჭიროა, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მას მიაჩნდა, რომ სამხედრო პირი (დამოუკიდებლად მისი წოდებისა) პირველ რიგში უნდა დაარწმუნო, რომ მისი საქციელი ცუდია და სამხედრო ეთიკის ნორმებთან შეუსაბამო. ასეთი პირი უნდა დაუპირისპირო დისციპლინირებულ და სანიმუშო მებრძოლს და ამით მასში სირცხვილის გრძნობა გამოიწვიო და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც დარწმუნდები, რომ ყოველივე ამას არ მოჰყოლია სასურველი შედეგი, უნდა მიმართო უფრო მკაცრ ზომებს. იმის დასამტკიცებლად, რომ ბაგრატიონი ასე იქცეოდა, მოვიყვანთ მისი მეორე ბრძანების ტექსტს: „ჩემამდე აღწევს ხმები, რომ ბევრი ბატონი ოფიცერი ყოვლისმოწყალებით ჩემდამი მინდობილი არმიისა ცხოვრობს ბუქარესტში, ფოკშანიში, იასიში და სხვა ადგილებში ავადმყოფობისა და სხვა საბაბით, მხოლოდ სამსახურისაგან თავის არიდების მიზნით. მე არ შემიძლია

ვირწმუნო, რომ რუსეთის აზნაურნი, რომელნიც სამშობლოსათვის არათუ ქონებას, სიცოცხლესაც არ იშურებენ, ასეთი სამარცხვინო ხერხებით ცდილობენ აარიდონ თავი სამსახურს მაშინ, როდესაც ახლანდელ საბრძოლო ოპერაციებში აქვთ დიდი შესაძლებლობები მოიხვეჭონ დიდება, გამოიჩინონ ვაჟკაცობა და მამაცობა და ამით დაამტკიცონ ერთგულება სამსახურისადმი... სამშობლოსადმი.

მაგრამ წინააღმდეგ ჩემი იმედისა, თუკი ასეთი ოფიცრები სადმე ცხოვრობენ, მე სრულად ვარ დარწმუნებული, რომ ამის (ბრძანების — ი. ა.) მიღებისთანავე გამოცხადდებიან მეთაურებთან და თავიანთ საქციელს გამოისყიდიან ერთგული სამსახურით".

ამ ბრძანების გაცემისას ბაგრატიონმა იცოდა, რომ მასში აღნიშნული ფაქტი სრული სინამდვილე იყო, მაგრამ ყველაფერი ისე წარმოადგინა, თითქოს მას დაუჯერებლად მიაჩნია რუსი ოფიცრის ასეთი საქციელი სამშობლოს განსაცდელის ჟამს. ეს დისციპლინის განმტკიცების და ხელქვეითებზე ზემოქმედების საკმაოდ საინტერესო ხერხი იყო. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ მიდგომას შედეგი არ მოჰყვებოდა, იგი თვლიდა მიზანშეწონილად უფრო მკაცრი ზომების მიღებას, რის შესახებაც იმავე ბრძანებაში სწერია: „თუკი ამის შემდეგ რომელიმე ოფიცერი ავადმყოფობის ან სხვა საბაბით არ გამოცხადდება თავის ნაწილში და წინანდებურად აარიდებს თავს სამსახურს, მათ შესახებ პირადად მოვახსენებ ხელმწიფე იმპერატორს, რომ ღირსნი არ არიან იყონ მის სამსახურში და ისინი არა მარტო გაგდებულნი იქნებიან ჯარიდან, არამედ სამშობლოდანაც გაძევებულნი".

მსგავსი ხერხებისა და მეთოდების საშუალებით პეტრე ბაგრატიონი ყოველთვის აღწევდა მიზანს. ამიტომაა, ყველა, ვინც მას ახლოს იცნობდა, ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ მასთან სამსახური საპატიო, მაგრამ რთული საქმე იყო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატიონი თავის უპირველეს ამოცანად ჯარისკაცში მამულისადმი სიყვარულის გაღვივებას მიიჩნევდა. იგი სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ არც სამხედრო ხელოვნებას, არც სიმამაცეს და შეუპოვრობას არ ძალუძთ რაიმე სარგებელი მოუტანონ ქვეყანას, თუკი მისი დამცველი მისადმი სიყვარულის წმინდა გრძნობით არ არის გამსჭვალული. უფრო მეტიც, ნამდვილი გმირი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის, ვისთვისაც სამშობლოს

სიყვარული უმაღლესი იდეალია. ასე ფიქრობდა ბაგრატიონი, ასე ცხოვრობდა და მთელი მისი ცხოვრება სამშობლოსადმი უანგარო ერთგულების მაგალითია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუვოროვის მსგავსად, ბაგრატიონიც რუსეთის დიდი პატრიოტი იყო, გულწრფელად უყვარდა რუსი ხალხი და ამ სიყვარულს შესწირა თავისი შესანიშნავი ცხოვრება. წარმოშობით ქართველი, იგი რუსეთს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. ვეჭვობთ, დაიძებნოს მეორე ადამიანი, რომელმაც მასავით განიცადა მოსკოვის ბედი. 1812 წლის 7 აგვისტოს წერილში არაკჩეევისადმი იგი ამბობდა, რომ თუკი მტერი მოსკოვს მიუახლოვდება, „მთელი ხალხით უნდა შევუტიოთ მას ან გავანადგუროთ, ან სამშობლოს კედლებთან დავეცეთ“. სიკვდილის წინ დაწერილი მისი წერილები გამსჭვალულია სიყვარულით რუსი ხალხისადმი, რუსეთის მიწისადმი, მოსკოვისადმი. სასიკვდილოდ დაჭრილი, უკანასკნელ დღეში მყოფი, იგი სწერდა გრაფ როსტოპჩინს: „მშვიდობით პატივცემულო მეგობარო, მეტს ველარ გნახავ, ჭრილობა კი არა, მოსკოვი მკლავს“.

ბაგრატიონის ამ თვისებას ყველა კარგად ამჩნევდა. „მასში ვიხილე კეთილშობილი და სამშობლოს სიყვარულის მაღალი გრძნობით გამსჭვალული ადამიანი“, — სწერდა ბარკლაი დე ტოლი იმპერატორ ალექსანდრე I ბაგრატიონის შესახებ. გენერალი პეტრე ბაგრატიონი სულგრძელი იყო ყველას მიმართ, ვისაც კი გულწრფელად უყვარდა რუსეთი. იგი მათ უაღრესად დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. როდესაც ბოროდინოს ველზე ბარკლაის არაჩვეულებრივი გმირობის მოწმე გახდა და დარწმუნდა რუსეთისადმი მის ერთგულებაში, ბაგრატიონმა მკვეთრად შეიცვალა თავისი შეხედულება ამ გენერალზე. სასიკვდილოდ დაჭრილმა იხმო მისი ადიუტანტი და დაავალა მას გადაეცა ბარკლაი დე ტოლისათვის, რომ იგი კვდება მისადმი უდიდესი პატივისცემით გამსჭვალული.

რომ გახდე დიდი სარდალი, დაიმსახურო ნამდვილი სიყვარული, — უნდა გიყვარდეს სამშობლო წმინდა სიყვარულით, მზად უნდა იყო უყოყმანოდ შესწირო ცოდნა, ენერგია, გამოცდილება, სიცოცხლე მის მიწასა და ხალხს. ეს პრინციპი თან სდევდა ბაგრატიონს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენერლები ვლადიმერ და ლევან იაშვილები

1812 წლის რუსეთის სამამულო ომში მონაწილე სხვა ქართველებს შორის მოხსენიებულია ორი ძმა იაშვილი, ვლადიმერ მიხეილის ძე (1764—1815 წწ.), გენერალ-მაიორი, და ლევან მიხეილის ძე (1768—1836 წწ.), გენერალ-ლეიტენანტი, ხოლო 1819 წლიდან — არტილერიის სრული გენერალი.

ვლადიმერ იაშვილის მონაწილეობა სამამულო ომში მეტად ხანმოკლე იყო და ალბათ ამიტომაა, რომ იგი ბაგრატ ბატონიშვილის სიაში არ იხსენიება. ომის დაწყების წინ, როგორც იმპერატორ პავლე I მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე, იგი კალუგის გუბერნიაში გადაასახლეს.

ჩვენამდე მოაღწია მისმა წერილმა იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი, რომელიც ადასტურებს იაშვილის მონაწილეობას პავლეს მკვლელობაში და ამავე დროს საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მისი გადასახლების ნამდვილ მიზეზებზე. „ხელმწიფევ, — ვკითხულობთ წერილში, — რა წუთიდან მამათქვენი ტახტზე ავიდა, მე გადავწყვიტე, თუკი ეს საჭირო იქნებოდა, თავი შემეწირა რუსეთის კეთილდღეობისათვის, უბედური რუსეთისა, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ შემთხვევითი პირების სათამაშო ასპარეზად იქცა და ბოლოს მსხვერპლადაც... ჩვენს სამშობლოს თვითმპყრობელი ხელისუფლება მართავს, მილიონების ბედი დამოკიდებულია ერთი ადამიანის ჭკუასა და სულგრძელობაზე. პეტრე დიდი სახელოვნად ეზიდებოდა მძიმე ტვირთს და მისი ბრძნული მმართველობის დროს ქვეყანა ისვენებდა; მაგრამ გენიოსები იშვიათნი არიან... ღმერთმა იცის, რომ ჩვენი ხელები სისხლით შეიღება არა ანგარების გამო: ნეტავ, მსხვერპლი უშედეგო ნუ იქნება. შეიგნეთ თქვენი უმაღლესი მოვალეობა, იყავით ტახტზე, თუ შესაძლებელია, პატიოსანი ადამიანი და რუსი მოქალაქე. გახსოვდეთ, რომ სასოწარკვეთილებისთვისაც არსებობს საშუალება და ნუ მიიყვანთ სამშობლოს დაღუპვამდე. ადამიანს, რომელიც სიცოცხლეს სწირავს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენერალი ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილი.

რუსეთს, აქვს უფლება ეს გითხრათ... მე ახლა უფრო დიდი ვარ, ვიდრე თქვენ, რადგანაც არაფერი არ მსურს და თუ თქვენი დიდების გადასარჩენად, რომელიც ჩემთვის ძვირფასია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი რუსეთის დიდებაა, საჭიროა ჩემი სიკვდილი, მე ამისათვის მზადა ვარ. მაგრამ ამას აზრი არა აქვს; მთელი ბრალი ჩვენ გვაწვება. მაგრამ ამაზე დიდ დანაშაულებსაც ფარავს სამეფო მანტია. მივდივარ ჩემს სოფე-

ლში, შევეცდები იქ გამოვიყენო სისხლიანი გაკვეთილები და ვიზრუნო ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე. მეფეთა მეფე ან შემიწყალებს, ან დამსჯის, სიკვდილის წინ ვევედრები მას, რომ ჩემი მსხვერპლი — უმეცდეგო არ აღმოჩნდეს!

მშვიდობით ხელმწიფევ! მეფის წინაშე მე სამშობლოს მხსნელი ვარ, ხოლო შვილისწინაშე — მკვლელი...".

სამწუხაროდ, წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ ფრაზა „მივდივარ ჩემს სოფელში" — მიგვითითებს, რომ იგი დაწერილია პეტერბურგიდან იაშვილის გასვლის წინ, რასაც ადგილი ჰქონდა 1803 წლის დასაწყისში, როგორც ეს სხვა საბუთებიდან ჩანს.

წერილში იაშვილი აშკარად ასახელებს თავის თავს შეთქმულების მონაწილედ. მან, როგორც ჩანს, კარგად იცოდა პავლე I მიერ დამკვიდრებული რეჟიმით საზოგადოების ყველა ფენის უკმაყოფილების შესახებ და ალბათ ამიტომაც ეგონა, რომ იმპერატორის მოკვლით ქვეყანა გათავისუფლდებოდა ტირანიისაგან.

ძირითადი მიზეზები, რომელთაც განაპირობეს იაშვილის მონაწილეობა შეთქმულებაში, ჩვენი აზრით, შემდეგია: პირველი, პრუსიული სამხედრო სისტემის დანერგვა რუსეთში; მეორე, ტირანული ხელისუფლების შეზღუდვისა და არისტოკრატიული კონსტიტუციის პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის დამყარების სურვილი და, დასასრულ, მესამე, — პირადი ანტიპათია პავლე პირველისადმი, რომელიც ესოდენ აშკარად იგრძნობა ზემოთ მოტანილ წერილში.

იბადება კითხვა, რატომ მოეპყრო ასე მკაცრად ვლადიმერ იაშვილს ალექსანდრე I, რომელიც თვითონ იყო შეთქმულების მონაწილე? რატომ გაუსწორდა ასე სასტიკად შეთქმულთა ნაწილს (პალენი, იაშვილი), ხოლო ზოგიერთს ხელიც არ ახლო (მაგ., ბენიგსენს)? საქმე ისაა, რომ იმპერატორი სრულ დამოკიდებულებას გრძნობდა იმ პირთაგან, რომლებმაც იგი ტახტზე აიყვანეს, მან შესანიშნავად იცოდა, რომ 1801 წლის 11 მარტის[1] ამბების მონაწილეთა მთავარი მიზანი თვითმპყრობელური ხელისუფლების შეზღუდვა და არისტოკრატიული კონსტიტუციის მიღება იყო, რაც მას ოდნავადაც არ აძლევდა ხელს. იგი ვერაფრით ვერ შეურიგდებოდა თავისი ხელისუფლების შეზღუდვას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალექსანდრე

1 პავლე I მკვლელობის დღე.

სწორედ მათ გაუსწორდა, ვინც სხვებზე მეტად ეძებდა გარკვეულ მდგომარეობას და გავლენას სამეფო კარზე. ასეთთა რიცხვს, ჩანს, ვლადიმერ იაშვილიც ეკუთვნოდა. იგი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვისაც ახალ იმპერატორს ეშინოდა. „იყავით ტახტზე, თუ შესაძლებელია, პატიოსანი ადამიანი და რუსი მოქალაქე. გახსოვდეთ, რომ სასოწარკვეთილებისთვისაც არსებობს საშუალება და ნუ მიიყვანთ სამშობლოს დაღუპვამდე, ადამიანს, რომელიც სიცოცხლეს სწირავს რუსეთს, აქვს უფლება ეს გითხრათ... მე ახლა უფრო დიდი ვარ, ვიდრე თქვენ, რადგანაც არაფერი არ მსურს...“ ბუნებრივია, რომ ალექსანდრეს ამგვარი წერილის ავტორი ხელისუფლებისათვის საშიშ პიროვნებად შეეძლო მიეჩნია. ერთადერთ გამოსავალს იგი მის მოშორებაში ხედავდა. ამიტომ გადაასახლა კიდევაც ვლადიმერ იაშვილი 1803 წლის დასაწყისში მის მამულში კალუგის გუბერნიის სოფელ მურომცევოში, დაუწესა პოლიციის მეთვალყურეობა და აუკრძალა ორივე დედაქალაქში გამოჩენა.

სწორედ აქ მოუსწრო მას სამამულო ომმა. იაშვილს, რომელმაც სიცოცხლის დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე გაატარა და არაერთხელ ასახელა რუსული იარაღი, ამჯერადაც მოუნდომებია თავისი ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს სასარგებლოდ გამოეყენებინა, მაგრამ რადგანაც იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, მისი სურვილის განხორციელება საგანგებო ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო. დახმარებისათვის მან გენერალ-ლეიტენანტ შეპელევს მიმართა, რომელიც იმ დროს კალუგის გუბერნიაში განლაგებული ჯარების სარდალი იყო. იაშვილი სთხოვდა შეპელევს ეშუამდგომლა სათანადო პირთა წინაშე, რათა მისთვის ნება დაერთოთ მონაწილეობა მიეღო ნაპოლეონის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში. შეპელევი, ჩანს, თანაგრძნობით შეხვდა მის თხოვნას და, რადგანაც ამ საკითხის გადაჭრა თვითონ არ შეეძლო, 1812 წლის 30 აგვისტოს მისწერა კუტუზოვს, რომ „სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-მაიორი თავადი იაშვილი, რომელსაც... ორივე სატახტო ქალაქში აკრძალული აქვს ჩასვლა, ითხოვს ჩემს შუამდგომლობას თქვენი ბრწყინვალების წინაშე, რათა კეთილინებოთ და ღირსი გახადოთ იგი თქვენი მაღალი მფარველობისა“. ამის შემდეგ შეპელევი მაღალ შეფასებას აძლევს იაშვილის ადრინდელ სამხედრო დამსახურებას და სთხოვს კუტუზოვს დართოს ნება გადამდგარ გენერალს ემსახუროს მის, შეპელევის, ნაწილებში.

ფელდმარშალმა დააკმაყოფილა შეპელევის შუამდგომლობა და

1812 წლის 17 სექტემბერს წერილობით აცნობა მას: „თქვენი ალმატებულების წარდგენის თაობაზე გაუწყებთ, რომ თანახმა ვარ, ბრძანდეთ გენერალ-მაიორი თავადი იაშვილი კალუგის სახალხო რაზმეულის სამსახურში...“.

გენერალმა შეპელევმა მთავარსარდლის განკარგულება წარუდგინა კალუგის გუბერნატორს, რომელიც იაშვილზე პოლიციის მეთვალყურეობას ახორციელებდა.

გუბერნატორი დაემორჩილა კუტუზოვის განკარგულებას, მაგრამ პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი დაწვრილებით პოლიციის მინისტრს აცნობა. მანვე 23 სექტემბერს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა კუტუზოვს: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უზენაესი განკარგულებით ჩემდამი რწმუნებულ გუბერნიაში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა გენერალ-მაიორი თავადი იაშვილი, რომელსაც დედაქალაქებში გამოცხადება აკრძალული ჰქონდა, ამ განკარგულების შესასრულებლად საცხოვრებლად მას მიჩნეული ჰქონდა სოფელი პერემიშლის მაზრაში. ა/წ 3 სექტემბრის ბატონ პოლიციის მინისტრის ნებართვით მას უფლება მიეცა საჭიროების მიხედვით კალუგაში ჩასვლისა, ოღონდ იმ პირობით, რომ მე თვალყური მედევნებინა მისი ქცევისათვის. ამჟამად გენერალ-ლეიტენანტმა შეპელევმა მაახლა თქვენი ბრწყინვალების ამ თვის 17 რიცხვის № 91 განკარგულების ასლი დასახელებული თავადი იაშვილის კალუგის სახალხო რაზმეულში სამსახურში გამწესების თაობაზე. ამის შესასრულებლად დავავალე სამაზრო პოლიციის უფროსს ზედამხედველობა შეეწყვიტა და ამის შესახებ ეცნობებინა ბატონ პოლიციის მინისტრისათვის. თავს მოვალედ ვრაცხ ვაუწყო თქვენს ბრწყინვალებას ყოველივე ზემოთქმული“.

ვიდრე კუტუზოვი ამ წერილს მიიღებდა, კალუგის გუბერნიაში შეიქმნა სახალხო რაზმეული, რომელსაც შეუერთეს რეგულარული ჯარის ნაწილები. ამ შენაერთების მეთაურად დანიშნეს გენერალ-მაიორი ვლადიმერ იაშვილი. ახლადშექმნილ ნაწილებს ებრძანა „როსლავლისკენ წასვლა, იქიდან მოწინააღმდეგის გამოგდება და ბრიანსკის დაცვით მის კომუნიკაციაზე მოქმედება“. კალუგის რაზმეულის მოქმედების შესახებ მოდიოდა მეტად სასიხარულო ცნობები, რაც ყველას და განსაკუთრებით გენერალ შეპელევს ახარებდა, რადგანაც იგი თავდებად დაუდგა ვლადიმერ იაშვილს.

22 ოქტომბერს შეპელევი ატყობინებდა მთავარსარდალს, რომ

ელნიას გზაზე მას „დახვდა მოწინააღმდეგის რაზმი, რომელიც თავად იაშვილის მოქმედების წყალობით სწრაფად და ენერგიულად იქნა უკუგდებული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გენერალ-ლეიტენანტი შეპელევი, — ვკითხულობთ 1 სექტემბრიდან — 31 დეკემბრამდე სამხედრო მოქმედების ჟურნალში, — მიმავალი ქ. ელნიასაკენ, გზაზე მოწინააღმდეგეს წააწყდა. თავად იაშვილის რაზმი გაიყო ორ კოლონად და ეკვეთა მტერს, რომელმაც სასწრაფოდ იბრუნა პირი და უწესრიგოდ გაიქცა ქალაქისაკენ. ამავე დროს მოწინააღმდეგის მეორე რაზმი შეეცადა შეპელევის ზურგში შეჭრილიყო, მაგრამ თავადმა იაშვილმა არტილერიის რამდენიმე გასროლით შეაჩერა იგი. მოწინააღმდეგის რაზმები ქალაქში შეერთდნენ, რომელიც იაშვილის მიერ სამი მხრიდან ბლოკირებული იყო“. ეს ბლოკადა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ სულ მალე მტერმა ქალაქი დათმო. 25 ოქტომბერს გენერალი შეპელევი აუწყებდა კუტუზოვს, რომ „თავადმა იაშვილმა გამოაგდო მტერი ქ. იელნიადან და დაიკავა ეს უკანასკნელი“.

კალუგის გუბერნატორის წერილის მიღებისას კუტუზოვმა არ იცოდა გენერალ იაშვილის წარმატების შესახებ, მაგრამ ფელდმარშალს ჰქონდა იაშვილის საბრძოლო თვისებების შესანიშნავი დახასიათება, რომელიც მას მისცა გენერალმა შეპელევმა და, ბუნებრივია, რომ მას ჯარში სწორედ ასეთი გენერალი სჭირდებოდა. ამავე დროს მთავარსარდალს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია კალუგის გუბერნატორის წერილისთვის, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იაშვილის საქმის შესახებ ეცნობა პოლიციის მინისტრს, რაც იმპერატორსაც ნიშნავდა. კუტუზოვმა იცოდა, რომ იმპერატორი მაინცდამაინც კეთილად არ იყო მისადმი განწყობილი და უსიამოვნო შედეგების თავიდან ასაცილებლად, გადაწყვიტა თვითონ მიეწერა იმპერატორისათვის. 26 სექტემბერს მან შეადგინა პატაკი, სადაც თავის გასამართლებლად ამბობდა, რომ მან არაფერი იცოდა იაშვილზე დაწესებული პოლიციის ზედამხედველობის შესახებ[2]. „კალუგის გუბერნიაში მცხოვრები გენერალ-მაიორი თავადი იაშვილი, — ვკითხულობთ პატაკში, — დიდად დაეხმარა გენერალ-ლეიტენანტ შეპელევს ამ გუბერნიის სახალხო რაზმეულის ჩამოყალიბებასა და გაწვრთნაში. მე სრულიად არ გამეგე-

2 სინამდვილეში კუტუზოვმა ყველაფერი იცოდა 30 აგვისტოს შეპელევის წერილიდან.

ბოდა, რომ იგი მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა და ამიტომ არა მარტო გამოვიყენე იგი, არამედ 4-ათასიანი რაზმი ... ვანდე, რომელიც ძირითადად კალუგის რაზმელთაგან შედგება. ამ რაზმს ებრძანა წასულიყო როსლავლისკენ, გამოეგდო იქიდან მოწინააღმდეგე, დაეცვა ბრიანსკი და ემოქმედა მის კომუნიკაციაზე. ყოველივე ამის შემდეგ მივიღე კალუგის გუბერნატორის შეტყობინება, რომ იაშვილი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და რადგანაც ამჟამად მას მინდობილი აქვს მეტად მნიშვნელოვანი მიმართულება, არ ვაჩერებ მას თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის განკარგულების მიღებამდე. ჩემი გაგებით, ეს ადამიანი მეტად სასარგებლო იქნება ჩვენთვის".

ალექსანდრეს, რომელსაც არ უყვარდა კუტუზოვი, მიეცა საშუალება შენიშვნა მიეცა მისთვის. 3 ოქტომბერს ფელდმარშალის სახელზე გაგზავნილ რესკრიპტში იგი წერდა: „თავადო მიხაილო ლარიონის ძევ! დიდად გაოცებულმა შევიტყვე თქვენი ერთ-ერთი პატაკიდან, რომ თქვენ სამსახურში აგიყვანიათ გადასახლებაში მყოფი ცნობილი იაშვილი ისე, რომ ანგარიში არ გაუწიეთ გუბერნატორის შეტყობინებას, რომლითაც იგი გაუწყებდათ, რომ იაშვილზე ზედამხედველობაა დაწესებული. თქვენ დაისაკუთრეთ უფლება, რომელიც მხოლოდ მე მაქვს, რისთვისაც გისაყვედურებთ და გავალებთ დაუყოვნებლივ შეცვალოთ იაშვილი და გააგზავნოთ იგი სიმბირსკში, გუბერნატორის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ". ალექსანდრე I ისე იყო აღშფოთებული კუტუზოვის საქციელით, რომ თავისი ხელით დაწერილ რესკრიპტის შავ პირზე, რომელიც არაკჩეევს გაუგზავნა, დაწერა „რა თავხედობაა".

იმპერატორის სიმკაცრე იაშვილის მიმართ აიხსნება არა იმდენად მისი მონაწილეობით პავლეს მკვლელობაში, არამედ უფრო იმით, რომ, როგორც ზევით იყო ნათქვამი, მას დიდი პრეტენზიები ჰქონდა და, რაც მთავარია, ალექსანდრემ ვერ დაივიწყა მისი წერილის საკმაოდ გამომწვევი ტონი.

ასეა თუ ისე, მონარქის რესკრიპტმა გადაწყვიტა იაშვილის ბედი: კუტუზოვი, თავისი სურვილის წინააღმდეგ, იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა იგი სამსახურიდან. 31 ოქტომბერს მთავარსარდალმა პატაკით მოახსენა იმპერატორს, რომ „გენერალ-მაიორი იაშვილი თავის სოფელს დაუბრუნდა".

ამრიგად, ვლადიმერ იაშვილის მეტად სასარგებლო და წარმატე-

ბით დაწყებული მოქმედება, იმპერატორის ნება-სურვილით უდროოდ იქნა შეწყვეტილი. ამიტომ მისი მონაწილეობა 1812 წლის სამამულო ომში, უკვე ვთქვით, ძალზე ხანმოკლე იყო, სულ რაღაც 40—56 დღე. იგი გარდაიცვალა 1815 წელს დაპატიმრებისა და სიმბირსკში გადასახლების მოლოდინში.

* * *

გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი იყო მეორე ძმის, გენერალ-ლეიტენანტ ლევან მიხეილის ძე იაშვილის მონაწილეობა 1812 წლის ომში. ომის პირველი დღიდან მის დასასრულამდე, რუსეთის ჯარების საზღვარგარეთული ლაშქრობის ჩათვლით, ლევან იაშვილის არტილერისტები შეუპოვრად ებრძოდნენ მოწინააღმდეგეს. მასალები, რომლებიც ჩვენ ამ პიროვნების შესახებ მოვიძიეთ, ახასიათებს მას, როგორც არაჩვეულებრივი გამბედაობის, უმაღლესი კვალიფიკაციის სამხედრო მოღვაწეს, რომლის მკაცრი მომთხოვნელობა ეხამებოდა თავმდაბლობასა და სისადავეს.

ლევან იაშვილი დაიბადა 1768 წელს. 16 წლის ასაკში იგი არტილერიის კადეტთა კორპუსში გაუშვესებიათ და, იმ დღიდან მოყოლებული, მან თითქმის ორმოცდაათი წელი სამხედრო სამსახურში გაატარა. დაწყებული 1789 წლიდან, როდესაც მან პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო თურქებთან შეტაკებაში კინბურთან, ვიდრე 1833 წლამდე, როდესაც იგი პენსიაზე გავიდა, რუსეთის ჯარებს არ ჩაუტარებია არც ერთი ოდნავ მნიშვნელოვანი ოპერაციაც კი, რომელშიაც ლევან იაშვილს მონაწილეობა არ მიეღოს. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სუვოროვის 1788 წლის იტალია-შვეიცარიის ლაშქრობა, რომელშიაც იაშვილის მონაწილეობა დადასტურებული არ არის.

საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე რუსეთთან ომისათვის ხანგრძლივად და საფუძვლიანად ემზადებოდა. ალექსანდრე I მთავრობას ამ სამზადისის შესახებ საკმაო ცნობები ჰქონდა. უკვე 1810 წლისათვის რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში აღარავის ეპარებოდა ეჭვი ომის გარდუვალობაში. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში არც რუსეთი იყო უმოქმედოდ. გამოცხადდა მობილიზაცია, საფუძველი ჩაეყარა ახალ სიმაგრეებს (ბობრუისკი, დინაბურგი), შეკეთდა ძველი (კიევი, რიგა), თურქეთის ფრონტიდან მოხსნილი ხუთი დივიზია დასავლეთის საზღვარზე განლაგდა და ა. შ. ამ მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდა ლევან იაშვილიც. იგი ხელმძღვანელობდა დინაბურგში წარმოებულ სამუშაოებს.

1812 წლის ომის დაწყებისთანავე უმაღლესმა სარდლობამ პირველი არმიის შემადგენლობიდან გამოჰყო ერთი კორპუსი, რომლის მეთაურად თავადი ვიტგენშტეინი დაინიშნა. ამ კორპუსის არტილერიის

გენერალი ლევან მიხეილის ძე იაშვილი

უფროსობა დაეკისრა ლევან იაშვილს, რომელსაც მაშინ გენერალ-მაიორის წოდება ჰქონდა. ვიტგენშტეინის კორპუსს უნდა ემოქმედა ბელორუსიის ტერიტორიაზე, რომელიც სხვა რაიონებზე ადრე იყო ოკუპირებული. აქ დისლოცირებულ საფრანგეთის სამხედრო შენაერთებს

ნაპოლეონის საქვეყნოდ აღიარებული მარშლები—უდინო, მაკდონალდი, სენ-სირი და ვიქტორი ხელმძღვანელობდნენ. მათგან განსხვავებით, ვიტგენშტეინი თავისი ნიჭით მაინცდამაინც არ იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა მის კორპუსს დაეკისრა მეტად პასუხსაგები ამოცანა—გაეთავისუფლებინა ფრანგების მიერ ოკუპირებული პოლოცკი და პეტერბურგისაკენ გზა გადაეღობა მათთვის. ამ დავალების წარმატებით შესრულების საწინდარი კორპუსის პირადი შემადგენლობის და მისი გენერლების მაღალი საბრძოლო თვისებები და პირადი ვაჟკაცობა იყო. ამ გენერლებს შორის იყვნენ კულნევი, ბერგი, იაშვილი და სხვები, რომელთა მამაცობა და შეუპოვრობა ყოველთვის სანიმუშო იყო და ჯარისკაცებისათვის ბრწყინვალე მისაბაძი მაგალითი. ამავე დროს, ვიტგენშტეინის კორპუსში მსახურობდა სახალხო რაზმელთა საკმაო რაოდენობა. ეს იყო სამხედრო თვალსაზრისით სრულიად გამოუცდელი, ყოველგვარ პრაქტიკულ ჩვევებს და თეორიულ ცოდნას მოკლებული კონტინგენტი. ეს, ბუნებრივია, კორპუსის ბრძოლისუნარიანობას აქვეითებდა. სამაგიეროდ, როგორც ერთსულოვნად აღიარებენ სპეციალისტები, რაზმელები თავისი ვაჟკაცობით, მორალური და საბრძოლო სულისკვეთებით, მტრისადმი სიძულვილით ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდნენ რეგულარული ჯარის ნაწილებს. მათი მტერთან შებმის სურვილი ზოგჯერ კურიოზებამდე მიდიოდა. საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მოვიშველიებთ. ომის პირველ დღეებში ვიტგენშტეინი იძულებული გახდა დრუესაკენ დახევის ბრძანება გაეცა. როგორც თანამედროვენი ამბობენ, რეგულარული ჯარის ნაწილები ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილნენ. რაც შეეხება რაზმელებს, მათ უკანდახევის გაგონებაც კი არ უნდოდათ. „ჩვენ აქ საომრად მოგვიყვანეს და არა უკანდასახევადო“, — განუცხადებიათ მათ. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ვიტგენშტეინმა, როგორც იქნა, დაიყოლია ისინი შეესრულებინათ მისი ბრძანება. ბუნებრივია, ასეთ ურჩობას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყოლოდა, მაგრამ ასეთი საბრძოლო სულისკვეთებით განწყობილი ნაწილები გაცილებით უკეთ ომობდნენ.

ვიტგენშტეინის კორპუსის პირველი შებრძოლება მტერთან მოხდა სოფელ კლიასტიცისთან (ბელორუსია) 18, 19 და 20 ივლისს. ეს სოფელი, რომელიც ფრანგებს დაეკავებინათ, იმყოფებოდა პოლოცკის მახლობლად სებეჟ-პოლოცკის გზაზე. ბრძოლა, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა (იაკობოვოსთან, კლიასტიცისთან და გოლოვჩიცნას-

თან), მიზნად ისახავდა პოლოცკის ვანთავისუფლებას, სებეჟის გზის ბლოკირებას და ამით პეტერბურგზე მტრის მოსალოდნელი მეტევისათვის ხელის შეშლას. აქ, ვიტგენშტეინის წინააღმდეგ მარშალ უდინოს ორმოცდახუთათასიანი „ჯოჯოხეთური ლეგიონი“ მოქმედებდა. უდინომ, როგორც კი მიიღო ცნობა პოლოცკის მიმართულებით სებეჟის გზით რუსების მოძრაობის შესახებ, გადაწყვიტა დახვედროდა მათ და შეეჩერებინა ისინი.

ეს იყო ნაპოლეონის ბრძანება. „პოლოცკში დატოვეთ მცირერიცხოვანი გარნიზონი, — წერდა იგი მარშალს, — თქვენ კი ვიტგენშტეინს სდიეთ ფეხდაფეხ. ვიტებსკში ჩასვლისთანავე მე ნეველისაკენ გავგზავნი კორპუსს, რომელიც თქვენთან დაამყარებს კავშირს. თქვენ გაემართებით პოლოცკიდან სებეჟისაკენ, ვიტგენშტეინი კი ალბათ უკან დაიხევს პეტერბურგის გზის დასაცავად, მას ათი ათას კაცზე მეტი არა ჰყავს და შეგიძლიათ თავისუფლად შეუტიოთ“.

ნაპოლეონის ბრძანების თანახმად, უდინო კლიასტიცისკენ გაემართა, მაგრამ იმპერატორის ვარაუდი არ გამართლდა: ვიტგენშტეინმა პირი კი არ იბრუნა, არამედ მაგრად დაუხვდა მოწინააღმდეგეს, რომელიც რუსების განსაკუთრებულმა შეუპოვრობამ და მამაცობამ ძეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. სწორედ აქ სოფელ კლიასტიცისთან მოხდა ის სამდღიანი ბრძოლა (18, 19 და 20 ივლისს), რომელმაც დიდი სახელი მოუხვეჭა რუს მეომრებს. რუსებმა ტყვედ სამი ათასი კაცი ჩაიგდეს, მათ შორის 25 ოფიცერი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს გამარჯვება, ერთერთი პირველი ომის დაწყების დღიდან, მიღწეულ იქნა ლევან იაშვილის არტილერისტების გმირული და ენერგიული მოქმედების წყალობით. მხოლოდ ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება მისი პატაკიდან, რომელიც ვიტგენშტეინის სახელზეა გაგზავნილი 23 ივლისს. „მე არ მიმაჩნია საჭიროდ — ვკითხულობთ პატაკში, — დაწვრილებით მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას იმ წარმატების შესახებ, რომელსაც მიაღწია თქვენი ბრწყინვალების არტილერიამ სამდღიან განუწყვეტელ ბრძოლებში, რომლებიც მტრის ძლიერი რაზმების სრული განადგურებით დასრულდა. მოვალედ ვრაცხ თავს მოკლედ აღვნიშნო ისინი, რომელთაც თავი გამოიჩინეს განსაკუთრებული მამაცობით, მოხერხებული და გაბედული მოქმედებით“. ამას მოსდევს ოფიცერთა სია და ჩამოთვლილია მათ მიერ ჩადენილი საგმირო საქმენი. „თითოეული დასახელებულ პირთაგან, — ნათქვამია იმავე დოკუმენტში, — მით უფ-

რო იმსახურებს თქვენი ბრწყინვალების ყურადღებას, რომ ისინი წარ-
მოუდგენელ წინააღმდეგობათა გადალახვით მიიწევდნენ წინ და ბრძო-
საკუთრებული სისწრაფით იკავებდნენ მოწინააღმდეგისათვის მნიშვ-
ნელოვან ადგილებს. მტერმა რაც კი აღმართა მათ შესაჩერებლად,
ყოველივე გაფანტული, გადაყირავებული, უკუქცეული და ცეცხლ-
მოდებული იქნა, რამაც მეტად შეავიწროვა მოწინააღმდეგე და ჩვენი
ჯარის წინსვლა გააადვილა“.

ამ საკმაოდ ვრცელ პატაკში, როგორც ვნახეთ, იაშვილი არაფერს
ამბობს თავის დამსახურებაზე. ამ ხარვეზს კარგად ავსებენ ომის მო-
ნაწილენი. გენერალ-მაიორი პისარევი წერს, რომ ამ ბრძოლებში „საქ-
მის ცოდნითა და მამაცობით თავი გამოიჩინეს გენერალმა თავადმა
იაშვილმა და პოლკოვნიკმა შტადენმა“. განსაკუთრებით საინტერესოა
ამ თვალსაზრისით გრაფ ვიტგენშტეინის მოხსენება იმპერატორისად-
მი. „ამ საქმეში (იგულისხმება ბრძოლა კლიასტიცისთან — ი. ა.), —
ყველაზე უფრო მიწყობდა ხელს მამაცი და გამჭრიახი გენერალ-მაიო-
რი იაშვილი, რომელიც თავისი ბატარეებით სასტიკ ზიანს აყენებდა
მოწინააღმდეგეს. ამავე დროს, პირადი ყოფნით ყველაზე მძიმე უბნებ-
ზე, მოწინააღმდეგის საშინელი ცეცხლის ქვეშ, იგი შესანიშნავად ამხ-
ნევებდა თავის არტილერისტებს“.

კლიასტიცისთან სამდღიან ბრძოლაში უნარიანი მოქმედებისათვის
გენერალ-მაიორ ლევან იაშვილს მიენიჭა არტილერიის გენერალ-ლეი-
ტენანტის სამხედრო წოდება.

სამხედრო ისტორიკოსები კლიასტიცისთან გამარჯვებას განსაკუთ-
რებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც
უკვე აღვნიშნეთ, ეს იყო ომის დაწყების დღიდან რუსების ფაქტიუ-
რად პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება. მეორე, თანამედროვეთა
აღნიშვნით, გამარჯვებამ გარკვეულად დააშშვიდა პეტერბურგის მო-
სახლეობა, რომელიც ძალზე შეშფოთებული იყო ფრანგების მოძრაო-
ბით სებეჟის გზით და ბოლოს, ამ ბრწყინვალე ოპერაციის შედეგად,
მარშალმა მაკდონალდმა სრულიად დაკარგა რიგის აღების ყოველ-
გვარი შესაძლებლობა, რაც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ბონაპარ-
ტეს განზრახვას. მაკდონალდმა იმის შემდეგ, რაც გაიგო უდინოს
დამარცხებისა და პოლოცკისაკენ უკანდახევის ამბავი, ველარ გაბედა
რიგის შტურმზე წასვლა და რამდენიმე კვირის განმავლობაში უსაქმოდ
იდგა დინაბურგში. სწორედ ამიტომ ამბობდა ნაპოლეონი, რომ „კლიას-
ტიცისთან წარუმატებლობა დამღუპველი გამოდგა ჩემი შემდგომი მო-
ქმედებისათვისო“.

კლიასტიციისთან ბრძოლა უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი, მეტად საჭირო ეტაპი, პოლოცკის გათავისუფლებაში. ბუნებრივია, საჭირო იყო მოწინააღმდეგის განდევნა ქალაქიდან რაც შეიძლება შორს. ამავე დროს ბონაპარტემ, რომელსაც ვიტგენშტეინის შემდგომი შეტევისა ეშინოდა, გააძლიერა უდინოს „ჯოჯოხეთური ლეგიონი“ მარშალ სენ-სირის ბავარიის მეექვსე კორპუსით[3]. ამრიგად, რუსების ერთი კორპუსის წინააღმდეგ მტრის სამი კორპუსი მოქმედებდა. ვიტგენშტეინის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ იგი საგრძნობლად იყო დაშორებული რუსეთის სამივე არმიას და ამიტომ რაიმე დახმარების მიღების თითქმის არავითარი შანსი არ ჰქონდა. „გამბედაობა, რომელიც თან სდევდა გრაფ ვიტგენშტეინს, — წერს ომის მონაწილე მიხაილოვსკი-დანილევსკი, — მით უფრო ღირსია პატივისცემისა, რომ მის ზურგს უკან, პეტერბურგამდე 600 ვერსის მანძილზე არსად არ იდგა ჯარის ისეთი ნაწილი, რომლის იმედით, წარუმატებლობის შემთხვევაში, შეეძლო მას დაეხია. პირიქით, უდინოსა და სენ-სირისაგან ოდნავ დაშორებით იდგა ნაპოლეონი ჯერ ვიტებსკში, შემდეგ სმოლენსკში, საიდანაც მას შეეძლო დახმარება აღმოეჩინა დვინაზე მოქმედი მარშლებისათვის. ისინი თითქმის განუწყვეტელ კავშირში იყვნენ მთავარ ძალებთან, რომლების უშუალო ხელმძღვანელობას მათი მბრძანებელი ახორციელებდა“.

დახმარების მიღებისთანავე უდინომ გადაწყვიტა შეტევაზე გადასულიყო და ამით ერთგვარად შური ეძია დამარცხებისათვის. ამ მიზნით იგი 25 ივლისს პოლოცკიდან გამოვიდა და ვოლინცისაკენ გაემართა. მის შესახვედრად ვიტგენშტეინის კორპუსი დაიძრა, რომელსაც დაჭრილი გრაფის ნაცვლად სათავეში ჩაუდგა შტაბის უფროსი დოვრე. რუსები განლაგდნენ მდინარე სვოლნიაზე მდებარე ერთ-ერთ ხუტორსა და სოფელ კახანოვის შორის. ამ დროისათვის უდინოს ავანგარდი სვოლნიას მარჯვენა ნაპირზე გადავიდა, ხოლო კორპუსის ძირითადი ძალები მარცხენა ნაპირზე დარჩნენ. რუსებმა შეუტიეს ფრანგების ავანგარდს და აიძულეს იგი მარცხენა ნაპირზე დაბრუნებულიყო. უდინოს ნაწილები ბრძოლის გაუგრძელებლად პოლოცკში დაბრუნდნენ. ამ ბრძოლაში, რომელიც მოხდა 30 ივლისს, წარმატებით იმოქმედა გენერალ-ლეიტენანტ ლევან იაშვილის არტილერიამ. „30 ივლისის ბრძოლაში — სწერდა ლევან იაშვილი ვიტგენშტეინს,— საარ-

[3] სენ-სირმა ეს სამხედრო წოდება უფრო გვიან მიიღო.

ტილერიო ასეულთა უფროსები პოდპოლკოვნიკები მურუზინი და ანტროპოვი მდინარე სვოლნიაზე მდებარე ხუტორთან მტერთან შეტაკების დროს თავიანთი ბატარეებით წინ უძღვებოდნენ ჩვენს პოლკებს. აღნიშნულმა ასეულებმა სწრაფი იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის კოლონებსა და მის არტილერიაზე, რომლებიც სვოლნიას აქეთა ნაპირზე იყვნენ განლაგებული. ამ იერიშის შედეგად მოწინააღმდეგე იძულებული გახდა დაეტოვებინა ეს ნაპირი და გადასულიყო მდინარის მეორე მხარეზე. ამის შემდეგ ისევ დასახელებულმა მეთაურებმა შეუტიეს მეორე ნაპირს, გაანადგურეს მტრის ბატარეები და აიძულეს მისი არტილერისტები და ქვეითნი გაქცეულიყვნენ ჯერ წინასწარ მომზადებული პოზიციისაკენ, ხოლო უფრო გვიან უფრო ღრმად დაეხიათ ჩვენი ქვემეხების გრიალის ქვეშ. მოწინააღმდეგემ დაგვიტოვა ხიდიც და გადასასვლელიც".

ყველა ზემოთ აღწერილ ბრძოლას, როგორც ვთქვით, ერთი მიზანი ჰქონდა—ფრანგების განდევნა პოლოცკიდან. წარმატებებით ფრთაშესხმულმა ვიტგენშტეინმა გადაწყვიტა უშუალოდ ამ ოპერაციის განხორციელება.

ბრძოლაში, რომელიც 5 და 6 აგვისტოს გაიმართა პოლოცკის მისადგომებთან, ფრანგებს ისევ დიდი გაჭირვება დაადგათ. პოლოცკის გასაღები იყო ხუტორი სპასი, რომელსაც შეუტიეს კიდევაც რუსებმა. უდინომ, რომელმაც გადაწყვიტა რუსების სპასიდან მოცილება, იქ მყოფ გარნიზონს დახმარება გაუგზავნა. იგივე გააკეთა ვიტგენშტეინმაც, რომელმაც ცენტრიდან მოხსნა ნაწილები. ეს ფრანგებმა შეიტყვეს და სწორედ ცენტრს შეუტიეს. მაგრამ ამაოდ: რუსებმა ცენტრი ახალი ძალებით გაამაგრეს. ასე რომ, ფრანგების სასტიკ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია და ვიტგენშტეინმა ხუტორის ნაწილი დაიკავა. 6 აგვისტოს დაჭრილი უდინო სენ-სირმა შეცვალა. ამ დღეს რუსები უფრო შეუპოვრად იბრძოდნენ. „რუსებმა, — ამბობდა სენ-სირი, — ამ საქმეში ისეთი შეუპოვრობა და პირადი მამაცობა გვიჩვენეს, რომლის ბადალს იშვიათად ნახავთ სხვა ხალხების ჯარებში. მათი ბატალიონები, ჩვენი მოულოდნელი თავდასხმებისაგან ერთიმეორეს დაშორებულნი, არ არეულან, ბრძოლით იხევდნენ უკან, ისეთი შეუპოვრობით და ვაჟკაცობით, რომელიც, ვიმეორებ, მხოლოდ რუსებისთვისაა დამახასიათებელი. ისინი მამაცობის სასწაულებს გვიჩვენებდნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ გაერთიანებული ოთხი დივიზიის იერიშის წინააღმდეგ".

მართალია, ორდღიანმა ბრძოლამ პოლოცკთან დროებითი გამარჯვება ფრანგებს არგუნა, მაგრამ ეს გამარჯვება მათ ერთობ ძვირად დაუჯდათ. გენერალ-მაიორ პისარევის ცნობით, ფრანგებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით ხუთი ათასი რიგითი მებრძოლი და 117 ოფიცერი დაკარგეს. დაჭრილთა შორის აღმოჩნდნენ მარშლები უდინო და სენ-სირი. გარდა ამისა, რუსებმა ტყვედ წაიყვანეს 3 ათასი კაცი დ- ხელთ იგდეს 15 ქვემეხი.

სენ-სირის ზემოთ მოტანილი სიტყვები რუსების არაჩვეულებრივი მამაცობის შესახებ განსაკუთრებით იაშვილის არტილერისტებს ეხება. მიხაილოვსკი-დანილევსკის მოსწრებული თქმით, პოლოცკთან ბრძოლაში, სადაც ყველაფერი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, მუდმივი მხოლოდ არტილერიის ბრწყინვალე მოქმედება იყო. სწორედ არტილერიის ეფექტური ცეცხლის მეშვეობით 5 აგვისტოს მოხერხდა სპასის ნაწილის დაკავება. არტილერისტებმა უზრუნველყვეს კორპუსის უსაფრთხო უკანდახევა მოწინააღმდეგის რიცხობრივად ჭარბი ძალების განუწყვეტელი მოწოლის პირობებში. პოლოცკთან ბრძოლაში მისი ჯარისკაცების გმირობის შესახებ ვიტგენშტეინის სახელზე გაგზავნილ პატაკში ლევან იაშვილი წერდა, რომ „არტილერიამ, რომელიც განლაგებული იყო მთელ ფრონტზე, ზუსტი სროლით არა მარტო ააფეთქა მტრის ბატარეებზე დაგროვილი ნაღმები, არამედ მიუახლოვდა მოწინააღმდეგის კოლონებს პირდაპირი გასროლის მანძილზე, არია ისინი იმდენად, რომ მარჯვენა ფლანგზე მდგომი ჩვენი კავალერია და ფეხოსნები უმალ შეიჭრნენ არეულ კოლონებში და საშინელი ზიანი მიაყენეს მათ“.

პოლოცკთან რუსების დამარცხება არაფრით არ ამცირებს გენერალ-ლეიტენანტ ლევან იაშვილის და მისი არტილერისტების დამსახურებას. ზუსტი სროლითა და ენერგიული მოქმედებით არტილერისტებმა მტრის მრავალი მებრძოლი გამოასალმეს წუთისოფელს, დაამსხვრიეს დიდძალი სამხედრო ტექნიკა, რითაც გარკვეულად დააჩქარეს ფრანგების საბოლოო დამარცხება. პოლოცკთან ბრძოლაში არტილერიის მოქმედების უნარიანი ხელმძღვანელობისა, შეუპოვრობისა და მამაცობისათვის გენერალ-ლეიტენანტი იაშვილი დაჯილდოვდა წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენით.

5 და 6 აგვისტოს ამბების შემდეგ მოწინააღმდეგეთა ბანაკებში ერთგვარი მყუდროება დამყარდა. სენ-სირი აგვისტოსა და სექტემბერში უძრავად იდგა პოლოცკთან. ეს დრო მან თავდაცვითი სამუშაოების

ჩასატარებლად გამოიყენა. პოლოცკი და ახლომდებარე სოფლებიდან-
დუტებით გაამაგრა, რომლებზეც ბატარეები განალაგა. მდინარეებზე
საგუბრები მოაწყო, რათა საჭიროების შემთხვევაში წყალი გაეშვათ და
რუსების მოქმედება შეეზღუდათ. მაგრამ ამ სამუშაოების ჩატარების
შემდეგაც სენ-სირი მაინც ვერ ბედავდა შეტევაზე გადასვლას დახმა-
რების მიღებამდე. იგი სთხოვდა მაკდონალდს, რომელმაც ნაპოლეონის
ბრძანებით ხელი აიღო რიგის ალყაზე[4], გაეძლიერებინა მისი შენაერ-
თები 12 ათასი კაცით. მაგრამ მაკდონალდმა მხოლოდ ოთხი ათასი კა-
ცის გამოყოფა შეძლო. ამ ძალებით კი სენ-სირმა ვერ გაბედა რუსებ-
თან შებრძოლება.

თავის მხრივ, ვერც ვიტგენშტეინი გადადიოდა შეტევაზე, ივლის-
აგვისტოს განუწყვეტელი მძიმე ბრძოლების შემდეგ, კორპუსს დასვე-
ნება სჭირდებოდა. ამ ბრძოლების შედეგად იგი საგრძნობლად შეთხელ-
და და, ბუნებრივია, ახალი ძალებით იყო დასაკომპლექტებელი. რა-
საკვირველია, მცირერიცხოვანი შემადგენლობით მტერთან შებრძოლე-
ბას არავითარი აზრი არ ჰქონდა. დაბოლოს, იმპერატორის მიერ დამ-
ტკიცებული ოპერატიული გეგმა, რომელიც ვიტგენშტეინმა სექტემ-
ბრის დამდეგს მიიღო, კრძალავდა შეტევითი ოპერაციების დაწყებას
ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე.

ოქტომბრის დამდეგისათვის რუსთა და ფრანგთა ჯარები შემდეგ-
ნაირად იყვნენ განლაგებულნი: პოლოცკი ისევ ფრანგების ხელში იყო.
ქალაქსა და მის მისადგომებს მეორე და მეექვსე კორპუსი იცავდა
სენ-სირის საერთო მეთაურობით. ვიტგენშტეინის ნაწილებიც პოლოცკ-
თან ახლოს იყვნენ დაბანაკებულნი, კერძოდ, სოფლებში სოკოლიცა-
სა და სივოშინიში, რომლებიდანაც ფრანგები სულ ცოტა ხნის წინათ
გაეგდოთ. აქ ელოდნენ ისინი შევსებასა და განკარგულებას აქტიური
საომარი მოქმედების დასაწყებად.

1812 წლის 3 ოქტომბერს (ძვ. სტილით) ვიტგენშტეინმა დაპირე-
ბული დახმარება მიიღო. მის განკარგულებაში გამოყოფილ იქნა გრაფ
შტეინგელის კორპუსი და პეტერბურგის სახალხო რაზმეული. ახლა კი
შეიძლებოდა შეტევაზე გადასვლა და ადრე დასმული ამოცანის შეს-
რულება —პოლოცკის აღება, დვინის მარცხენა ნაპირზე გადასვლა და
მოწინააღმდეგის მასაზრდოებელი ძირითადი არტერიის, მინსკ-სმო-

---

4 ეს ბრძანება მაკდონალდს გაეგზავნა მაშინ, როდესაც ფრანგები მოსკოვს
უახლოვდებოდნენ. მოსკოვის აღება, ნაპოლეონის აზრით ზავის საკითხს გადაწყვეტდა
და ამიტომ რიგის ალყას იგი არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

ლენსკის გზის დაკავება. ოპერატიული გეგმის თანახმად, ვიტგენშტეინის კორპუსს დვინა უნდა გადაელახა პოლოცკის ზემოთ, მდინარე ობოლის შესართავთან, ქალაქისათვის ზურგიდან შემოევლო და მოეწყვიტა მტრის ნაწილები ნაპოლეონის მთავარი ძალებისაგან.

მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა, ვინაიდან მდინარე დვინის გადალახვა დანიშნულ ადგილზე ვერ მოხერხდა ხიდის უქონლობის გამო, ხოლო მისი აგება ვერ ხერხდებოდა, რადგანაც ახლომდებარე ტერიტორიას ფრანგები აკონტროლებდნენ. მიუხედავად ამისა, ვიტგენშტეინმა მდინარეზე გადასვლის განზრახვა მაინც არ უარყო, ოღონდ ჯერ მოწინააღმდეგის დაკავებული პოზიციებიდან გამოგდება და ქალაქში შერეკვა გადაწყვიტა. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან თავისი კორპუსი სამ კოლონად გაჰყო, რომელთაგან ერთს სათავეში იაშვილი ჩაუყენა. ამ კოლონას ებრძანა ევლო სებეჟის გზით პოლოცკისაკენ. დანარჩენი ორი კოლონა ვიტგენშტეინის მეთაურობით უნდა შეერთებულიყო იუროვიჩისთან, ნეველის გზაზე. ამ სამ კოლონაში არ შედიოდა გრაფ შტეინგელის შენაერთი, რომელიც 13 ათას კაცს ითვლიდა. მას უნდა გადაელახა დვინა დრუეს მახლობლად, ევლო მარცხენა ნაპირით და ზურგიდან მიეტანა იერიში პოლოცკზე.

ოპერაცია გეგმის თანახმად დაიწყო. 6 ოქტომბერს რუსებმა პოლოცკის წინ დაბანაკებულ მტერს შეუტიეს. მოწინააღმდეგის ყურადღების მოსადუნებლად და ვიტგენშტეინის ძირითადი ძალების მოქმედების გასაადვილებლად. მდინარე პოლოტას მარჯვენა ნაპირზე მდგომ იაშვილს ებრძანა ქალაქისათვის ცეცხლი დაეშინა და ამით სენ-სირის მოძრაობა შეებოჭა. „ამ სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს, — წერს მიხაილოვსკი-დანილევსკი,—საქმე პოლოტას მარჯვენა ნაპირზე დატრიალდა. ნაშუადღევს 4 საათზე თავად იაშვილს შეტევაზე გადასვლა ებრძანა და იგი მის წინ აღმართულ რედუტებს ეკვეთა. მოწინააღმდეგემ უბრძოლველად დათმო ისინი, რადგანაც ეს რედუტები პოლოცკიდან შორს იყო, ხოლო სენ-სირს არ უნდოდა ქალაქიდან მოშორებით ებრძოლა“. იაშვილმა არ შეანელა შეტევის ტემპი და „ფეხოსნებით და ცხენოსანი არტილერიით ქალაქისკენ დაიძრა, მაგრამ ძირითადი ძალებისა და შტეინგელის ნაწილების დახმარების გარეშე ვერ გაბედა მისი შტურმი. ამასთანავე მას არავითარი ცნობა არ გააჩნდა შტეინგელის შესახებ, ხოლო რაც შეეხება ძირითად კორპუსს, როგორც ამაში იაშვილი დარწმუნდა, მან დროებით ყოველგვარი მო-

ქმედება შეწყვიტა. ასეთ ვითარებაში ქალაქის აღება და მისი შენარჩუნება ერთობ საეჭვო იყო. ამიტომ იაშვილმა უარი თქვა ქალაქის შტურმზე და დაკმაყოფილდა მის წინ მდებარე ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიციების დაკავებით, რითაც მტერი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. დაღამებისას მან ოდნავ უკან დაიხია, ხოლო ქალაქის კედლებთან კავალერიით გაძლიერებული ავანპოსტები დატოვა.

6 ოქტომბერს ღამით იაშვილმა დაწვრილებითი მოხსენება გაუგზავნა გრაფ ვიტგენშტეინს და ამავე დროს იკითხა დაეწყო თუ არა ქალაქის შტურმი. მიღებულ პასუხში ნათქვამი იყო, რომ მას შეეძლო დაეწყო ქალაქის ბომბარდირება „მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიტყობდა გრაფ შტეინგელის მოახლოებას, ან ქალაქში მოწინააღმდეგის მოძრაობით დაასკვნიდა, რომ სენ-სირმა დაიწყო უკან დახევა". ოდნავ მოგვიანებით, სარდლობამ დაადგინა, რომ შტეინგელი იმდენად მიუახლოვდა ქალაქს, რომ ყოველ წუთს შეეძლო შეეტია მისთვის. ამ ამბით გახარებულმა ვიტგენშტეინმა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოახერხა დვინის მარცხენა ნაპირზე გადასვლა, გადაწყვიტა პოლოცკისთვის დაეშინა ცეცხლი მარჯვენა ნაპირიდან.

აღსანიშნავია, რომ სენ-სირმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ შტეინგელი მის ზურგში იმყოფებოდა. ეს მან მხოლოდ 7 ოქტომბერს შეიტყო. ამ ამბით შეშფოთებულმა მარშალმა გადაწყვიტა დაეტოვებინა პოლოცკი, გადასულიყო დვინაზე და საფრანგეთის არმიის სხვა ნაწილებს შეერთებოდა. ქალაქიდან გარნიზონის ნორმალური გასვლისათვის საჭირო იყო შტეინგელის ავანგარდის წინსვლის შეჩერება. ამ მიზნით სენ-სირმა ყველა დივიზიიდან თითო პოლკი გამოჰყო და ეს შენაერთი შტეინგელის ავანგარდის შესაჩერებლად გაგზავნა.

ამ დროისათვის ფრანგებმა დაიწყეს ქალაქიდან დაჭრილთა და ავადმყოფთა ევაკუაცია, არტილერიის გაყვანა. ვიტგენშტეინი დვინის მარჯვენა ნაპირზე იდგა და მზად იყო შეტევისათვის, ოღონდ იაშვილის ნიშანს ელოდებოდა. იაშვილს არტილერიის ცეცხლით უნდა ეცნობებინა მისთვის შტეინგელის მოახლოებისა და ფრანგების უკან დახევის შესახებ.

როგორც კი სენ-სირმა გადაწყვიტა ქალაქიდან გასვლა, მისმა ერთმა გენერალმა ბრძანა კარვებისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ, რათა ისინი რუსების ხელში არ ჩავარდნილიყვნენ. ხანძარი სწრაფად მოედო იქაურობას. თავისი განკარგულებით, რომელსაც სენ-სირმა „წარმოუდგენელი სისულელე" უწოდა, ფრანგმა გენერალმა გასცა უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახევის საიდუმლოება მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ევაკუაცია არ იყო დამთავრებული. იაშვილმა, წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, ... ქმედა ყველა ქვემეხი. იერიშზე ვიტგენშტეინიც გადავიდა. მარცხენა ნაპირზე კი მტერს შტეინგელმა შეუტია. ქალაქი სამმხრივი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. გონებადაკარგული ფრანგები უწესრიგოდ გარბოდნენ. ქალაქში მხოლოდ არიერგარდი დარჩა, რომელიც სულ მალე იძულებული გახდა გაქცეულიყო. პოლოცკი აღებულ იქნა. მასში პირველნი ლევან იაშვილის ნაწილები შევიდნენ. ერთ დოკუმენტში, რომელიც ამ ოპერაციას ეხება, ლევან იაშვილის და მისი არტილერისტების მოქმედების შესახებ ვკითხულობთ: „შვიდსა რიცხვსა, ბრძანების თანახმად, გენერალ-ლეიტენანტი თავადი იაშვილი მთელი დღე უმოქმედოდ იდგა. ბოლოს, საღამოს პირს, შეამჩნია თუ არა, რომ გენერალ-ლეიტენანტ შტეინგელის კორპუსის მიერ შევიწროებული მტერი უწესრიგოდ გარბის მარცხენა ნაპირით, უბრძანა თავის მარცხენა ფლანგს გენერალ-მაიორ ვლასტოვის მეთაურობით ღაეწყო ქალაქის იერიში. მთავარი კორპუსის ავანგარდმაც შეუტია მოწინააღმდეგეს... მეორე კორპუსის მარჯვენა ფრთაც დაიძრა ქალაქისაკენ და შეტევა ერთიანი აღმოჩნდა. ამასობაში გენერალ-ლეიტენანტმა თავადმა იაშვილმა მძიმე არტილერიის ცეცხლი დაუშინა ქალაქს, რომელშიაც პირველი თავისი რაზმით გენერალ-მაიორი ვლასტოვი შევიდა და დაატყვევა 900 კაცი“.

ამრიგად, ორდღიანი შეუპოვარი ბრძოლების შედეგად განთავისუფლდა პოლოცკი, საიდანაც ფრანგები პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებს ემუქრებოდნენ.

პოლოცკიდან გაქცეული მტრის ჯარები, რომელთაც გენერალი ლეგრანი მეთაურობდა (მან ხელმეორედ დაჭრილი სენ-სირი შეცვალა), სამხრეთისაკენ გაემართნენ ბელორუსიაში მოქმედ ნაპოლეონის სხვა ჯარებთან შესაერთებლად. მათ ფეხდაფეხ ლევან იაშვილი მისდევდა და გონს მოსვლის საშუალებას არ აძლევდა. მალე ლეგრანი სოფელ ჩაშნიკისთან დაბანაკებულ მარშალ ვიქტორის კორპუსს შეუერთდა. ვიქტორის ნაწილები აქ შედარებით დიდ ხნის განმავლობაში იდგნენ და ამიტომ კარგად დასვენებულნი იყვნენ. 19 ოქტომბერს ვიტგენშტეინის კორპუსი ჩაშნიკის მიუახლოვდა. დილის 7 საათზე რუსების ავანგარდმა იაშვილის მეთაურობით მედგრად შეუტია სოფელს. პირველი იერიში მტერმა მოიგერია. მეორე იერიშის დროს, როგორც აღნიშნავს მიხაილოვსკი-დანილევსკი, „იაშვილმა ხიშტებით გაიკვლია გზა“ და შეიჭრა სოფელში.

„19 ოქტომბერს, გათენებამდე, ჩვენი კორპუსების სიახლოვით დაიმედებულმა, — სწერდა იაშვილი ვიტგენშტეინს,... შევუტიეთ სოფელ ჩაშნიკში დაბანაკებულ მოწინააღმდეგეს. ბრძოლამ სამ საათს გასტანა, ბოლოს ქვეითმა ნაწილებმა ხიშტებით გაიკაფეს გზა, შეიჭრნენ სოფელში და გაწმინდეს იგი მტრისაგან“.

ჩაშნიკიდან გაქცეული მტერი მეორე პოზიციაზე განლაგდა, მაგრამ 20 ოქტომბერს იაშვილმა იგი იქიდანაც განდევნა. „მოწინააღმდეგემ, რომელიც განდევნილ იქნა დაკავებული ადგილებიდან, უკანდახევისას მიაღწია სმოლიანინცის, სადაც პოზიცია მოაწყო ისე, რომ აკონტროლებდა დიდ გზასა და გადასასვლელს მდინარე ლუკომლაზე. პირველი ხაზიდან არტილერიისა და რამდენიმე ფეხოსანი პოლკის მოშველიებით კვლავ შევუტიე მოწინააღმდეგეს. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ, რომელსაც მეტად ხელსაყრელი პოზიცია ეკავა, მთლიანად გამოთიშა ბრძოლიდან მტრის ბატარეები. კავალერიამ შეუტია ქვეითებს და ააწიოკა კიდეც. ამასობაში, ჩვენმა მარჯვენა ფრთამ შემოუარა ტყეს და გაწმინდა იგი მტრისაგან. მწარედ დამარცხებულმა მტერმა მიატოვა ბრძოლის ველი, მიაგდო გადასასვლელი მდინარე ლუკომლაზე და სასწრაფოდ დაიხია უკან“.

იაშვილის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა ბრძოლა მარშალ ვიქტორთან, რომელიც გაიმართა 1812 წლის 2 ნოემბერს ჩაშნიკიდან ორი ვერსის დაშორებით. „აქვე ვიტებსკის გუბერნიის საზღვრებთან, — წერს გენერალ-მაიორი პისარევი, — სოფელ სმოლნიასთან დამარცხებულ იქნა ვიქტორი; ამ საქმეს დიდად შეუწყვეს ხელი გენერალ-ლეიტენანტმა ლევან იაშვილმა და გენერალ-მაიორმა ფოკმა“.

1812 წლის ომის ბოლო ეტაპზე, როდესაც ნაპოლეონის არმიის დევნილი ნარჩენები მდინარე ბერეზინას მიადგნენ, კვლავ აგუგუნდა ლევან იაშვილის არტილერია, რომელმაც მრავალი მოწინააღმდეგე გამოასალმა სიცოცხლეს.

ამრიგად, შეუპოვარი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად, რუსმა ჯარებმა ლევან იაშვილის აქტიური მონაწილეობით გაათავისუფლეს პოლოცკი, მოსპეს საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა პეტერბურგს, პსკოვს, ნოვგოროდს და სხვა ქალაქებს, დამარცხების სიმწარე აგემეს სახელგანთქმულ ფრანგ მარშლებს — უდინოს, მაკდონალდს, სენ-სირსა და ვიქტორს, რითაც საგრძნობლად დააჩქარეს ნაპოლეონის „უძლეველი ჯარის“ განადგურება. „თქვენ, სახელგანთქმულნო ფრანგნო მარშალნო, — წერს პისარევი, — რომლებმაც გაა-

კვირვეთ მთელი ევროპა: უდინო, მაკდონალდ, სენ-სირ, ვიქტორ, აუწყეთ გაკვირვებულ ევროპას რამდენ დღეში გაგანადგურათ თქვენ ყველანი თქვენი ჯოჯოხეთური ლეგიონებით ჩვენმა ერთმა გრაფმა ვიტგენშტეინმა... ხუთ თვეში აღარც ჯარი შეგრჩათ, აღარც დიდება...“

როგორც ნათქვამიდან ჩანს, ვიტგენშტეინის კორპუსის წარმატებაში მნიშვნელოვანი დამსახურება გენერალ იაშვილს და მის არტილერისტებს ეკუთვნით. აი რას სწერდა გრაფი ვიტგენშტეინი იმპერატორ ალექსანდრეს გენერალ იაშვილის საბრძოლო ღირსებებისა და 1812 წლის ომში მისი პირადი დამსახურების შესახებ: „ამასთანავე მოვალეობად მიმაჩნია უმორჩილესად მოგახსენოთ, რომ თავადი იაშვილი სწორედ ის გენერალია, რომელმაც ამ ომში ჩინებული სამსახური გასწია და ყველაზე მეტად შემიწყო ხელი მტერზე მოპოვებულ ყველა გამარჯვებაში“...

1813—1815 წლების საზღვარგარეთულ ლაშქრობაში გენერალი იაშვილი მონაწილეობდა როგორც არმიის არტილერიის უფროსი. ამ ლაშქრობაში მან არაერთხელ ასახელა რუსული იარაღი. ლევან იაშვილი კიდევ დიდხანს იყო სამხედრო სამსახურში და მხოლოდ 1833 წელს მიატოვა იგი „სრულიად მოშლილი ჯანმრთელობის“ მიზეზით. 1836 წელს იგი გარდაიცვალა.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, გენერალ იაშვილის არტილერისტები 1812 წლის სამამულო ომსა და საზღვარგარეთული ლაშქრობის დროს განსაკუთრებული წარმატებით მოქმედებდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი თავად გენერალი იყო, რომელიც თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის მუდამ იყო გმირობის და თავდადების მისაბაძი მაგალითი. მაგრამ ცნობილია, რომ მარტო გმირობას და თავდადებას ყოველთვის როდი მოაქვს გამარჯვება. სუვოროვი ხშირად ამბობდა, რომ მხედართმთავარს მართებს იყოს მამაცი, შეუპოვარი და თავის საქმეში გაწაფული. მასალები, რომლებიც ლევან იაშვილზე ძოგვეპოვება, წარმოგვიდგენენ მას სწორედ ისეთ ადამიანად, რომელიც საარტილერიო ხელოვნების ყოველგვარ საიდუმლოებას ჩაწვდა. ერთ-ერთ პატაკში იმპერატორისადმი გრაფი ვიტგენშტეინი წერდა, რომ გენერალი იაშვილი „თავისი ცოდნითა და ნიჭით არა მარტო სასარგებლოა, არამედ საჭიროც... შემდგომი სამსახურისთვის“.

ამავე დროს ლევან იაშვილი იყო ძალზე მკაცრი და ყველასაგან ითხოვდა სამხედრო დისციპლინის დაცვას. დისციპლინის დარღვევას იგი დიდ ბოროტებად თვლიდა. ჩვენამდე მოაღწია მისმა ერთმა წე-

რილმა ბარკლაი დე ტოლისადმი, რომლითაც იგი მთავარსარდალს აუწყებდა, რომ მან საყვედური გამოუცხადა გენერალ-მაიორებს ბენ-სელიტსკისა და მერლინს, რომელთაც დაარღვიეს მისი 1813 წლის 25 ნოემბრის ბრძანება. ამ ბრძანების თანახმად, საარტილერიო ნაწილების მეთაურებს ეკრძალებოდათ ნაწილიდან გასვლა იაშვილის პირადი ნებართვის გარეშე.

პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა გენერალ იაშვილის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა. ამას ნათლად გვიდასტურებს მისი 1813 წლის 6 იანვრის პატაკი ვიტგენშტეინისადმი, სადაც იგი სთხოვს გრაფს უშუამდგომლოს იმპერატორის წინაშე, მოშლილი ჯანმრთელობის აღსადგენად მისთვის შვებულების მიცემის თაობაზე. საინტერესოა, რომ ჯანმრთელობის აღდგენის საჭიროებას იაშვილი ასაბუთებს არა სიკვდილის შიშით, არამედ მასზე დაკისრებული მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების სურვილით, რაც ავადმყოფი კაცისათვის, ბუნებრივია, რთულია. „...რადგანაც დაკისრებული მოვალეობის მნიშვნელობა კარგად მაქვს შეგნებული, — ვკითხულობთ პატაკში, — და იმ მიზნით, რომ საქმე არ დაზარალდეს, ჩემი სურვილის წინააღმდეგ დამწუხრებული მოგმართავთ თქვენო ბრწყინვალებავ,— რათა ჯანმრთელობის აღსადგენად და იმისთვის, რომ მომავალშიც შევძლო სარგებლობის მოტანა... დამაბრუნოთ რუსეთის იმპერიის ფარგლებში“. იაშვილის ეს თხოვნა ყველამ დიდი სინანულით, მაგრამ ყოველგვარი საყვედურის გარეშე მიიღო. ვიტგენშტეინმა კუტუზოვის მეშვეობით სათანადო წარდგინებით მიმართა იმპერატორს. ალექსანდრემ განკარგულება გასცა მიეცათ იაშვილისათვის ერთდროული დახმარება და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში რთავდა სამკურნალოდ წასვლის ნებას. როგორც საბუთები მოწმობენ, ლევან იაშვილს არ უსარგებლია შვებულებით და მოქმედ არმიაში დარჩენილა.

როგორც ჭეშმარიტი სუვოროველი, ლევან იაშვილი ძალზე ყურადღებიანი იყო ხელქვეითების მიმართ, განსაკუთრებით რიგითი მებრძოლებისადმი. ამ მხრივ მეტად საინტერესოა პოლკოვნიკ ტაუბეს 1813 წლის 12 იანვრის პატაკი იაშვილისადმი. როგორც პატაკიდან ირკვევა, ტაუბეს იაშვილის დავალებით შეუმოწმებია საარტილერიო ასეულთა ტანსაცმლითა და საჭირო აღჭურვილობით მომარაგების მდგომარეობა, რომელიც სავალალო აღმოჩნდა. ჯარისკაცებს დაგლეჯილი ფარაჯები და გაცვეთილი ფეხსაცმელი ეცვათ. ისინი იძულებულნი იყვნენ თავის შესანახად საკუთარი ფული ეხარჯათ. განსაკუთრებით საინ-

ტერესოა პატაკის ის ნაწილი, სადაც ტაუბე წერს, რომ „რიგით მებრძოლთა ასეთი მდგომარეობა ოდნავადაც არ შეესაბამება იმ პატივისცემას, რომელიც ეგზომ ნათლადაა დადასტურებული თქვენი ბრწყინვალების (1812 წლის — ი. ა.) 17 დეკემბრის № 2928 ბრძანებით არტილერიისადმი“. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაგენით ამ ბრძანებას, მაგრამ ტაუბეს პატაკიდან ჩანს, რომ გენერალ ლევან იაშვილს სპეციალური განკარგულება გაუცია, რომლითაც იგი ავალდებულებდა საარტილერიო ნაწილების უფროსებს პატივისცემითა და ყურადღებით მოპყრობოდნენ ჯარისკაცებს და ეზრუნათ მათი უკეთ მომარაგებისათვის.

ზემოთ აღნიშნული თვისებების გამო გენერალ-ლეიტენანტმა ლევან იაშვილმა თავისი თანამედროვეების, სახელგანთქმული რუსი მხედართმთავრების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენერლები ფანჩულიძეები და გიგილური

1812 წლის სამამულო ომში კიდევ ორი გენერალი—ძმები ივანე და სიმონ ფანჩულიძეები მონაწილეობდნენ, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსეთის ჯარების გამარჯვებაში. მათი მამა, ქართველი აზნაური დავით ფანჩულიძე, 1738 წელს გადასახლდა რუსეთში და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სამოქალაქო სამსახურში იმყოფებოდა. მისი ერთ-ერთი შვილთაგანი (დავითს სულ სამი შვილი ჰყავდა) — ალექსი 1812 წელს სარატოვის გუბერნატორი ყოფილა.

ივანე დავითის ძე ფანჩულიძე (1759—1815 წწ.) 1774 წელს 15 წლის ასაკში რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა, რომელსაც მთელი სიცოცხლე შესწირა და სერჟანტობიდან გენერალ-ლეიტენანტობამდე მიაღწია. ეს წოდება მას 1813 წლის სექტემბერში მიენიჭა.

პირველი საბრძოლო ნათლობა ივანე ფანჩულიძემ 1768 — 1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომში მიიღო. იგი მონაწილეობდა ოჩაკოვის ციხესიმაგრის ალყასა და შტურმში, რომლის დროს მარჯვენა ხელში დაიჭრა. ამ ოპერაციაში გამოჩენილი მამაცობისათვის მას მიანიჭეს სეკუნდ-მაიორის წოდება და ოქროს ნიშნით დააჯილდოვეს. 1787 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1815 წლამდე, იგი მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის ყველა ომში. 1805 წელს ბონაპარტეს წინააღმდეგ ომში ივანე ფანჩულიძემ მრავალ ბრძოლაში გამოიჩინა თავი და მამაცი ოფიცრის სახელი დაიმსახურა.

შენგრაბენის ცნობილი ბრძოლის დროს იგი გენერალ პეტრე ბაგრატიონის მარჯვენა ფლანგის კავალერიას მეთაურობდა და „გზა გაუკაფავს მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვან ნაწილებთან“ შეტაკებაში. შენგრაბენის ოპერაციისათვის ივანე დავითის ძე ფანჩულიძე დაუჯილდოებიათ წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენით.

ასევე ისახელა მან თავი 1805 წლის 20 დეკემბერს აუსტერლიც-

თან ბრძოლაში, რომლის გადამწყვეტ სტადიაში იგი „შეიჭრა ძოწ-ნააღმდეგის რიგებში და მანამდე ჩეხა, ვიდრე ტყვიამ არ დაჭრა".

მომდევნო 1806—1812 წლებში ივანე ფანჩულიძე რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე იყო. 1807 წელს მას გენერალ-მაიორის წო-

გენერალი ივანე დავითის ძე ფანჩულიძე

ება მიენიჭა. 1809 წელს გენერალი ივანე ფანჩულიძე თურქებისაგან ანაპის განთავისუფლებას ხელმძღვანელობდა. რუსების გონივრული

მოქმედების შედეგად ანაპის ფაშა განადგურებულ იქნა, ხოლო სიმაგრე აღებული. ამ ოპერაციისათვის ივანე ფანჩულიძე დაჯილდოვდა წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო 1812 წლის სამამულო ომი, რომელშიაც გენერალ-მაიორმა ფანჩულიძემ არაერთხელ ისახელა თავი. პეტრე ბაგრატიონის მეორე არმიის შემადგენლობაში იგი თავისი ნაწილებით თავდადებულად იბრძოდა სოფელ დაშკოვკასთან 11 ივლისს. აღნიშვნის ღირსია მისი მონაწილეობა ნადვასთან ბრძოლაში 3 აგვისტოს, სმოლენსკთან ორივე არმიის გაერთიანების შემდეგ. ამ ბრძოლაში ფანჩულიძის მებრძოლებმა მტრის 39 ჯარისკაცი დაატყვევეს. გენერალ-მაიორ ივანე ფანჩულიძის მამაცობა და წარმატებები არაერთხელ აღუნიშნავთ 1812 წლის ომში მონაწილე სახელოვან რუს მხედართმთავრებს. „...მას შემდეგ, რაც ჩემდამი რწმუნებული კავალერია თქვენი აღმატებულების განკარგულებაში გადავიდა, — წერდა გენერალ-მაიორი დოროხოვი 1812 წლის 5 აგვისტოს გენერალ-ლეიტენანტ კონოვნიცინს, — თქვენო აღმატებულებავ, თქვენთვის ჩვეული სამართლიანობით, რასაკვირველია, სათანადოს მიუზღავთ მას და დაადასტურებთ, რომ იგი გულმოდგინედ და აწყობილად უზრუნველყოფდა თქვენი ავანგარდის უკან დახევას, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ დღეებში მძლავრი არტილერიით შეიარაღებული მტერი ფეხდაფეხ მოგვდევდა. სწორედ ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია უმორჩილესად წარმოგიდგინოთ პოლკების უფროსები ბატონი პოლკოვნიკები იუზეფევიჩი, დავიდოვი..., განსაკუთრებით გენერალ-მაიორი ფანჩულიძევი I და გენერალ-მაიორი ვსევოლჟსკი, როგორც მამაცობისა და გულმოდგინების სულის ჩამდგმელნი“.

რუსების მიერ სმოლენსკის მიტოვების შემდეგ ივანე ფანჩულიძე თითქმის ყოველდღე გააფთრებული ბრძოლების ცეცხლში ტრიალებდა. იგი იმყოფებოდა არიერგარდში და ვიაზმადან ბოროდინომდე რუსეთის ჯარების უკანდახევის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. არიერგარდს, რომელსაც გენერალი კონოვნიცინი მეთაურობდა, არაჩვეულებრივი მძვინვარებით უტევდა ფრანგების კავალერია. მთავარი ძალების უკან დახევის დაცვა არიერგარდს უდიდესი მსხვერპლის ფასად უჯდებოდა. იმ პირთა სიაში, „რომელთაც თავი გამოიჩინეს ერთგულებით და მამაცობით არიერგარდის ვიაზმიდან ბოროდინომდე მოძრაობის დროს“ და რომელნიც წარდგენილნი იყვნენ ჯილდოზე, დასახელებული იყო ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკის უფროსი გენერალ-მაიორი ივანე დავითის ძე ფანჩულიძე.

24 აგვისტოს ფრანგებმა შეუტიეს რუსების არიერგარდს კოლოცკის მონასტერთან და აიძულეს ბოროდინოსკენ დახეულიყვნენ. ამ ბრძოლაში კვლავ გამოიჩინეს თავი ივანე ფანჩულიძის ნაწილებმა. „არ მიმაჩნია საჭიროდ, — სწერდა იგი გენერალ კონოვნიცინს 27 აგვისტოს, — ავუწეროთ თქვენს აღმატებულებას ჩემდამი რწმუნებული კავალერიის პოლკების მამაცობა და შეუპოვრობა, რომლებიც ამ თვის 24 რიცხვს დასავლეთის პირველი არმიის არიერგარდში იყვნენ. თქვენი აღმატებულება თავად ბრძანდებოდა ყველაფრის მოწმე. იმედი მაქვს თქვენ უკვე მოგართმევდნენ ყველა პოლკის მებრძოლთა სიას, რომელთაც თავი გამოიჩინეს, გარდა ყოვლისმოწყალებით ჩემდამი რწმუნებული ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკისა, რომელმაც დაარტყა ფრანგების ორ პოლკს, უკუაქცია ისინი, სდია ერთ ვერსზე მეტი და გარდა იმისა, რომ ბევრი მოწინააღმდეგე დახოცა, ტყვედ ჩაიგდო ერთი ოფიცერი... და 53 რიგითი მებრძოლი“.

1812 წლის 26 აგვისტოს ბოროდინოს ველზე მოხდა სამამულო ომის გენერალური ბრძოლა. როგორც ცნობილია, ამ ბრძოლის დასაწყისი იყო ფრანგების უმძაფრესი იერიშები შევარდინოს რედუტზე. ამ ბრძოლებში განსაკუთრებული წარმატებით მოქმედებდა ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკი ივანე ფანჩულიძის მეთაურობით. 4 სექტემბრის პატაკში გენერალ-ლეიტენანტ თავად გოლიცინისადმი პოლკის უფროსი წერდა: „...სამას კაცზე მეტი მოწინააღმდეგე ადგილზე დაეცა, ორი ქვემეხი, რომელიც კოლონას ჰქონდა, პოლკმა ხელთ იგდო... ამიტომ ვკადნიერდები და უმორჩილესად ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას აღძრავს შუამდგომლობა იმ შტაბ-და ობერ-ოფიცერთა, აგრეთვე რიგით მებრძოლთა დაჯილდოების თაობაზე, რომელთაც თავი ისახელეს ბრძოლაში. ამასთანავე პატივი მაქვს ვაახლო თქვენს ბრწყინვალებას ამ პირთა, აგრეთვე მოკლულთა და დაჭრილთა სია“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ივანე ფანჩულიძის პოლკის მამაცობა და თავდადება ბოროდინოს ბრძოლაში. ამ დღეს ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკმა მთლიანად გაანადგურა გენერალ ნანსუტის პოლკი, რომელიც გამოყოფილი იყო ბაგრატიონის წინააღმდეგ მოქმედი მიურატის დასახმარებლად. აი, რას სწერდა ამ ბრძოლის შესახებ ფანჩულიძე გენერალ-ლეიტენანტ გოლიცინს: „...ნება მომეცით, თქვენო ბრწყინვალებავ, უმორჩილესად წარმოგიდგინოთ გასული თვის 26 რიცხვის ამბები, როდესაც ყოვლისმოწყალებით ჩემდამი რწმუნებული ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკი მთელი დღის განმავლობაში

იმყოფებოდა მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ. მიუხედავად ამისა, მან რამდენიმეჯერ განსაკუთრებული მამაცობით შეუტია მტერს... გენერალი სთხოვდა თავად გოლიცინს ეშუამდგომლა ჯარისკაცთა და ოფიცერთა დაჯილდოების შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ ივანე ფანჩულიძემ ბოროდინოსათვის წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენი მიიღო.

ბოროდინოს ბრძოლაში განადგურდა ნაპოლეონის არმიის საუკეთესო ძალები. მტერი ძალ-ღონისაგან იცლებოდა და ფაქტიურად აღარ ჰქონდა შეტევის უნარი.

ბრძოლის მეორე დღეს რუსებმა, რომლებმაც აგრეთვე დიდი დანაკლისი განიცადეს, უკან დაიხიეს აღმოსავლეთისაკენ. მათ გაიარეს მოჟაისკი და 27 აგვისტოს ქალაქგარეთ დაბანაკდნენ. არიერგარდს, რომელმაც მოჟაისკი დაიკავა, ებრძანა, რაც შეიძლება დიდხანს დაეკავა მტერი, რათა ამ ხნის განმავლობაში მთავარი არმიის დაჭრილთა ევაკუაცია მოეხერხებინათ. არიერგარდში იმყოფებოდა გენერალი ფანჩულიძე, რომელმაც სხვებთან ერთად იწვნია არიერგარდული ბრძოლების სიმძიმე.

არმიის უკანდახევის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეტად რთული საქმე იყო, რადგანაც არიერგარდის შედარებით მცირერიცხოვან ხაწილებს მუდმივად უხდებოდა ნაპოლეონის დიდ სამხედრო შენაერთებთან შებრძოლება. ნაპოლეონი ყოველნაირად ცდილობდა აეღო მოჟაისკი და დაბანაკებულიყო ქალაქიდან 7 ვერსის მანძილზე მოსკოვის გზაზე, ორი დღის განმავლობაში, 26 და 27 აგვისტოს. ფრანგების ავანგარდი მიურატის მეთაურობით გააფთრებით უტევდა მოჟაისკს, მაგრამ ამაოდ. რუსების არიერგარდმა, რომელსაც გენერალი მილორადოვიჩი სარდლობდა, ფრანგების ყველა შეტევა მოიგერია და დატოვა ქალაქი მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კუტუზოვის არმია მას საგრძნობი მანძილით დაშორდა. როგორც ვთქვით, არიერგარდის წარმატებით მოქმედებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ივანე ფანჩულიძის დრაგუნებმა.

კუტუზოვმა, რომელმაც მთავრობის უდარდელობის გამო, ვერ მიიღო სათანადო შევსება, მოსკოვის უბრძოლველად დატოვება გადაწყვიტა. ჯარებმა გაიარეს ძველი დედაქალაქი და უკან დაიხიეს რიაზანის გზით. კორპუსების მეთაურების გარდა არავინ იცოდა ამ მოძრაობის ნამდვილი არსი, მაგრამ ყველა ცდილობდა მთავარსარდლის ჩანაფიქრის გაგებას. რაც შეხება კორპუსების მეთაურებს, მათ იცოდ-

ნენ, რომ რიაზანის გზაზე უკან დახევით ფელდმარშალი შეუდგა შესანიშნავი საფლანგო მანევრის განხორციელებას, რომლის მიზანი ნაპოლეონის დაბნევა იყო. 3 სექტემბერს რუსებმა პანკოვოდან ბოროვსკის გადასასვლელამდე დაიხიეს. მოსკოვიდან ბოროვსკის გადასასვლელამდე რუსების მიერ გავლილი მანძილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რათა ნაპოლეონი დაერწმუნებინათ, რომ რუსეთის ჯარი კოლომნასაკენ გაემართა. ამასობაში კი, 5 სექტემბერს, დილაადრიან, კუტუზოვმა მკვეთრად მოაბრუნა არმია მარცხნივ, გავიდა ჯერ ტულის, ხოლო შემდეგ კალუგის გზაზე. გენერალი ფანჩულიძე, რომელიც ამ შესანიშნავი მანევრის დროს მილორადოვიჩის ნაწილების შემადგენლობაში იყო, არაერთ მნიშვნელოვან ბრძოლაში მონაწილეობდა და ენერგიული მოქმედებით დიდად შეუწყო ხელი მთავარსარდლის ჩანაფიქრის განხორციელებას. ჩირკოვოსთან გამართულ ორდღიან ბრძოლაში იგი სარდლობდა რუსების არიერგარდს. სწორედ აქ ჩავარდა ტყვედ ფრანგების ავანგარდის შტაბის უფროსი გენერალი ფარიე.

მიურატი, რომელიც მოწინააღმდეგის ავანგარდის სარდალი იყო, განუწყვეტლივ უტევდა მილორადოვიჩს, რომელსაც რუსების უკანდახევის უსაფრთხოების დაცვა ჰქონდა დაკისრებული. 20 სექტემბერს სოფ. ვორონოვოსთან და 21 სექტემბერს სპას-კუპლიასთან ბრძოლებში, რომლებმაც არც ერთ მხარეს არ მოუტანა გამარჯვება, კვლავ ისახელეს თავი გენერალ ფანჩულიძის ნაწილებმა. ბარონ კორფის პატაკში გენერალ მილორადოვიჩისადმი, რომელშიაც აღწერილია ვორონოვოსთან ბრძოლის ამბები, ვკითხულობთ: „ჩემს მოვალეობად მიმაჩნია წარვუდგინო თქვენს აღმატებულებას ბატონ შტაბ- და ობერ-ოფიცერთა სია, რომელთაც თავი ისახელეს ბრძოლაში და უმორჩილესად გთხოვთ მათ დაჯილდოებას. განსაკუთებით მინდა დავუხასიათო თქვენს აღმატებულებას გენერალ-მაიორი ფანჩულიძევი პირველი, რომელიც მეთაურობდა დრაგუნთა ყველა პოლკს და ამ საქმეში იყო ჩემი სწორუპოვარი თანაშემწე“.

მომდევნო დღე, 22 სექტემბერი, მეტად მძაფრი ბრძოლების დღე გამოდგა. ამ დღეს მილორადოვიჩმა, მიურატის ჯარების წინსვლის შეჩერების მიზნით, მათ ბრძოლა გაუმართა ვილნოვოსთან (მდინარე ჩერნიშკაზე). მიურატმა რამდენჯერმე შეცვალა თავისი იერიშების მიზანი და მიმართულება, მაგრამ ვერაფერს გახდა და იძულებული შეიქნა საღამოს უკან დაეხია. ამჯერადაც წარმატებით მოქმედებდა გენერალი ფანჩულიძე, რომლის დამსახურება ხაზგასმითაა აღნიშ-

ნული გენერალ-ადიუტანტ კორფის 24 სექტემბრის პატაკში მილორადოვიჩისადმი. „ამა თვის 22 რიცხვს მომხდარი ბრძოლის დროს, — წერს კორფი, — პატივი მქონდა ვყოფილიყავი თქვენი მაღალამატებულების მეთაურობის ქვეშ და, რადგანაც თავად ბრძანდებოდით ყველა მოქმედების მოწმე, ზედმეტად მიმაჩნია მათ შესახებ მოვახსენო თქვენს აღმატებულებას. ჩემს მოვალეობად ვთვლი მხოლოდ წარმოგიდგინო ბატონი გენერლების, შტაბ- და ობერ-ოფიცერთა სია, რომელთაც თავი ისახელეს ბრძოლაში და განსაკუთრებული მადლობით მოვიხსენიო ბატონი გენერალ-მაიორი ფანჩულიძევი პირველი, რომელიც მარცხენა ფლანგის კავალერიას სარდლობდა...“.

6 ოქტომბერს კუტუზოვი, როგორც იქნა, დაეთანხმა გენერლების ბენიგსენის, ერმოლოვის, ბაგგოვუტის და პლატოვის დაჟინებულ თხოვნას და შეებრძოლა ფრანგების ავანგარდს მიურატის მეთაურობით. ამ ბრძოლაში, რომელიც სოფელ ტარუტინოსთან მოხდა, აქტიურად მონაწილეობდა ივანე დავითის ძე ფანჩულიძე. ფრანგებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს: მხოლოდ მოკლულთა სახით მათ სამი ათასამდე კაცი დაკარგეს, 1500 კაცი ტყვედ ჩავარდა. რუსებმა ხელთ იგდეს 38 ქვემეხი, 50 ყუთი, რომელშიაც საარტილერიო ჭურვები იყო და ერთი ბაირაღი. თავის მხრივ რუსეთის არმიამ 1200-მდე მებრძოლი დაკარგა. ერმოლოვმა, კონოვნიცინმა, მილორადოვიჩმა სთხოვეს ფელდმარშალს გაეგრძელებინა მოწინააღმდეგის დევნა, მაგრამ კუტუზოვმა, რომლის ტაქტიკა იყო მტრის განადგურება უმცირესი მსხვერპლის გაღებით, უარყო მათი თხოვნა. „თქვენ მხოლოდ იერიში გაკერიათ პირზე, იმას კი ვერ ხედავთ, რომ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ რთული მანევრების შესრულება“ — უთხრა მან მილორადოვიჩს.

მოსკოვის აღებამ ვერ გაამართლა ბონაპარტეს იმედები — რუსებმა ქედი არ მოიხარეს და არ ითხოვეს ზავის დადება. ცეცხლმოდებულ ქალაქში შემდგომ დარჩენას აზრი არა ჰქონდა. 6 ოქტომბერს ნაპოლეონმა დატოვა მოსკოვი და მალოიაროსლავეცისკენ დაიძრა იმ მიზნით, რომ რუსეთის ჯარების მთავარი სასურსათო ბაზისაკენ, ქალაქ კალუგისაკენ გასულიყო. ბაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა. კუტუზოვმა მას გზა გადაუჭრა, დახვდა მალოიაროსლავეცთან, სადაც 13 ოქტომბერს განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა, რომლის შედეგად ნაპოლეონმა კალუგისაკენ გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა. ბრძოლის შეუპოვრობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ერთი რიგი წყა-

როებისა ამტკიცებს, თითქოს მალოიაროსლავეცი ხელიდან ხელში რვაჯერ გადასულა, ხოლო მეორე რიგი ამ ციფრს თოთხმეტამდე ზრდის. საბოლოოდ ცეცხლმოდებული ქალაქი ფრანგებს დარჩათ, მაგრამ ამ ფაქტს უკვე არაფრით არ შეეძლო აღედგინა მათი დაკარგული რწმენა გენერალური ბრძოლის მოგების შესახებ. ნაპოლეონს მარშლები არწმუნებდნენ, რომ შეტევის ყოველგვარი ცდა ქანცგამოლეული არმიის საბოლოო დაღუპვას უდრიდა. „განა გუშინ არ ხედავდით ბრძოლის ველს, ნუთუ ვერ შეამჩნიეთ რა გაშმაგებით ისწრაფოდნენ სიკვდილისკენ თითქმის შიშველი და ოდნავ შეიარაღებული რუსი ახალბედები?“ — იკითხა ბრძოლის შემდეგ მოწვეულ სამხედრო საბჭოზე მარშალმა ბესიერმა. ნაპოლეონის მარშლების აზრით, კალუგისაკენ წასვლა არმიის განადგურებას უტოლდებოდა. ამიტომ ისინი დაჟინებით ურჩევდნენ იმპერატორს, რაც შეიძლება მალე სმოლენსკისკენ დაეხია. ნაპოლეონი ბედს დაემორჩილა და დაიწყო თავისი დამღუპველი უკანდახევა სმოლენსკისაკენ ბოროვსკის, ვერეიას და მოჟაისკის გავლით.

ამრიგად, კუტუზოვმა ბრწყინვალედ განახორციელა შესანიშნავი საფლანგო მანევრი და აიძულა ფრანგები მათ მიერ დარბეული სმოლენსკის გზით ევლოთ, სადაც აღარაფერი დარჩა დამშეული და ქანცგაწყვეტილი ჯარის დასაპურებლად. აღსანიშნავია, რომ მთელი გზის გავლა მალოიაროსლავეციდან სმოლენსკამდე ნაპოლეონს საშინელ პირობებში მოუხდა — შიმშილისა და სიცივის გარდა მას ფეხდაფეხ მისდევდნენ და თავს ესხმოდნენ რუსეთის ჯარის ნაწილები, რომელთა შორის ივანე ფანჩულიძის პოლკიც იყო.

21 ოქტომბერს ფანჩულიძის მებრძოლებმა მოწინააღმდეგის დატვირთული აღალი იგდეს ხელთ. მეორე დღეს, ვიაზმასთან შეტაკებაში დაატყვევეს მტრის ერთი ოფიცერი და 100 ჯარისკაცი. მერლინთან (სმოლენსკსა და კრასნის შორის) ბრძოლაში გაბედული მოქმედების შედეგად მათ ტყვედ ჩაიგდეს ერთი გენერალი, ოთხასზე მეტი ჯარისკაცი, დაეუფლნენ ხუთ ქვემეხს და ბაირაღს. არანაკლები წარმატებით იბრძოდნენ ფანჩულიძის დრაგუნები კრასნისთან. მათ შეუტიეს მტრის კოლონას, დაატყვევეს 17 ოფიცერი, 450 რიგითი მებრძოლი, მათვე დარჩათ მთელი აღალი. გენერალ ივანე ფანჩულიძის წარმატებები აღინიშნა წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენით.

რუსეთის ტერიტორიიდან ფრანგების განდევნის შემდეგ დაიწყო რუსეთის ჯარის საზღვარგარეთული ლაშქრობა (1813—1815 წ.), რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელშიც ივანე ფანჩულიძეს აქტიური მონაწილეობა მიუღია. ჩვენ მისი ბიოგრაფიის ამ პერიოდზე არ ვჩერდებით, ოღონდ აღვნიშნავთ, რომ 1813 წელს მას მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება. მისი მამაცობა, სამხედრო შენაერთების ენერგიანი მეთაურობა არაერთხელ აღნიშნულა რუსეთის იმპერიისა და უცხოეთის სახელმწიფოების ჯილდოებით. ივანე ფანჩულიძე გარდაიცვალა 1815 წელს.

* * *

გენერალ-მაიორი სიმონ დავითის ძე ფანჩულიძე (1764—1818 წწ.), ცნობილი ფანჩულიძე მეორეს სახელით, 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე ერთ-ერთი თვალსაჩინო პირთაგანია. 1785 წელს მან პორუჩიკის წოდებით დაამთავრა კადეტთა კორპუსი და იმ დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1815 წლამდე, განუწყვეტლად იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში. 30 წლის მანძილზე მოპოვებულმა მდიდარმა გამოცდილებამ, სუვოროვის, კუტუზოვისა და ბაგრატიონის მეთაურობით ჩატარებულ ბრძოლებში მიღებულმა წრთობამ სიმონ ფანჩულიძე ჩამოაყალიბა შესანიშნავი სამხედრო თვისებების მქონე გენერლად. მის საქმისადმი ერთგულებას, თავგამოდებას და გულმოდგინე სამსახურს ერთსულოვნად აღნიშნავენ თანამედროვენი. ამის შესახებ მეტყველებს 12 ჯილდო, მიღებული უმწიკვლო სამსახურისათვის. გარდა ამისა მას საპატიო ღირსებია „უმაღლესი ყურადღება“.

1791 წელს სიმონ ფანჩულიძე, ისევე როგორც მისი უფროსი ძმა ივანე, მონაწილეობდა ანაპის ციხესიმაგრის შტურმში. აქ მიიღო მან თავისი საბრძოლო ნათლობა. 8 წლის შემდეგ მან რუსეთის ჯარების შემადგენლობაში გაიარა გალიცია, სილეზია, მორავია, ბოჰემია და შვაბია, შევიდა შვეიცარიაში, სადაც მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში. 1805—1807 წლებში სიმონ ფანჩულიძეს ფრანგების წინააღმდეგ ყველა მნიშვნელოვან საბრძოლო ოპერაციაში თავისი ადგილი ჰქონია მიჩენილი. აღფრთოვანებული პეტრე ბაგრატიონის ლეგენდარული ვაჟკაცობით, ფანჩულიძე მეორე ღირსეულად იბრძოდა 1805 წელს ლამბახსა და ამშტეტენთან, კრემსსა და შენგრაბენთან, ვიშაუსა და აუსტერლიცთან.

არანაკლები წარმატებით მოქმედებდა იგი 1806—1807 წლებში. განსაკუთრებით კი თავი გამოიჩინა 1807 წლის 7 და 8 თებერვალს პრეისიშ-ეილაუსთან ბრძოლაში. მხოლოდ ჩამოთვლილი სამი წლის მანძილზე მან მთავრობის 5 ჯილდო მიიღო, ხოლო 1807 წელს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

1812 წლის სამამულო ომში სიმონ ფანჩულიძე მონაწილეობდა პირველი დღიდან უკანასკნელ ბრძოლამდე, რომელმაც დაასრულა რუსეთში შემოჭრილი ფრანგების განადგურება. ინგერმანლანდის დრა-

გენერალი სიმონ დავითის ძე ფანჩულიძე

გუნთა პოლკი, რომელსაც იგი მეთაურობდა, როგორც წესი, მოქმედებდა ყველაზე მძიმე უბნებზე.

ივლისის ცხელი დღეები იდგა. პირველი არმია, რომლის სარდალი ბარკლაი დე ტოლი იყო, აღმოსავლეთისკენ იხევდა და ვიტებსკში შევიდა. აქ იგი უნდა დალოდებოდა ბაგრატიონს, რომელიც წარმოუდგენელ წინააღმდეგობათა გადალახვით მიიჩქაროდა პირველ არმიასთან შესაერთებლად.

ნაპოლეონს კარგად ესმოდა, რომ რუსეთის არმიების გაერთიანება მისთვის დამღუპველი იყო და ამიტომ ყველა ღონეს ხმარობდა იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო. მისი მიზანი იყო ორივე არმიის ცალ-ცალკე განადგურება. ამავე დროს, რუსები ყოველნაირად ცდილობდნენ შეეჩერებინათ მოწინააღმდეგის მოძრაობა ვიტებსკისაკენ. 13 და 14 ივლისს ოსტროვნასა და კაკზვაჩინოსთან (ვიტებსკის მახლობლად) გაიმართა მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომელშიც უშიშრად მოქმედებდნენ გენერალ სიმონ ფანჩულიძის ნაწილები, შემონახულია სიმონ ფანჩულიძის მიერ მაიორ დელვიხის სახელზე გაცემული „მოწმობა“, რომელიც ადასტურებს ამ უკანასკნელის მამაცობას და თავდადებას 14 ივლისის ბრძოლაში. ამ საბუთიდან, რომელშიც თვით ფანჩულიძეზე არაფერია ნათქვამი, ირკვევა, რომ ამ დღეს იგი რუსების მარჯვენა ფლანგის კავალერიას მეთაურობდა.

დადგა 26 აგვისტო, ბოროდინოს ბრძოლის დღე. დღის 3 საათზე რუსების ცენტრს, რომელსაც ბარკლაი იცავდა, მტერი არაჩვეულებრივი ძალით მიაწვა. ბარკლაის განკარგულებით გენერალ-ადიუტანტმა ბარონმა კორფმა ცენტრს იზიუმის გუსართა და პოლონელ ულანთა პოლკები დაახმარა. ორივე პოლკის მოქმედებებს გენერალი სიმონ ფანჩულიძე ხელმძღვანელობდა. დამხმარე შენაერთები ჯერ კიდევ საბრძოლო რიგებში დაწყობილი არ იყვნენ, როდესაც მათ მოწინააღმდეგემ შეუტია და იძულებული გახადა უკან დახეულიყვნენ. მაგრამ ოფიცრების იაკოვლევის, ლაშქარიოვის და თვითონ ფანჩულიძის მეცადინეობით სულ მალე პოლკებში სრული წესრიგი დამყარდა და მათ მედგრად შეუტიეს ფრანგებს. ამასთან დაკავშირებით ბარონი კორფი ატყობინებდა ბარკლაი დე ტოლის: „ნაშუადღევს სამ საათზე მოწინააღმდეგემ იერიშები ჩვენს ცენტრზე გადმოიტანა და შეავიწროვა ჩვენი ფეხოსნები. თქვენი მაღალმატებულების განკარგულების თანახმად, კავალერიის მეორე კორპუსით აღნიშნული პუნქტის დასახმარებლად გავეშურე. დანიშნულ ადგილზე მისვლისას ვნახე, რომ მოწინააღმდეგე, რომელსაც ცენტრში ფეხოსანთა კოლონა ჰყავდა, მარცხენა ფრთაზე—კირასირები და კარაბინერები, ხოლო მარჯვენაზე—ცხე-

ნოსანი გრენადერები, არტილერიის მხარდაჭერით იმდენად ძლიერად უტევდა ჩვენს ფეხოსნებს, რომ აიძულა ისინი უწესრიგოდ დაეხიათ უკან. მე მყისვე ვუბრძანე იზიუმის გუსართა და პოლონელი ულანების პოლკებს ფანჩულიძევი მეორის მეთაურობით სწრაფად წასულიყვნენ წინ და დაერტყათ მოწინააღმდეგის კირასირებისა და კარაბინერებისათვის. მაგრამ ვიდრე პოლკები საბრძოლო მწყობრში ჩადგებოდნენ, მათ მტერმა შეუტია და არია ისინი". პატაკის ბოლოს ნათქვამია, რომ არეული ნაწილები „უმალ" მოწესრიგდნენ და „მოწინააღმდეგეს დაარტყეს".

ბარონმა კორფმა, რომელმაც გენერალი სიმონ ფანჩულიძე ბოროდინოს ბრძოლისათვის ჯილდოზე წარადგინა, საგანგებოდ აღნიშნა, რომ „იზიუმის გუსართა და პოლონელ ულანთა პოლკებით მან შეუტია მოწინააღმდეგეს და, როდესაც ამ პოლკებში წესრიგი დაირღვა, იგი შეეცადა მათ შეჩერებას, რასაც მიაღწია კიდევაც". ბოროდინოს ბრძოლისათვის სიმონ ფანჩულიძეს ალმასებით მოჭედილი ოქროს ხმალი ებოძა.

ბოროდინოდან ტარუტინომდე გენერალი ფანჩულიძე თავისი ნაწილებით რუსეთის არმიის არიერგარდში იბრძოდა, ხოლო 29 სექტემბერს სხვებთან ერთად იგი ვერეიას სიმაგრის იერიშში მონაწილეობდა. ვერეია, მოსკოვის გუბერნიის სამაზრო ქალაქი, მოწინააღმდეგემ დაიკავა და საკმაო მძლავრ სიმაგრედ აქცია. ამიტომ მის გათავისუფლებას დიდი პერსპექტიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ამოცანა დაეკისრა გენერალ-მაიორ დოროხოვს, რომელმაც მას ბრწყინვალედ გაართვა თავი. ვერეიასთან ბრძოლაში რუსებმა დაატყვევეს ერთი პოლკოვნიკი, 15 ოფიცერი, 377 ჯარისკაცი, ხელთ იგდეს ერთი ბაირაღი. ოთხასზე მეტი ფრანგი ბრძოლის ველზე დაეცა. რაც შეეხება რუსების დანაკარგს, იგი მეტად უმნიშვნელო იყო. ამ ბრძოლაში დოროხოვის გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი სიმონ ფანჩულიძემ. „იერიში დასრულდა, — წერდა დოროხოვი კუტუზოვს 1812 წლის 4 ოქტომბერს, — ყველგან აღსდგა წესრიგი, გაბატონდა მყუდროება. და მაშინ, როდესაც გამარჯვებულთა ნაწილი მოწინააღმდეგის მიერ დაგდებულ ნადავლს იყოფდა, ნაწილი კი დიდი ხელოვნებით აგებულ სიმაგრეს ანგრევდა, მოჟაისკის გზაზე მტრის ახალი ძალები გამოჩნდნენ. ეს ნაწილები, რომლებიც (ვერეის — ი. ა.) გარნიზონის გასაძლიერებლად მოდიოდნენ, ფეხოსანთა ოთხი ბატალიონის, კავალერიის სამი ესკადრონისა და რამდენიმე ქვემეხისაგან შედგებოდნენ. გენერალ-მაიორმა

ფანჩულიძევმა გააგზავნა თავადი ვადბელსკი გრაფ სოლოგუბის დასახმარებლად. სროლამ ერთ საათს გასტანა... მოწინააღმდეგემ ვერ გაბედა წინსვლა, ხოლო როდესაც შეიტყო, რომ ვერეის სიმაგრე ჩვენს ხელთაა, სულაც პირი იბრუნა. მას მდევარი დაედევნა". პატაკის მოტანილი ნაწილი აგვიწერს იმ მომენტს, როდესაც ფრანგების განადგურებული გარნიზონის დასახმარებლად მაშველი ჯარი მიდიოდა, რომელმაც დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. ამავე პატაკის დასაწყისში დოროხოვი აღწერს ვერეის შტურმს და მაღალ შეფასებას აძლევს გენერალ სიმონ ფანჩულიძის სამაგალითო მამაცობას. სწორედ ამ პატაკის საფუძველზე ფელდმარშალმა კუტუზოვმა შემდეგი მოხსენება გაუგზავნა იმპერატორ ალექსანდრე პირველს: „28 სექტემბერს წარმოებული ვერეის სიმაგრის შტურმისას გენერალ-მაიორ დოროხოვის მიერ, რაზედაც მისი პატაკი წინამდებარე მოხსენების საფუძველია. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა გენერალმა ფანჩულიძევმა მეორემ, რომელიც იმ დღეს სარეზერვო ჯარებს სარდლობდა. იგი გონივრულად მოქმედებდა დისპოზიციით დასახელებული პუნქტების აღებისას და ქალაქში შესვლისას ხელქვეითებს პირადი ვაჟკაცობის მაგალითს უჩვენებდა... ჩამოთვლილი ოფიცრების (პატაკში დასახელებული არიან აგრეთვე გრაფი სოლოგუბი და პორუჩიკი ორლოვი — ი. ა.) თქვენი უდიდებულესობის სამსახურისადმი ერთგულებისა და იმ მამაცობის აღსანიშნავად, რომლითაც ისინი მტერს უტევდნენ, უმორჩილესად გთხოვთ ღირსი გახადოთ გენერალ-მაიორი ფანჩულიძევი მეორე, წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენისა..."[1]. ასე სწერდა იმპერატორს კუტუზოვი, ადამიანი, რომელიც იშვიათად და ძუნწად თუ შეაქებდა ვინმეს.

როგორც ვნახეთ, სარდლობა ძმებს ფანჩულიძეებს, როგორც მამაც, გამოცდილ და ინიციატივიან გენერლებს, ყოველთვის ყველაზე რთულ და პასუხსაგებ დავალებებს აკისრებდა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სიმონ ფანჩულიძე რუსეთის არმიის საზღვარგარეთულ ლაშქრობაში მონაწილეობდა, რომელიც დასრულდა 1815 წელს რუსების პარიზში შესვლით, მაგრამ აქ მისი ბიოგრაფიის ამ ფურცელზე არ შევჩერდებით.

ხანგრძლივმა სამსახურმა და სისხლისმღვრელ ბრძოლებში მიღებულმა ჭრილობებმა სიმონ ფანჩულიძის ჯანმრთელობა შეარყიეს.

---

1 ეს ორდენი სიმონ ფანჩულიძემ მიიღო.

1814 წლისათვის მას უკვე აღარ შეეძლო მოქმედ არმიაში სამსახური. ძნელი იყო მეგობრების მიტოვება, განშორება საქმესთან, რომელსაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა. 1814 წლის 19 დეკემბერს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მიიღო გენერალ-მაიორ ფანჩულიძის თხოვნა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რომლის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „თუმცა კი მაქვს უდიდესი სურვილი ვიყო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურში და ვაპირებდი კიდევაც მის გაგრძელებას, მაგრამ თვალის ქრონიკული ანთებით გამოწვეული მხედველობის დაქვეითება და მარჯვენა ხელის მოტეხილობის გამო მისი მუდმივი ტკივილი სრულიად არ მაძლევენ ამის საშუალებას. დასახელებული სნეულებების დამამტკიცებელ საბუთად წარმოგიდგენთ მოწმობას, გაცემულს ექიმ გარანსკის მიერ და ვკადნიერდები უმორჩილესად გთხოვოთ თქვენი უმაღლესი საიმპერატორო ბრძანებულებით დააკმაყოფილოთ ჩემი თხოვნა, გაითვალისწინოთ ჩემი ხანგრძლივი სამსახური და გამათავისუფლოთ საველე და საგარნიზონო სამსახურიდან ჩინის მომატებით და დამსახურებული პენსიის დანიშვნით“.

სიმონ დავითის ძე ფანჩულიძის ამ განცხადებაზე იმპერატორს თავისი ხელით დაუწერია: „...გენერალ-ლეიტენანტის წოდებას მე მხოლოდ სამსახურში მყოფთ ვაძლევ და არა მათ, ვინც მას თავს ანებებს. აქედან გამომდინარე გათავისუფლდეს თავის წოდებაში ჩვეულებრივი უფლებებით“. გათავისუფლების საბუთზე ვიღაცას ფანქრით მიუწერია: „1815 წლის 1 ივნისის ბრძანებით გენერალ-მაიორი ფანჩულიძევი მეორე გათავისუფლებულია სამსახურიდან ავადმყოფობის გამო, მუნდირის შენარჩუნებით და 30 წელზე უფრო ხანგრძლივი სამსახურისათვის ნახევარი ჯამაგირის ოდენობის პენსიით“.

ასე დააფასა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა იმ ადამიანის დამსახურება, რომელიც მას ერთგულად ემსახურა და ბევრი გააკეთა რუსული იარაღის სადიდებლად.

* * *

ბაგრატ ბატონიშვილის სიაში პავლე ბიბილურზე მოკლედ სწერია: „ბიბილური პავლე სერგის ძე, ადრე ბიბილური, ამჟამად ლაშქარიოვად რქმული. ბოროდინოს ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან დაბრმავდა“.

ლაშქარიოვების შტოს სათავეები უკავშირდება ქართველ აზნაურს ლაზარე გრიგოლის ძე ბიბილურს, რომელიც პეტრე პირველის მეფობის დროს ვახტანგ VI გაჰყოლია რუსეთში. ლაზარე ბიბილურის შვილს სერგი რქმევია. ბაგრატის სიაში მოხსენიებული ბიბილური კი პავლე სერგის ძედაა წოდებული. მაშასადამე, იგი ყოფილა რუსეთში 1724 წელს ჩასული ლაზარე გრიგოლის ძის შვილიშვილი. სიაში მისი სამხედრო წოდება აღნიშნული არ არის. ისე კი სხვა საბუთებიდან ირკვევა, რომ მას გენერალ-მაიორობამდე მიუღწევია. გარდა ამისა, ცნობილია ისიც, რომ 1812 წელს იგი პოლკოვნიკი ყოფილა და მეთაურობდა ციმბირის ქვეითთა პოლკს.

როგორც ხედავთ, ჩვენამდე მოღწეული ცნობები ერთობ მწირია. ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს „ძველი პრეობრაჟენელის ჩანაწერები", რომლის ავტორია თავადი ნიკოლოზ იმერეტინსკი. 1812 წლის ომის შემდეგ თავად იმერეტინსკის მოუნახულებია ბოროდინოს ველი. როდესაც იგი შევარდინოს რედუტს ათვალიერებდა, ძალაუნებურად გახსენებია რედუტისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გმირი პავლე სერგის ძე ბიბილური, რომელსაც პირადად იცნობდა თურმე. თავის ნაწერებში თავადი მოგვითხრობს: „ბედნიერება მქონდა გამეცნო შევარდინოს ღლის ერთ-ერთი გმირი. ეს გახლდათ გადამდგარი გენერალ-მაიორი პავლე სერგის ძე ბიბილური. შევარდინოსთან იგი კუტუზოვისნაირად დაიჭრა. ტყვია მას მოხვდა მარჯვენა ლოყაში და მარცხენა ყურის ქვეშ გავიდა. მოხუცი თითქმის დაბრმავდა, მაგრამ ცოცხალი დარჩა. ჩემთან საუბრისას მოხუცი გოლიათი წუხდა, რომ აღარ შეეძლო კიდევ ერთხელ შებმოდა ფრანგებს. „აფსუს, დავბერდი და დავბრმავდი, თორემ კიდევ ვიმსახურებდი! ფრანგებს ვიცნობ, ვიცი მათთან ჭიდილი"-ო ამბობდა იგი. ვკითხე, თუ როგორ მიიღო ასეთი საშინელი ჭრილობა. „ჩემი ბრალიაო" — მიპასუხა მან. „წესად მქონდა ცხენიდან ჩამომხტარს მებრძოლა. რამდენჯერ ყოფილა, რომ დაიწყებოდა თუ არა ხელჩართული ომი, მყისვე ჩამოვხტებოდი ცხენიდან, ცხენს მებუკეს დავუტოვებდი, თავად კი გავიქცეოდი ბიჭებთან, — გავამხნევებდი, ღმერთს ვახსენებდი და... წინ გავიჭრებოდი... სხვები მომყვებოდნენ. შევარდინოსთან არ ვიცი რატომ, ცხენზე ამხედრებული ვეტაკე მტერს... არ ვიცი, მცხელოდა... დამეზარა ცხენიდან ჩამოხტომა... ჰოდა, დავისაჯე კიდევაც. მომეპარა ფრანგი — ოხერი და ბაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესროლა. ხომ იცით, ამხედრებულს უფრო დაუმიზნებ... ფეხით ხომ ვყოფილიყავი, აგრე არ მოხდებოდა“.

იმერეტინსკის შეკითხვაზე, მართალია თუ არა, რომ მეთაურის დაკარგვის მერე ბატალიონები არეულან და უწესრიგოდ დაუბევიათ უკან, ბიბილურმა უპასუხა: „არა, არ არეულან... არც უკან დახეულან... უჩემოდაც იღრინებოდნენ! იმ დროს დაძალება არავის სჭირდებოდა. ხოლო როცა ჯერი მოსკოვზე მიდგა, ისე გამწარდნენ, რომ ვერც კი აგიწერთ. ჯარისკაცები ხომ სულ გააფთრდნენ... სროლაც კი აღარ უნდოდათ, სულ იმას ცდილობდნენ პირისპირ შებმოდნენ მტერს! თქვენ, ჩემო ბატონებო, წიგნებითა და სურათებით მსჯელობთ... რა სურათი დაგიხატო? ბოლი, მტვერი, დღის სინათლე არ ჩანდა... თითქმის უკუნეთში ვიბრძოდით... საცა კი ცისფერ მუნდირს (ფრანგები. —ი. ა.) მივასწრებდით, არ ვინდობდით. თუკი შეგვეძლო ხიშტებზე აგვეგო, ხომ გავფატრავდით კიდევაც, თუ არა და კონდახს ვაგემებდით ისე მწარედ, რომ თოფი ტყდებოდა. ამის შემდეგ კი კისერში ვწვდებოდით, ხელით, კბილით, დავგორდებოდით, იყო მუშტების ცემა... ერთი სიტყვით, რაც კი მოგვხვდებოდა ხელში, ყველაფერს იარაღად ვიყენებდით!.. ფრანგებმაც იცოდნენ, რომ არას შევარჩენდით და ისინიც გამწარებით იბრძოდნენ! არა, ძმობილო, თუ ვინმემ გითხრას, რომ რუსებმა შევარდინოსთან პირი იბრუნეს, ჰკითხეთ რამდენმა-თქო. არც ერთი რუსის ზურგი არ უნახავთ ფრანგებს. ჩვენები, ვინც კი რედუტში იბრძოდა, იქვე დარჩნენ სამუდამოდ... თითქმის არავინ არ დაბრუნებულა ცოცხალი“.

ნიკოლოზ იმერეტინსკის მოგონებები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ პავლე ბიბილურის ცხოვრების ზოგიერთი დეტალი. კერძოდ, ირკვევა, რომ იგი მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლაში, რომელშიაც მის ხელქვეითებს მამაცობით და თავდადებით უსახელებიათ თავი, თვითონ პავლე ბიბილური მძიმე ჭრილობის მიღების შემდეგ ფაქტიურად მწყობრიდან გამოსულა, რის გამოც სამსახურისთვის თავი მიუნებებია. ამის შემდეგ გადამდგარ გენერალს დიდხანს უცოცხლია და გარდაცვლილა 1853 წელს ყირიმის ომის დაწყების წინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენერლები

ივანე და სპირიდონ ჯავახიშვილები, რომან გაგრატიონი[1]

თავად ჯავახიშვილთა (რუსულ საბუთებში ქევახოვები) წინაპრები რუსეთში XVIII საუკუნის ოციან წლებში გამოჩნდნენ. კერძოდ, ივანე სიმონის ძე ჯავახიშვილის პაპა — შიოში (სიმონი) — 1724 წ. ჩავიდა რუსეთში, როგორც ვახტანგ VI თანმხლები პირი. 1738 წელს იგი სამხედრო სამსახურში შესულა და პოლტავის გუბერნიაში ოცდაათი კომლისაგან შემდგარი მამული მიუღია.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1763 წელს. 1812 წლის სამამულო ომმა მას განსაკუთრებით გაუთქვა სახელი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი მანამდე წარმოებულ ომებშიც მონაწილეობდა, რომელთაგან დავასახელებთ 1787—1791 წლების რუსეთ-თურქეთისა და 1805—1807 წლების რუსეთ-საფრანგეთის ომებს. ფრანგებთან ომის დროს იგი წმ. გიორგის მეორე ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ.

სამამულო ომის დაწყების წინ და მისი მსვლელობის მანძილზე პოლკოვნიკი ივანე ჯავახიშვილი მსახურობდა მესამე არმიაში, რომელსაც კავალერიის გენერალი ტორმასოვი სარდლობდა. პოლკოვნიკის წოდება ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1800 წელს მიიღო.

ტორმასოვის არმიის მთავარი ბინა ლუცკში იყო. არმიას ევალებოდა მტრის იმ ჯარების წინააღმდეგ მოქმედება, რომელიც ნაპოლეონს ამ მხარეში შეეძლო გამოეგზავნა.

---

1 ივანე და სპირიდონ ჯავახიშვილები, ისევე როგორც რომან გაგრატიონი, 1812 წელს საკმაოდ დიდი სტაჟის მქონე პოლკოვნიკები იყვნენ. 1813 წელს მათ, რუსეთის ჯარების საზღვარგარეთული ლაშქრობის აქტიურ მონაწილეებს, გენერალმაიორობა ებოძათ. 1813—1815 წწ. აღნიშნული ლაშქრობა, გარკვეული აზრით, 1812 წლის სამამულო ომის გაგრძელებას წარმოადგენს, სწორედ ამიტომ ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ აღნიშნულ პირთა მოხსენიება ამ სამხედრო წოდებით.

ავსტრიელთა კორპუსმა შვარცენბერგის მეთაურობით მდინარე ბუგი გადალახა და 19 ივლისს სლონიმში შევიდა. აქ მან რამდენიმე დღე დაჰყო საქსონიის კორპუსის მოლოდინში. ამ კორპუსს გენერალი

გენერალი ივანე სიმონის ძე ჯავახიშვილი

რენე სარდლობდა. იგი მართლაც სლონიმისკენ მიიწევდა ბელოსტოკის მხრიდან. მას დავალებული ჰქონდა ავსტრიელთა ნაცვლად წასულიყო ხესვიჟისაკენ და ბაგრატიონს დადევნებოდა.

მოწინააღმდეგეს ეჭირა პრუჟანი, ბრესტი, კობრინი, იანოვო და პინსკი. ამ დასახლებული პუნქტების გასათავისუფლებლად და მოწინააღმდეგის ზურგში შეღწევისათვის გენერალმა ტორმასოვმა სამი რაზმი გამოჰყო. პირველ მათგანს გენერალ ლამბერტის მეთაურობით ებრძანა ბრესტისაკენ ევლო ბუგის ნაპირის გაყოლებით. მეორე რაზმსაც გენერალ-მაიორ შჩერბატოვის მეთაურობით ბრესტისკენ მოძრაობა ჰქონდა ნაბრძანები, ოღონდ რატნოსა და მოკრანიზე გავლით. ლამბერტისა და შჩერბატოვის ნაწილებს შეთანხმებული მოქმედებით უნდა გაეთავისუფლებინათ ბრესტი, შემდეგ გასულიყვნენ კობრინისაკენ და მხარი დაეჭირათ ტორმასოვისათვის, რომელიც 15 ივლისს ამ ქალაქის გათავისუფლების ოპერაციის დაწყებას ფიქრობდა.

დაბოლოს, მესამე რაზმი გენერალ-მაიორ მელისინოს მეთაურობით მიემართებოდა იანოვოსაკენ მხოლოდ და მხოლოდ მტრის დეზინფორმაციის მიზნით. მას უნდა დაერწმუნებინა მოწინააღმდეგე იმაში, რომ მესამე არმიის ძირითადი ძალები პინსკისაკენ მიდიან. სწორედ ამ რაზმის შემადგენლობაში იყო სერპუხოვის დრაგუნთა პოლკი, რომელსაც ივანე სიმონის ძე ჯავახიშვილი მეთაურობდა. ამ პოლკმა 1812 წლის კამპანიაში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

2 ივლისს ღამით მელისინოს რაზმმა აღადგინა ხიდი მდინარე პინაზე და მის მეორე ნაპირზე გადავიდა. პოლკოვნიკ ივანე ჯავახიშვილის ნაწილს დაევალა იანოვოსაკენ წასულიყო და მოწინააღმდეგის ადგილსამყოფელი და მოძრაობის მიმართულება დაედგინა. დაზვერვის ჩასატარებლად მას გამოუყვეს სამი ესკადრონი და ეგერთა ოცდამეთორმეტე პოლკის ასეული. დაზვერვა წარმატებით ჩატარდა, რაც კარგად ჩანს ივანე ჯავახიშვილის 12 ივლისის პატაკიდან გენერალ მელისინოს სახელზე. „პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, — წერს ჯავახიშვილი, — მე ჩემდამი რწმუნებული პოლკის სამი ესკადრონით და ეგერთა ოცდამეთორმეტე პოლკის ესკადრონით მშვიდობით მივაღწიე იანოვოს. დღეს თურმე იანოვოში ყოფილა უნგრელთა პატრული, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ მე მოვდიოდი, უმალ გაიქცა ხომსკში, რომელიც სმოლენსკის გზაზეა. მეორე პატრულს ჩვენ მივუსწარით აქაური მემამულის ორეშკოს ეზოში, მაგრამ მან მოახერხა სოფელ ლიახოვიჩისაკენ გაქცევა. მას დაედევნა დრაგუნთა ოცეული, მაგრამ მანძილის სიდიდისა და ცხენების გადაღლის გამო მას მხოლოდ ერთი კაცი დაეწია და კარაბინი წაართვა. ამის მეტი არაფერი მომხდარა. აქაური მოსახლეობა ერთხმად ამბობს, რომ მოწინააღ-

მდეგის მთელი ძალები პინსკისაკენ მიემართებიან და რომ სამი დღის წინ აქ დიდძალმა კავალერიამ გაიარა... ზუსტ რიცხვს ვერ ასახელებენ, ისე კი ამბობენ, რომ მისი სვლა დილის სამი საათიდან საღამომდე გრძელდებოდაო“.

ჯავახიშვილის რაზმის წინააღმდეგ გენერალმა რენიემ საკმაოდ ძლიერი შენაერთი დაძრა. მოწინააღმდეგე 13 ივლისს თავს დაესხა იანოვოში დაბანაკებულ რუსებს. ჯარისკაცთა, ოფიცერთა და პირადად ივანე ჯავახიშვილის მამაცობამ და თავდადებამ განაპირობეს ამ იერიშის სრული წარუმატებლობა. მტერმა ხუთი ვერსით დაიხია. რუსებმა 33 კაცი დაატყვევეს, მათ შორის მაიორი ზაიდლიცი. ამ შეტაკების დროს ჯავახიშვილს ხელში ჩაუვარდა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელშიც ფრანგების მომავალი საომარი მოქმედების გეგმა იყო. ჯავახიშვილის წარმატებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მათ შესახებ მელისინომ დაუყოვნებლივ უპატაკა ტორმასოვს, ხოლო ამ უკანასკნელმა მოახსენა იმპერატორს, რომ „გენერალ-მაიორმა მელისინომ... ისარგებლა ქარიშხლით, რომელსაც თან სდევდა სეტყვა და წვიმა, აღადგინა მდინარე პინაზე ხიდი და მტრის ადგილსამყოფელისა და მისი მოძრაობის მიმართულების დასადგენად გაგზავნა რაზმი სერპუხოვის დრაგუნთა პოლკის მეთაურის პოლკოვნიკ ქევახოვის მეთაურობით. რაზმს შეხვდა გენერალ გაბლენცის ავანგარდის რამდენიმე ესკადრონი. პოლკოვნიკმა თავადმა ქევახოვმა გაანადგურა მოწინააღმდეგის ესკადრონები, სიცოცხლეს გამოასალმა მტრის 50 მებრძოლი, დაატყვევა 32 კაცი, მათ შორის შტაბ-ოფიცერი მაიორი ზაიდლიცი... ჩვენგან დაიღუპა 15 დრაგუნი და რამდენიმე კაცი მძიმედაა დაჭრილი“.

მტერი მაინც არ დამცხრალა. მან დამატებითი ძალები მოიშველია და არტილერიის მხარდაჭერით ისევ შეუტია ჯავახიშვილის დრაგუნებს. იწყებოდა ახალი სისხლისმღვრელი შეტაკება. სწორედ ამ დროს პოლკოვნიკმა ივანე ჯავახიშვილმა მიიღო გენერალ მელისინოს ბრძანება ძველ პოზიციებზე დაბრუნების შესახებ. რუსების მცირერიცხოვან რაზმს მოწინააღმდეგის ავანგარდი დაედევნა, მაგრამ ჯავახიშვილი სრულ წესრიგში დაუბრუნდა თავის პოზიციებს და ძირითად ნაწილებს შეუერთდა. „რიცხვსა ამასა, — სწერდა მელისინო ტორმასოვს 13 ივლისს, — ჩემი მითითების შესაბამისად პოლკოვნიკი თავადი ქევახოვი თავისი რაზმით, დაჭრილთა უმნიშვნელო რაოდენობით, მშვიდობით დაბრუნდა სოფელ კუქელინიჩიში, სადაც შეუერთდა ჩემდამი რწმუნებულ ნაწილებს...“.

რაზმი, რომელიც ჯავახიშვილს დაედევნა, საგრძნობლად დაშორდა გენერალ რენიეს ძირითად ძალებს, ეს კი მათ კარგს ვერაფერს უქადდა. სწორედ ამიტომ, ავანგარდის მეთაურმა გადაწყვიტა სასწრაფოდ უკან დაბრუნება. ახლა უკვე მას ივანე ჯავახიშვილმა გააყოლა მდევარი, რომელმაც მტრის 28 მებრძოლი დაატყვევა და ხელთ იგდო ერთი ქვემეხი. სხვათა შორის, ეს იყო მტრის პირველი ქვემეხი, რომელიც ომის დაწყებიდან რუსებმა ჩაიგდეს ხელში.

ამ ამბებამდე ერთი დღით ადრე, 12 ივლისის საღამოს, გენერალ-მაიორ შჩერბატოვის რაზმი ბრესტს მიადგა, სადაც, მიღებული ცნობებით, მტრის შედარებით მცირერიცხოვანი გარნიზონი იდგა. შჩერბატოვი არ დაელოდა გრაფ ლამბერტის მოსვლას, ღამით შეუტია ქალაქს, აიღო იგი და დაატყვევა ერთი ოფიცერი და 40 ულანი.

13 ივლისს სხვა გზით ბრესტში ლამბერტის რაზმიც შევიდა. აქ იგი არ შეჩერებულა და გეზი კობრინისაკენ აიღო, რომლისკენაც დვინის გზით გენერალი ტორმასოვი მიემართებოდა. გენერალმა კლენგელმა, რომელსაც კობრინი ეჭირა, რუსების მოძრაობის შესაჩერებლად მათ წინააღმდეგ რაზმი გაგზავნა, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგანაც ქალაქის შტურმი ერთდროულად სხვადასხვა მხრიდან დაიწყო: ქალაქს გენერალი ლამბერტი უტევდა ბრესტის მხრიდან, გენერალ-მაიორი ჩაპლიცი — აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან — ტორმასოვი, ხოლო ჩრდილოეთიდან — პოლკოვნიკი მადათოვი, რომელმაც ამავე დროს მტერს პრუჟანისკენ გასაქცევი გზა გადაუჭრა. გრაფმა ლამბერტმა ძლიერი დარტყმით აიძულა მოწინააღმდეგის ავანგარდი პირი ებრუნა კობრინისაკენ, სადაც 15 ივლისს გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც ქალაქის დამცველი გარნიზონის სრული განადგურებით დამთავრდა. რუსებმა გამოასალმეს სიცოცხლეს 2000 კაცი, დაატყვევეს საქსონიის კორპუსის მეთაური გენერალ-მაიორი კლენგელი, 3 პოლკოვნიკი, 6 შტაბ- და 57 ობერ-ოფიცერი, 2234 უნტერ-ოფიცერი და რიგითი ჯარისკაცი, ხელთ იგდეს 8 ქვემეხი და 4 ბაირაღი, ხოლო თვითონ 260 კაცი დაკარგეს.

იანოვოს, პინსკისა და კობრინოს ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისათვის ივანე ჯავახიშვილს წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი ებოძა.

ტორმასოვის არმიასთან პირველმა შეტაკებებმა დაარწმუნეს გენერალი რენიე იმაში, რომ მარტო იგი ვერაფერს გახდებოდა. იგი დაჟინებით სთხოვდა შვარცენბერგს დახმარებას. 22 ივლისს რენიე შეუ-

ერთდა შვარცენბერგის მთავარ ძალებს და გაემართა პრუჟანისაკენ, სადაც ლამბერტი იდგა. ლამბერტს ებრძანა გოროდეჩნიასკენ უკან დახევა. გოროდეჩნიასთან ტორმასოვიც მოვიდა. 31 ივლისს აქ გაიმართა ბრძოლა, რომელიც რუსების გამარჯვებით დამთავრდა. მიუხედავად ამ წარმატებისა, ტორმასოვმა თავი აარიდა მომავალ შეტაკებებს და უკან დაიხია, რათა შეერთებულიყო დუნაის არმიასთან, რომელსაც ადმირალი ჩიჩაგოვი ედგა სათავეში და, რომელსაც ტორმასოვის დახმარება ჰქონდა ნაბრძანები.

10 სექტემბერს ეს არმიები შეერთდნენ ქ. ლუცკში. იმავე დღეს მათ შეუტიეს მოწინააღმდეგეს და ქალაქები კისელინი და ვლადიმერი დაიკავეს. მტერი უწესრიგოდ გარბოდა. მას დაედევნა რუსების ავანგარდი ჯავახიშვილის მეთაურობით. ავსტრიელებმა (ეს კი შვარცენბერგის ნაწილები იყო) ზედიზედ რამდენიმე ოკუპირებული დასახლებული პუნქტი დატოვეს და დროგოჩინს მიაშურეს, სადაც რენიესთან შეერთებას ფიქრობდნენ. 19 ნოემბერს მათ დატოვეს დროგოჩინი და გეზი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, ვოლკოვისკისკენ აიღეს, რათა ხელი შეეშალათ ჩიჩაგოვის არმიის მინსკ-ბორისოვის გზით მოძრაობისათვის. ამის შემდეგ მოწინააღმდეგის ძალები ისევ გაიყო: შვარცენბერგის კორპუსი სლონიმისაკენ წავიდა, ხოლო რენიე ვოლკოვისკში დარჩა და მის გამაგრებას შეუდგა.

ვოლკოვისკის გათავისუფლება დაევალა გენერალ-ლეიტენანტ საკენის შენაერთებს, რომელთა შემადგენლობაში მოქმედებდა ივანე ჯავახიშვილის ნაწილი. 2 ნოემბერს საკენმა იერიში მიიტანა ვოლკოვისკზე და აიღო კიდევაც ქალაქი. რენიე გაიქცა, მას საკენმა მდევარი გააყოლა. 4 ნოემბერს ვოლკოვისკის მახლობლად გაიმართა ბრძოლა. თავდაპირველად რუსების საქმე კარგად წარიმართა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შვარცენბერგი რენიეს დასახმარებლად მოვიდა, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. საკენი იძულებული გახდა დაეხია უკან და დაეტოვებინა ვოლკოვისკი. მას გამოედევნა რენიე-შვარცენბერგის გაერთიანებული კორპუსი. მიუხედავად დამარცხებისა, საკენმა მაინც მიაღწია მიზანს (მან თავისკენ მიიზიდა ავსტრიელთა კორპუსი, რითაც საგრძნობლად შეამსუბუქა ჩიჩაგოვის არმიის მდგომარეობა, რომელიც ბელორუსიისაკენ მიდიოდა) და მძიმე მსხვერპლის გაუღებლად განაგრძო უკან დახევა ბრესტის მიმართულებით. 13 ნოემბერს მან გადალახა მდინარე მუხოვეცი და ლიუბომლიას მიაღწია. რაც შეეხება რენიესა და შვარცენბერგს, როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ

რუსების დევნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ისევ განცალკევდ-
ნენ. რენიე ვოლკოვისკში შევიდა, ხოლო შვარცენბერგი — სლონიმში.

ამ ცამეტი დღის განმავლობაში (1-დან 13 ნოემბრამდე) ივანე ჯავახიშვილი ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს. 1 ნოემბერს მან გორნოსტაევიჩსა და კაბიზას შორის მოწინააღმდეგის 10 ესკადრონი გაანადგურა. მეორე დღეს იგი ვოლკოვისკთან იბრძოდა, 4 ნოემბერს იზაბელინთან მან ავსტრიელებს გამოგლიჯა რუსების აღალი, 5 და 11 ნოემბერს იგი მტერს რუდნოსთან და რეჩიცასთან შეეჯახა. 13 ნოემბერს ჯავახიშვილმა სხვებთან ერთად გადალახა მდინარე მუხოვეცი და ლიუბომლიაში შევიდა. ერთ დოკუმენტში რეჩიცასთან ბრძოლის მსვლელობა ასეა გადმოცემული: „გენერალ-ლეიტენანტმა საკენმა თავისი შტაბ-ბინა ტურიში გადაიტანა. შუადღისას მოწინააღმდეგე მიუახლოვდა სოფელ ვიშნიას, შეუტია ჩვენს ფორპოსტებს და გააქცია ისინი. გაქცეულთ მდევარი გამოჰყვა, რომელმაც ჯერ სოფელი რეჩიცა დაიკავა, ხოლო შემდეგ სერდუში. საღამოს მტრის ნაწილმა სერდუში დატოვა და ღამე რეჩიცაში გაათია. პოლკოვნიკ თავად ქევახოვს ებრძანა სერპუხოვის დრაგუნთა, ვლადიმირის კაზაკთა და კალმიკთა პოლკებით ღამით თავს დასხმოდა მოწინააღმდეგეს, რომელიც რეჩიცაში ბატონის კარმიდამოს ტერიტორიაზე დაბანაკდა. პოლკოვნიკი თავადი ქევახოვი თავისი ნაწილებით ეკვეთა მტრის შენაერთებს და სდია მათ ქალაქის კედლებამდე, სადაც მას მოწინააღმდეგემ არტილერიის ცეცხლი დაუშინა, რომელთანაც ჩვენი კავალერია ვერას გახდა“.

საბრძოლო ოპერაციებში ივანე ჯავახიშვილის გაბედულმა და გონივრულმა მოქმედებამ ბუნებრივია სარდლობის ყურადღება მიიქცია. მან ადმირალ ჩიჩაგოვს წარუდგინა იმ ოფიცერთა სია, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნოემბრის ბრძოლებში. ამ სიაში ჯავახიშვილის გვარის გასწვრივ ეწერა: „ყველა ოპერაციაში წინ უძღოდა მის პოლკს და მოწინააღმდეგესთან ბრძოლისას თავის ხელქვეითებს გმირობის და თავდადების შესანიშნავ მაგალითებს უჩვენებდა“.

ასე თავგამოდებულად ებრძოდა ივანე სიმონის ძე ჯავახიშვილი რუსეთის ტერიტორიაზე შემოჭრილ ნაპოლეონს, იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელთაც საგრძნობი დარტყმები აგემეს აგრესორს და ამით ფრანგთა „უძლეველი არმიის“ სახელი შეარყიეს. ივანე ჯავახიშვილი, როგორც ეს აღნიშნული გვქონდა, მონაწილეობდა რუსეთის ჯარების საზღვარგარეთულ ლაშქრობაში, რომლის დროს, 1813 წლის

6 აპრილს მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1817 წელს ავადმყოფობის გამო გენერალი ჯავახიშვილი იძულებული გახდა მიეტოვებინა სამხედრო სამსახური.

* * *

სპირიდონ ესტატეს ძე ჯავახიშვილი, პავლოგრადის გუსართა პოლკის მეთაური, 1812 წლის სამამულო ომში პოლკოვნიკის წოდებით მონაწილეობდა, მაგრამ 1813 წელს იგი უკვე გენერალ-მაიორად იხსენიება, ყოველ შემთხვევაში, 1813 წლის 16 დეკემბრის პატაკი ბარონ ვინცენგეროდესადმი ხელმოწერილია გენერალ-მაიორ სპირიდონ ჯავახიშვილის მიერ. მისდამი რწმუნებული პავლოგრადის გუსართა პოლკი დასავლეთის მესამე არმიის შემადგენლობაში შედიოდა. ამ პოლკმა ბევრ ოპერაციაში ისახელა თავი, რომელთაგან მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ისეთებზე, რომლებმაც სარდლობის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ომის დაწყებით სტადიაში სპირიდონ ჯავახიშვილის ნაწილს დაზვერვა ჰქონდა დავალებული. მას უნდა დაედგინა (მოწინააღმდეგესთან შებმის გარეშე) ბრესტიდან ფრანგების მოძრაობის მიმართულება, აეყვანა „მოენე“ და დაეზუსტებინა ბრესტისა და კობრინის დამცველი გარნიზონების შემადგენლობა და სიდიდე. „წინადადება გეძლევათ,— სწერდა გენერალი ტორმასოვი გრაფ კამენსკის, — ამ წერილის მიღებისთანავე, დაავალოთ პავლოგრადის გუსართა პოლკის მეთაურს თავად ქევახოვს, მისდამი რწმუნებული პოლკის ერთი ბატალიონით და კაზაკთა მთელი რაზმით (ილოვაისკიდან მოსულთა ჩათვლით), რომელიც დაბანაკებულია რატნოში, ჩაატარონ ბრესტის გზაზე რეკოგნოსცირება, შეეცადონ აიყვანონ „მოენე“, რათა მოვიპოვოთ ზუსტი ცნობები მოწინააღმდეგესა და მის განზრახვებზე. ოღონდ ამასთანავე ერთად განუმარტეთ თავად ქევახოვს, რომ რაც შეიძლება ფრთხილად იმოქმედოს იმისთვის, რომ არც ერთი ჩვენი მებრძოლი ტყვედ არ ჩავარდეს... მან უნდა კარგად გაიგოს, რომ იგზავნება მხოლოდ ვინმეს დასატყვევებლად და არა საბრძოლველად და ამიტომ თავისი მცირე რაზმით არ უნდა შეებას მტერს“.

ამ მოწერილობის შესასრულებლად გრაფმა კამენსკიმ ჯავახიშვილი თავისი რაზმით, მართლაც, გაგზავნა დაზვერვაზე. მზვერავებმა შედარებით მცირე დროში მეტად მნიშვნელოვანი ცნობები შეაგროვეს ბრესტ-კობრინის რაიონში განლაგებული მოწინააღმდეგის შესახებ,

„თავად ქევახოვის მეთაურობით კობრინისაკენ გაგზავნილი რაზმის მიერ დადგენილია, — უპატაკებდა ტორმასოვი იმპერატორს, — რომ აქ დაბანაკებული გარნიზონი შედგება ოთხი ფეხოსანი პოლკისა და კავალერიის ნაწილისაგან. ქალაქთან მიახლოებისას სადაზვერვო რაზმს ავსტრიელ გუსართა ოთხმა ესკადრონმა შეუტია, მაგრამ ამ შეტაკების დროს არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა“.

1812 წლის 31 ივლისი სამამულო ომის ისტორიაში შევიდა, როგორც გოროდეჩნიასთან უმძაფრესი ბრძოლების დღე. მიუხედავად მტრის რიცხობრივი უპირატესობისა, სპირიდონ ჯავახიშვილმა მას სასტიკი დარტყმა აგემა, მოუსპო რუსების მარცხენა ფლანგის შემოვლის ყოველგვარი საშუალება, რითაც ბრწყინვალედ შეასრულა სარდლობის დავალება. ეს ოპერაცია აღწერილია გენერალ-მაიორ ჩაპლიცის 6 აგვისტოს პატაკში გრაფ კამენსკისადმი. მოგვყავს ამ პატაკის ძირითადი ნაწილი. „გასული თვის 30 რიცხვს ანტაპოლში ყოფნისას მივიღე მის მაღალამატებულების მთავარსარდლის (ტორმასოვის — ი. ა.) განკარგულება, რომლითაც პავლოგრადის გუსართა პოლკი და ცხენოსანი არტილერია ექვსი ქვემეხის რიცხვით, მომდევნო დილის 8 საათზე უნდა გამოცხადებულიყო ძირითად ბანაკში. ამის შედეგად თავად ქევახოვი ხსენებული პოლკითა და საარტილერიო ნაწილით იმავე ღამეს მივიდა გოროდეჩნიასთან. 31 ივლისის დილით, ბატონმა მთავარსარდალმა ინება დაევალებინა თავად ქევახოვისათვის თავისი პოლკითა და არტილერიით შერეშოვსკაიას გზაზე არსებული ხიდის დაკავება... თვალყური ედევნებინა პრუჟანის, ბრესტისა და შერეშოვსკაიას გზებისათვის, რათა მტერს არ მისცემოდა საშუალება ჩვენი არმიის მარცხენა ფლანგის შემოვლისა. დანიშნულ ადგილზე მისვლისას თავადმა ქევახოვმა დაათვალიერა გარემო და სათანადო განკარგულებები გასცა. ნაშუადღევს 2 საათზე, მტრის რამდენიმე დიდი კოლონა შეეცადა შემოევლო ჩვენი არმიის მარცხენა ფლანგისათვის. სწორედ ამ დროს თავადი ქევახოვი პავლოგრადის გუსართა პოლკით და ცხენოსანი არტილერიის ექვსი ქვემეხით, რომლის უფროსი კაპიტანი ბრაკერი იყო, ჩორთით გაემართა მისკენ, გადაუჭრა გზა და მთელი ძალით შეებრძოლა. სწრაფი სვლით და ცხენოსანი არტილერიის მარჯვე მოქმედებით მან აბრუნა მრავალრიცხოვანი მტერი, რის მოწმეც თავად ბატონი მთავარსარდალი გახლდათ. ამის შემდეგაც მან სამჯერ მოიგერია მოზღვავებული მტრის იერიშები. საღამომდე ებრძოდა იგი მტერს და ყოველგვარი იმედი ამოუწურა. პავლოგრადის პოლკისა და

ცხენოსანთა ნახევარი ასეულის ამგვარმა გაბედულმა და ძლიერმა მოქმედებამ თავად ჟევახოვის მეთაურობით მეტად სასარგებლო შედეგი მოიტანა, რაც გამოიხატა იმაში, რომ, ჯერ ერთი, მოწინააღმდეგემ ვერ განახორციელა თავისი ჩანაფიქრი ჩვენი არმიის მარცხენა ფლანგზე, ვერ დაეუფლა გზებს, რომლებითაც ჩვენ ჯარებს უნდა ევლოთ, და მეორეც, მან ცოცხალი ძალის უზარმაზარი დანაკლისი განიცადა".

გოროდეჩნიასთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოჩენილ ოფიცერთა სია გენერალმა ტორმასოვმა დასაჯილდოებლად წარადგინა. გრაფაში „რისი ღირსია" ჯავახიშვილის გვარის გასწვრივ ეწერა: „ოქროს ხმლისა, წარწერით „მამაცობისათვის". საბუთებიდან ჩანს, რომ სპირიდონ ჯავახიშვილს ეს ჯილდო მიუღია.

როგორც უკვე აღინიშნა, აგვისტომ მესამე არმიის სამოქმედო ფრონტზე შედარებით მშვიდად ჩაიარა. მოწინააღმდეგენი თავს არიდებდნენ დიდი მასშტაბის ოპერაციებს, თუმცა შეტაკებები, ზოგჯერ საკმაოდ ძლიერი, აქა-იქ მაინც ხდებოდა. ასეთ შეტაკებას შეიძლება მივაკუთვნოთ სპირიდონ ჯავახიშვილის შებრძოლება მტერთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 19 აგვისტოს სოფელ ვიჟიესთან. გენერალ ჩაპლიცის მოწმობით, ჯავახიშვილი „მტკიცედ, გაბედულად ხელმძღვანელობდა კავალერიის წარმატებულ მოქმედებას და მტრის არტილერიის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, მოწინააღმდეგეს არ მისცა წინ წასვლის საშუალება..." სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია არავითარ ცნობას სპირიდონ ჯავახიშვილის მოღვაწეობის შესახებ 1812 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, გარდა იმისა, რომ 8 ოქტომბერს მან თავი ისახელა გენერალ კონოპკას ლიტვის კორპუსის განადგურებაში.

დადგა ნაპოლეონის არმიისათვის განსაკუთრებულად მძიმე ნოემბრის თვე. ყოველი მხრიდან დევნილი იმპერატორი თავის ხსნის და „დაწყევლილი" რუსეთიდან გაქცევის საშუალებას ეძებდა. შერცხვენილი ბონაპარტე თავისი „ უძლეველი არმიის" ლანდით მდინარე ბერეზინას მიადგა მისი გადალახვის იმედით. მაგრამ აქ მას ჩიჩაგოვის დუნაის არმია ელოდებოდა. სავალალო მდგომარეობა შეიქმნა. რუსების მარწუხებიდან თავის დასაძვრენად საგანგებო რამ უნდა გაკეთებულიყო. „მე ვგრძნობდი, — ამბობდა შემდგომ ნაპოლეონი, — რომ შველას მხოლოდ მდინარის უცაბედი გადალახვა მოგვიტანდა". ამაში იგი სავსებით მართალი იყო. მან ისიც იცოდა, რომ მდინარეს გადალახავდა, თუკი ჩიჩაგოვის მოტყუებას მოახერხებდა. ამ მიზნით ბორისოვის სამხრეთით (რომელიც ამ დროისთვის ისევ ფრანგების ხე-

ლში იყო) მან რამდენიმე ადგილას მდინარის გადალახვის იმიტაცია განახორციელა. ამას დაერთო ამ მხარეში მარშალ უდინოს შენაერთების მოსვლა, რომელმაც საბოლოოდ დაარწმუნა „სულელი ადმირალი“ (როგორც ნაპოლეონმა ჩიჩაგოვს დაარქვა), რომ ფრანგები სწორედ აქ შეეცდებიან მდინარის გადალახვას. ნაპოლეონის ხერხმა გასჭრა: ჩიჩაგოვმა „თავისი მარჯვენა ფლანგი იგუმენისკენ წამოიყვანა, ჩვენ კი ვისარგებლეთ მისი ფუჭი მოძრაობებით, რათა ბორისოვის ზევით გადაგველახა მდინარე“, — იგონებდა მოგვიანებით ბონაპარტე. ცრუ მანევრით ფრანგებმა ჩიჩაგოვის ყურადღება ბორისოვის სამხრეთით მიაპყრეს, თვითონ კი სასწრაფოდ ააგეს ორი ხიდი და ბერეზინა ამ ქალაქის ზემოთ, სოფელ სტუდიანკასთან გადალახეს.

მდინარეზე გადასვლა 14 ნოემბერს დაიწყო. ეს ამბავი ჩიჩაგოვმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო. რუსების ერთადერთი ნაწილი, რომელიც აქ აღმოჩნდა, იყო გენერალ ჩაპლიცის რაზმი, რომელმაც პირველმა შენიშნა, რომ ნაპოლეონს თავისი ჯარი „სადღაც მიჰყავს ბორისოვიდან“. გენერალი ჩაპლიცი შეეცადა ჩაეშალა მდინარეზე მტრის გადასვლა. მისი რაზმის შემადგენლობაში მოქმედებდა პავლოგრადის გუსართა პოლკი, რომელსაც წინანდებურად სპირიდონ ჯავახიშვილი მეთაურობდა. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. რუსები და მათ შორის ჯავახიშვილის გუსარებიც თავგანწირულად ებრძოდნენ მრავალრიცხოვან მტერს. ჩაპლიცმა ასე შეაფასა ჯავახიშვილის და სხვა პოლკების მეთაურთა მოქმედება 14 ნოემბრის ბრძოლაში: „ისინი განსაკუთრებული მამაცობით უტევდნენ მტერს, რამდენიმეჯერ არიეს მისი რიგები და შეინარჩუნეს ყველა პუნქტი...“.

15 ნოემბერს ჩაპლიცის ნაწილი გაძლიერდა ორი ქვეითი პოლკით, პალენის ყოფილი ავანგარდიდან. ამავე დღეს ბრძოლის ადგილზე ჩიჩაგოვმაც მოიყვანა ჯარი. 16 ნოემბერს ბრძოლა უფრო გამძაფრდა. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, სპირიდონ ჯავახიშვილის პოლკი ჩვეული მამაცობითა და თავგამოდებით იბრძოდა და ყოველნაირად ცდილობდა მოეჭრა მოწინააღმდეგისათვის ხსნის ერთადერთი გზა. გენერალი ჩაპლიცი აღნიშნავდა, რომ პოლკოვნიკებმა ჯავახიშვილმა და მასლოვმა „განსაკუთრებული მამაცობითა და ვაჟკაცობით შეუტიეს მოწინააღმდეგის კავალერიას, გაანადგურეს და გააქციეს იგი, რითაც ქვეით ჯარებს მტრის სწრაფი დამარცხების საშუალება მისცეს“.

მაგრამ ამ ცალკეულ წარმატებებს არ შეეძლო შეეცვალა მოვლენათა განვითარება. მთავარი ნაპოლეონმა გააკეთა: მან მოხერხებულად

მოატყუა ჩიჩაგოვი, ეს „სულელი ადმირალი“ და ბერეზინას მარჯვენა ნაპირზე გადავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქცეულ იმპერატორს ფეხდაფეხ მისდევდა რუსეთის არმია, რომლის შემადგენლობაში სპირიდონ ჯავახიშვილი იყო თავისი გუსარებით. მათ სდიეს მოწინააღმდეგეს ბერეზინადან ნემანამდე. იმ გენერალთა და ოფიცერთა სიაში, რომელთაც თავი გამოიჩინეს ფრანგების დევნაში, ჯავახიშვილის შესახებ სწერია: „...დევნის დროს მისდამი რწმუნებული პოლკით ყველგან აღწევდა. მოუსვენრად, ენერგიულად, მამაცად და ვაჟკაცურად ანადგურებდა მტერს. ამ პოლკოვნიკის მოღვაწეობა განსაკუთრებული პატივისცემის ღირსია“.

1812 წლის 18 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობისათვის სპირიდონ ჯავახიშვილი დაჯილდოვდა წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენით.

გენერალ-მაიორი სპირიდონ ესტატეს ძე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1815 წელს, 47 წლის ასაკში.

* * *

რომან ივანეს ძე ბაგრატიონი (1778—1834 წწ.), გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძმა, მესამე არმიის ავანგარდში მსახურობდა, რომელსაც გრაფი ლამბერტი მეთაურობდა. 1812 წლის სამამულო ომამდე მან რამდენიმე ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ჩინებული ოფიცრის რეპუტაცია დაიმსახურა, ხოლო 1812 წლის კამპანიის დროს კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაპოლეონის არმიის განადგურებაში.

როგორც ზემოთ ითქვა, რუსებთან პირველმა შეტაკებებმა დაარწმუნეს გენერალი რენიე და გრაფი შვარცენბერგი ერთობლივი მოქმედების საჭიროებაში. ამ მიზნით, 22 ივლისს მათი კორპუსები სლონიმში შეერთდნენ და პრუჟანისკენ გაემართნენ, სადაც გრაფი ლამბერტი იდგა თავისი კორპუსით, რომელიც ფაქტიურად მესამე არმიის ავანგარდი იყო. 29 ივლისს პრუჟანისთან გაიმართა ბრძოლა, რომელშიაც აშკარად იგრძნობოდა ძალების უთანასწორობა. ლამბერტმა გოროდეჩნიასკენ დაიხია იმ იმედით, რომ იქ მყოფ არმიის მთავარ ძალებს შეუერთდებოდა. უკან დახევა მეტად მძიმე გამოდგა. ფრანგები ლამბერტს ფეხდაფეხ მისდევდნენ და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. პრუჟანისთან ბრძოლაში და შემდეგ უკან დახევის დროს განსაკუთრე-

ბით ისახელეს თავი ალექსანდრიის პოლკის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, რომელსაც პოლკოვნიკი რომან ივანეს ძე ბაგრატიონი მეთაურობდა. დოკუმენტში სახელწოდებით „სია გენერალ-ადიუტანტ გრაფ

გენერალი რომან ივანეს ძე ბაგრატიონი

ლამბერტის ავანგარდის ბატონ გენერლების, შტაბ- და ობერ-ოფიცრებისა, რომელთაც თავი გამოიჩინეს 1812 წლის ივლისის 29 რიცხვს პრუჟანისთან და მისგან უკან დახევისას კოზიი ბროდთან“. განსაკუთ-

რებით ხაზგასმულია პოლკოვნიკ რომან ბაგრატიონის დამსახურება. „ბრძოლის დაწყებისას, — ნათქვამია იქ, — იგი ცალკე რაზმთან ერთად მარცხენა მხარეს, სოფელთან იდგა... შეუდარებელი მამაცობით მთელი დღის განმავლობაში აკავებდა მოჭარბებულ მოწინააღმდეგეს... განსაკუთრებით კი უკან დახევის დროს. იგი ყოველთვის ჩნდებოდა იქ, სადაც მტერი უტევდა, მიუხედავად მტრის არტილერიის და თოფების სასტიკი ცეცხლისა“.

წარმოუდგენელი სირთულეების დაძლევით ლამბერტმა გოროდეჩნიას მიაღწია, სადაც, როგორც ვიცით, 31 ივლისს მეტად მძიმე ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში რომან ბაგრატიონი ისევე, როგორც სპირიდონ ჯავახიშვილი, ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც თავისი მამაცური და გონივრული მოქმედებით უზრუნველყო ავსტრო-საქსონელთა კორპუსების დამარცხება. რომან ბაგრატიონის ალექსანდრიის პოლკმა მტრის ფლანგსა და ზურგში ენერგიული მოქმედებით სრულიად არია მისი რიგები და აიძულა გაქცეულიყო. ერთ დოკუმენტში რომან ბაგრატიონის შესახებ ნათქვამია, რომ „31 ივლისს მან ალექსანდრიის გუსართა პოლკის ბატალიონით შეუტია მოწინააღმდეგის კავალერიას, პირი აბრუნებინა, ტყვედ იგდო 2 ოფიცერი და 60 ჯარისკაცი“. ამ ოპერაციისათვის ბაგრატიონი წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოეს.

გოროდეჩნიასთან ბრძოლის შემდეგ რომან ბაგრატიონმა მესამე არმიასთან ერთად ლუცკისაკენ დაიხია ჩიჩაგოვის დუნაის არმიასთან შესაერთებლად.

7 სექტემბერს სოფელ როდომშელის მცხოვრებლებმა გრაფ ლამბერტს აცნობეს, რომ სოფელ ჩარუხოვში დაბანაკებულია მოწინააღმდეგის რაზმი გენერალ ბახმეისტერის მეთაურობით. ამ რაზმს ევალება ჩიჩაგოვის არმიის მოძრაობის შესახებ ცნობების შეგროვება. ლამბერტი დაუყოვნებლივ ჩარუხოვისაკენ გაემართა. 8 სექტემბერს ღამის 11 საათზე იგი მოულოდნელად თავს დაესხა მტრის საგუშაგო პიკეტს და მთლიანად ტყვედ ჩაიგდო. ტყვეებმა აჩვენეს, რომ ჩარუხოვთან დაბანაკებულია მტრის მნიშვნელოვანი ძალები, რომელიც შედგება ავსტრიული მსუბუქი კავალერიის პოლკის ხუთი, საქსონელი გუსარების ორი, საქსონელ მსუბუქ ცხენოსანთა პოლკის ერთი და პოლონელ ულანთა ესკადრონისგან.

9 სექტემბრის დილის 3 საათზე გრაფმა ლამბერტმა მოულოდნელი იერიში მიიტანა მტრის ბანაკზე და აშკარა წარმატებას მიაღწია. „მიუ-

ხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე ორჯერ ძლიერი გამოდგა, ვიდრე მეგონა, — სწერდა იგი ტორმასოვს, — მე მაინც, დარწმუნებულმა ჩვენი ჯარების მამაცობაში ვუბრძანე პოლკოვნიკ თავად ბაგრატიონს ალექსანდრიის გუსართა პოლკის სამი ესკადრონით ჩორთით ევლო მტრის ბანაკისაკენ... არზამასის დრაგუნთა პოლკი რეზერვში იდგა სოფლების ჩარუხოვისა და ნესვიაჟის წინ. ამათგან ცოტა მოშორებით მარჯვენა ფლანგზე სრულ მზადყოფნაში იდგა ორელის პოლკის ესკადრონი, რომელმაც დაინახა თუ არა ჩვენები, მყისვე შეუტია მათ. მაგრამ მამაცი შტაბ-როტმისტრი ილიაშევიჩი მისი ესკადრონით არათუ დაიბნა ამ თავდასხმისაგან, არამედ გაანადგურა მოიერიშენი, შევარდა მტრის ბანაკში და ყველაფერი დალეწა, რაც წინ დახვდა. შიშმა შეიპყრო მოწინააღმდეგე, იგი თავზარდაცემული გაიქცა. ვინც კი მიიმალა და გუსარებს გადაურჩა, ულანთა და კაზაკთა ხელში ჩავარდა, რომლებიც ოდნავადაც არ ჩამორჩებოდნენ ამხანაგებს. თავადმა ბაგრატიონმა ოთხ ვერსზე სდია გაქცეულთ". ამ მოულოდნელი თავდასხმის შედეგად მოწინააღმდეგემ 400-ზე მეტი მებრძოლი და უთვალავი სამხედრო აღჭურვილობა დაკარგა. რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს 9 ოფიცერი და ორასამდე ჯარისკაცი. ამ გამარჯვებაში განსაკუთრებული ღვაწლი რომან ბაგრატიონს მიუძღოდა. ეს ნათლად ჩანს გრაფ ლამბერტის მიერ ბაგრატიონის ჯილდოზე წარდგენისას დაწერილი დახასიათებიდან, რომელშიაც ნათქვამია, რომ იგი „თავისი სამი ესკადრონით დროზე მივიდა დანიშნულ ადგილზე, მოემზადა შეტევისათვის, ვაჟკაცურად ეძგერა მოწინააღმდეგის კავალერიის მარჯვენა ფლანგს, არია იგი, მეტწილად აკუწა, ხოლო გადარჩენილებს სდია 4 ვერსზე. ეროი სიტყვით, მისი გონივრული განკარგულებებით და გამორჩეული მამაცობით დიდად შეუწყო ხელი 9 სექტემბრის ოპერაციის წარმატებას". გრაფი ლამბერტი შუამდგომლობდა უმაღლესი სარდლობის წინაშე ბაგრატიონის წმ. ანას მეორე ხარისხის ალმასებიანი ორდენით დაჯილდოებისა და მისთვის გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების თაობაზე. როგორც ჩანს ეს შუამდგომლობა უყურადღებოდ დაუტოვებიათ და თავის დროზე ბაგრატიონს დასახელებული ოპერაციისათვის არც ჯილდო და არც წოდება არ მიუღია.

მისი დამსახურების შეუფასებლობით განაწყენებულმა პოლკოვნიკმა ტორმასოვს მიმართა, რომელმაც სპეციალური პატაკით 1813

წლის 23 აპრილს კუტუზოვის წინაშე დასვა საკითხი[2]. ტორმასოვი წერდა: „მესამე არმიის მთავარსარდლად ჩემი ყოფნის დროს... პოლკოვნიკი თავადი ბაგრატიონი, რომელიც ყოველთვის იმყოფებოდა გენერალ-ადიუტანტ ლამბერტის ავანგარდის შემადგენლობაში, ყველა შემთხვევაში მამაცურად იბრძოდა. განსაკუთრებით ისახელა მან თავი 8 და 9 სექტემბერს, როდესაც ალექსანდრიის გუსართა პოლკის სამ ესკადრონს მეთაურობდა, იგი შეიჭრა მოწინააღმდეგის ბანაკში ღამით, ეკვეთა კავალერიას და სრულიად აკუწა. ამასთან ერთად დაატყვევა 15 შტაბ- და ობერ-ოფიცერი, 300-ზე მეტი ჯარისკაცი, ხელთ იგდო სამი ალამი.

გენერალმა ლამბერტმა ღირსეულად დააფასა ეს გმირობა და წარადგინა იგი (ბაგრატიონი — ი. ა.) მომდევნო სამხედრო წოდებაზე. თავის დროზე მე თქვენი ბრწყინვალების მეშვეობით შუამდგომლობა აღვძარი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უმაღლესი დასტურის მისაღებად.

ამჟამად პოლკოვნიკმა ბაგრატიონმა პატაკით მაუწყა, რომ დასახელებული საქმისათვის მას არავითარი ჯილდო არ მიუღია, მაშინ როდესაც მისი ყველა ხელქვეითი სათანადოდ წახალისებულია. სამართლიანობის გრძნობა გვავალებს, რომ ჭეშმარიტი დამსახურება არ უნდა დარჩეს შეუფასებელი, ამდენად, პატივი მაქვს უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას, გაისარჯოთ და იშუამდგომლოთ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე პოლკოვნიკ თავად ბაგრატიონისათვის ჩინებული სამსახურისა და მამაცობისათვის გენერალ-მაიორის ჭეშმარიტად დამსახურებული წოდების მინიჭების თაობაზე“.

ჩვენ ვერაფერს დავუმატებთ ამ პატაკს, რომელშიაც შესანიშნავად არის დახასიათებული პოლკოვნიკი რომან ივანეს ძე ბაგრატიონი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ტორმასოვის წარდგინებამ ამჯერად მიზანს მიაღწია და მას 1813 წლის 21 მაისს გენერალ-მაიორის სავსებით დამსახურებული წოდება მიენიჭა.

ადმირალი ჩიჩაგოვი, უმაღლესი სარდლობის განკარგულების თანახმად, გამოეყო ავსტრიელთა და საქსონელთა კორპუსების წინააღმდეგ მებრძოლ მესამე არმიას და დუნაის არმიით მინსკისა და ბორისოვის მიმართულებით წავიდა. მას ვიტგენშტეინთან კავშირის დამყა-

---

2 ამ დროისათვის ტორმასოვმა ეტყობა არ იცოდა, რომ 16 აპრილს ბუნცლაუში (პრუსიის სილეზია) გარდაიცვალა ფელდმარშალი მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი.

რება და ნაპოლეონისათვის მოსკოვიდან გასაქცევი გზის გადაჭრა დაევალა. 25 ოქტომბერს მისი არმია უკვე სლონიმში იყო, ხოლო მეორე დღეს ბორისოვისაკენ აიღო გეზი. ნესვიჟიდან ნოვოსვერჟენისაკენ გადასვლისას ჩიჩაგოვს აცნობეს, რომ მინსკის ფრანგმა გუბერნატორმა მის წინააღმდეგ დასძრა ჯარი გენერალ კოსეცკის მეთაურობით. გრაფმა ლამბერტმა გაანადგურა მტრის ჯარი და 1 ნოემბერს ნოვოსვერჟენი დაიკავა. კოსეცკის გადარჩენილ ნაწილებს ლამბერტმა მდევარი გააყოლა, რომელიც მას ორი დღის განმავლობაში მისდევდა, ვიდრე კოსეცკი მინსკში არ დაბრუნდა. ლამბერტის მოწმობით ყოველ ამ საქმეში დიდად ისახელა თავი რომან ბაგრატიონმა, რომელმაც ალექსანდრიის გუსართა ბატალიონით ძალიან შეუწყო ხელი მინსკიდან მტრის განდევნას. ფრანგები მინსკიდან 4 ნოემბერს გაიქცნენ. მინსკის აღების ოპერაცია ფრანგებისათვის იმ ზომამდე მოულოდნელი გამოდგა, რომ მათ ნაპოლეონის არმიისათვის გამზადებული სურსათ-სანოვაგისა და სამხედრო აღჭურვილობის განადგურებაც ვერ მოასწრეს.

დაუღალავი ლამბერტი ბორისოვისაკენ მიიწევდა. ბაგრატიონის მიზანიც ბორისოვი იყო. 9 სექტემბერს მძიმე სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად რუსების ავანგარდმა ქალაქი გაათავისუფლა. სულ მალე აქ ჩიჩაგოვმა თავისი შტაბი გადმოიტანა. ბორისოვისათვის ბრძოლებში ორივე მხარემ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა. გრაფმა ლამბერტმა, თავად მძიმედ დაჭრილმა, მოკლულთა და დაჭრილთა სახით 1500 კაცი დაკარგა. ეს მთელი რაზმის ნახევარი იყო (რაზმს სულ 3200 კაცი ჰყავდა). რაც შეეხება ფრანგებს, მათი დანაკლისი უფრო დიდი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ რუსებმა 2500 ჯარისკაცი დაატყვევეს.

ასეთია 1812 წლის სამამულო ომში რომან ივანეს ძე ბაგრატიონის მონაწილეობის მოკლე მიმოხილვა.

* * *

1812 წლის რუსეთის სამამულო ომმა დიდი გამოხმაურება პოვა საქართველოში. მან მიიპყრო პოეტების, მწერლების, ისტორიკოსების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ყურადღება. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს რუსეთ-საფრანგეთის ომის ისტორიის თარგმანი, რომელიც ბაგრატ ბატონიშვილის ინიციატივით შესრულდა. ქართველი საზოგადოებრიობა ამაყობდა სამამულო ომში თანამემამუ-

ლეთა მონაწილეობით და ბაგრატის გადაწყვეტილება — შეეტანათ მათი სახელების უკვდავმყოფელი დოკუმენტი — სავსებით ბუნებრივი იყო. უფრო მეტიც. მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის ზოგი წარმომადგენელი 1812 წლის რუსეთის სამამულო ომს იმდენად მნიშვნელოვან და საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებულ მოვლენად თვლიდა, რომ თავისი სამშობლოს ისტორიის დაწერისას საკმაო ადგილს უთმობდა ამ ომის ამბების აღწერას. ამის დასადასტურებლად ისევ ბაგრატ ბატონიშვილს მივმართოთ, კერძოდ მის „ახალ მოთხრობას“, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან 1819 წლამდე. გარდა ამისა, თხზულების ავტორი იძლევა რუსეთ-საფრანგეთის ომის ძირითადი ეტაპების დეტალურ აღწერას. წიგნი დაწერილია პეტერბურგში 1814 წელს, მაგრამ ბაგრატ ბატონიშვილი ამის შემდეგ უკვე დასრულებულ ნაწარმოებს უმატებდა მომდევნო წლების ამბებს და ამგვარად გაუზრდია მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები 1819 წლამდე.

ვფიქრობთ, რომ ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ თხზულების იმ ადგილის მოკლე შინაარსი, რომელიც სწორედ ამ ომს ეხება.

1812 წელს საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე ხუთასათასიანი არმიით, რომელშიაც ფრანგების გარდა იყვნენ პრუსიელები, საქსონელები, ვესტფალიელები, ბავარიელები, ჰოლანდიელები და სხვები, პოლონეთს მიადგა და დაიპყრო იგი. თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, რუსეთის საუკეთესო მხედართმთავარი, მოითხოვდა გენერალური ბრძოლის გამართვას რუსეთის საზღვრებთან, მაგრამ ქვეყნის დიდებულებმა და გავლენიანმა პირებმა მისი წინადადება უარყვეს ჯარის სიმცირის მომიზეზებით. ამის შემდეგ ბაგრატი აღნიშნავს რუსეთის შეიარაღებული ძალების სამ არმიად დაყოფისა და პეტერბურგის დასაცავად ვიტგენშტეინის საგანგებო კორპუსის შექმნის შესახებ. ბატონიშვილი დეტალურად აღწერს ფრანგების მიერ ვილნოს ოკუპაციას. პირველი და მეორე არმიების შეერთებას სმოლენსკთან, ამ ქალაქის კედლებთან გამართულ მძიმე ბრძოლებს, ბარკლაისა და ბაგრატიონის ჯარების უკან დახევას, ბოროდინოს ამბებს და ბაგრატიონის დაჭრას. დიდი სინანულით და აღშფოთებით გადმოსცემს ავტორი მოსკოვის ოკუპაციას, ხანძარს, მისი ეკლესიების და მონასტრების გაძარცვას, განძეულობის პარიზში გაგზავნას და ფრანგების მიერ ჩადენილ სხვა უმსგავსოებებს. ამას მოსდევს მოსკოვის მიტოვების, იმედგაცრუებული ნაპოლეონისა და „უძლეველი არმიის“ სამარცხვი-

ნო გაქცევის, მისი საბოლოო დამარცხების აღწერა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბაგრატის ამ თხზულებაში საკმაოდ ვრცლადაა გადმოცემული რუსეთის ჯარების საზღვარგარეთული ლაშქრობის ამბებიც. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნაწარმოების 113 გვერდიდან 14 დაეთმო 1812 — 1815 წლების რუსეთ-საფრანგეთის ომს. ისტორიული მოვლენის ასე დეტალურად აღწერა, ვიმეორებთ, უნდა აიხსნას იმ ცხოველი ინტერესით, რომელსაც მისდამი ქართული საზოგადოებრიობა იჩენდა.

ქართველი ხალხი, რომელსაც რუსეთთან კულტურულ-პოლიტიკური და ისტორიული ურთიერთობა ჯერ კიდევ X საუკუნეში ჰქონია, ყოველთვის ცოცხალ და შეუნელებელ ინტერესს იჩენდა რუსეთის საბრძოლო დიდებისადმი. ბევრი ქართველი მონაწილეობდა სხვადასხვა დროს წარმოებულ ომებში, რომლებშიაც ხშირად რუსეთის ბედი წყდებოდა. თავისი შესანიშნავი საბრძოლო თვისებებით, მამაცობით, საქმისა და ფიცისადმი ერთგულებით მათ არაერთხელ ასახელეს რუსული იარაღი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ГРУЗИНЫ В ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЕ 1812 ГОДА

Резюме

На различных фронтах Отечественной войны 1812 года в составе русских армий воевало немало воинов-грузин. К сожалению, установить их точное количество невозможно из-за того, что сведения о них почти не сохранились. Это главным образом касается нижних чинов.

Положение некоторым образом проясняется, благодаря стараниям царевича Баграта, сына последнего грузинского царя Георгия XII, по просьбе которого переводчик Иностранной коллегии Иоанн Романович Базладзе перевел в 1815 году с русского на грузинский язык книгу Люсьена Бонапарта «Поход Наполеона в Россию и бегство его». К этой книге царевич приложил список грузин, принимавших участие в боевых действиях. В списке упомянуто 49 лиц, из коих 37 грузин, 10 армян, один лезгин и один осетин.

Однако, изучение других источников и различных архивных документов позволяет расширить список и утверждать, что, согласно с дошедшими до нас материалами, в Отечественной войне 1812 года участвовало 70 грузин, среди которых было 12 генералов: два Багратиони, два Яшвили, два Панчулидзе, три Джавахишвили, Симон Гангеблишвили, Антон Шаликашвили, Павел Бибилури.

Перечисленные генералы были активными участниками всех важнейших военных операций Отечественной войны, а генерал Петр Багратион, как известно, командовал Второй армией.

В предлагаемой работе, на основе детального изучения опубликованных источников и архивных документов, хранящихся в различных древнехранилищах страны, повествуется о ратных подвигах и славных действиях воинов-грузин в битвах при Клястицах, Полоцке, Дашковке, Смоленске, Бородино, Тарутино, Верее, Малоярославце и т. д.

Биографические сведения, воспоминания современников, по возможности приведенные в книге, позволяют заключить, что названные военноначальники всей душой были преданы России, служили ей верой и правдой, не раз прославив мощь ее оружия.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1812 წლის რუსეთის სამამულო ომის მონაწილე ქართველები . 3
გენერალი პეტრე ბაგრატიონი 14
გენერლები ვლადიმერ და ლევან იაშვილები 44
გენერლები ფანჩულიძეები და ბიბილური 67
გენერლები ივანე და სპირიდონ ჯავახიშვილები, რომან ბაგ-
რატიონი 83
Грузины в Отечественной войне 1812 года. Резюме . 102

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Ираклий Георгиевич Антелава

ГРУЗИНЫ В ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЕ 1812 ГОДА

(на грузинском языке)

Тбилиси

1984

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რეცენზენტები — ისტ. მეც. კანდიდატები: ნ. ნაცვლიშვილი
ოთ. ქორდანია.

სბ 2883

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაჯაია
მხატვარი გ. ლომიძე
მხ. რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ელ. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 6.9.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.11.1983;
ქაღალდის ზომა 60×84 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 6,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.6;

უე 05728; ტირაჟი 32000; შეკვეთა № 2788;

ფასი 65 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19